

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2009, # 9

ეკონომიკური

დანაშაული

1. ყაჩაღობა
2. თაღლითობა
3. მითვისება, გაფლანგვა, გამოძალვა
 - მითვისება, გაფლანგვა
 - გამოძალვა

1. ყაჩაღობა

განჩინება

#944-აპ-08

6 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 მარტის განაჩენით ი. მ-შვილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ არის ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის; ასევე – ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით; ასევე – პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტის გატაცება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2002 წლის 7 იანვარს ი. მ-შვილი დაუდგენელ თანამზრახველთან ერთად, დაუდგენელი „ვაზ-2109“ მარკის ავტომანქანით, ავტომანქანის მძღოლთან ერთად იმყოფებოდა კასპის რაიონის სოფელში. მათ განიზრახეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ა. ქ-შვილის ოჯახს.

ბოროტმოქმედებმა თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვა იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში. დაახლოებით 4 საათზე ი. მ-შვილი და მისი თანამზრახველი იმავე ავტომანქანით მივიდნენ ა. ქ-შვილის ბინასთან და იგი გამოიხმეს ეზოში, უთხრეს, რომ, თითქოს, სურდათ დახმარება ავტომანქანის შეკეთებაში, სციოდათ და სთხოვეს ალკოჰოლური სასმელი. ა. ქ-შვილმა ისინი შეიყვანა თავის საცხოვრებელ სახლში, დასხდნენ მაგიდასთან და დალიეს ღვინო, რა დროსაც ი. მ-შვილთან მყოფმა პირმა მოიმარჯვა თანნაქონი ცეცხლსასროლი იარაღი – პისტოლეტი და ი. მ-შვილთან ერთად თავს დაესხა ა. ქ-შვილს, მის მეუღლეს – ნ. ა-იასა და მცირეწლოვან შვილებს – გ. და ს. ქ-შვილებს.

ბოროტმოქმედებმა ნ. ა-იას, ა. და გ. ქ-შვილებს, ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით დაუწყეს ცემა, რის შედეგადაც გ. ქ-შვილს მიაყენეს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ა. ქ-შვილსა და ნ. ა-იას კი – მსუბუქი დაზიანება; დახიეს ზეწარი, რომლითაც მათ შეუკრეს ხელ-ფეხი, სთხოვდნენ ფულსა და ძვირფასეულობას.

ი. მ-შვილმა და მისმა თანამზრახველმა ა. ქ-შვილის ბინაში მოძებნეს 300 ლარად ღირებული ორლულიანი სანადირო თოფი, 150 ლარად ღირებული ოქროს საათი „პალიოტი“, 100 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი „ერიქსონი“, 200 ლარად ღირებული ოქროს ბეჭედი, 250 ლარი, ა. ქ-შვილის პასპორტი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სულ დაზარალებულებს მიადგათ 1000 ლარის ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ი. მ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 31 ივლისიდან; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით; ასევე დაეკისრა 1000 ლარის გადახდა დაზარალებულების – ა. ქ-შვილისა და ნ. ა-იას სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა გ. ჯ-შვილმა. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და ი. მ-შვილის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ი. მ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული; საქმის მწარმოებელმა გამოძიებელმა დანაშაულის ჩადენის თარიღი გადააკეთა, ვითომ ყაჩაღობა მოხდა 2002 წლის 7 იანვარს და არა – 2001 წლის 7 იანვარს, რადგან ამ დროს

იგი ჯერ კიდევ სასჯელს იხდოდა; არ გამოიძიეს, ვის ეკუთვნოდა ბინაში დარჩენილი ორი ანაბეჭდი; ექსპერტიზის დასკვნით, ანაბეჭდები არ ეკუთვნის ი. მ-შვილს; სიცრუეა ისიც, რომ, თითქოს, დაზარალებულმა ნ. ა-იამ რკინიგზის სადგურზე ამოიგნო მსჯავრდებული 2002 წლის თებერვალში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ითხოვს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალები უტყუარად ადასტურებს, რომ ყაჩაღური თავდასხმა განხორციელდა 2002 წლის 7 იანვარს და ამასთან დაკავშირებით მსჯავრდებულის საჩივრის მოტივი უსაფუძვლოა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, რადგან ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს, მათ შორის დაზარალებულ ნ. ა-ის თანმიმდევრულ და დამაჯერებელ ჩვენებებს, რომელთა ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდაა დადასტურებული მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა.

ამასთან, ი. მ-შვილს 1987 წელს ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს, ხოლო დიდუბის რაიონის 1996 წლის 7 მარტის განაჩენით, ადრე მოქმედი სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით მისჯილი ჰქონდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე და, შესაბამისად, შემსუბუქდეს სასჯელი.

გარდა ამისა, ი. მ-შვილის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის ვადა უნდა აეთვალოს ფაქტობრივი დაკავების დღიდან - 2007 წლის 30 ივლისიდან, ნაცვლად გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული 31 ივლისისა.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილით, სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ი. მ-შვილის ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე, ხოლო 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე;

ი. მ-შვილს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით მიესაჯოს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ი. მ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 14 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს 2007 წლის 30 ივლისიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. მ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის, ასევე, მსჯავრდებულების - ზ. პ-შვილისა და მ. პ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით ზ. პ-შვილი, მ. პ-შვილი, და რ. მ-შვილი, ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებით, 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ი“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინეს ყაჩაღობა ჯგუფურად, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ასევე - თავისუფლების უკანონო აღკვეთა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით; ასევე - მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მძველის განთავისუფლების პირობით აიძულონ პირი, შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. მ. პ-შვილმა ასევე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა და ტარება.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2004 წლის 12 ივლისს მ. პ-შვილი დაუკავშირდა ზ. პ-შვილსა და დაუდგენელ პირს. მათ მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ გორში ბ. მ-ვის ოჯახს. იმავე დღეს, დაახლოებით 11 საათზე, ისინი, წინასწარი შეთანხმებისამებრ, მივიდნენ ზემოაღნიშნულ მისამართზე. სახლში იმყოფებოდნენ მ. მ-ვი და მისი შვილი თ. მ-ვი. თავდამსხმელებმა მათ უთხრეს, რომ იყვნენ გორის სამხედრო კომისარიატიდან და სავალდებულო სამხედრო სამსახურში უნდა გაეწვიათ მათი ოჯახის წევრი ა. მ-ვი. ბოროტმოქმედები მოტყუებით შევიდნენ მათ საცხოვრებელ ბინაში, რის შემდეგაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღის დამუქრებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ყაჩაღურად დაეუფლნენ ფულად თანხას - 11250 აშშ დოლარისა და 470 ლარის ოდენობით და სხვადასხვა დასახელების ნივთს. სულ დაზარალებულებს მიადგათ 13450 აშშ დოლარისა და 1540 ლარის მატერიალური ზიანი.

2004 წლის 26 ივლისს მ. პ-შვილი დაუკავშირდა ზ. პ-შვილს, რომან მ-შვილსა და დაუდგენელ პირს. 2004 წლის 27 ივლისს, დაახლოებით 1 საათზე, თანამზრახველები წინასწარი შეთანხმებისამებრ შეიკრიბნენ და ცეცხლსასროლი იარაღით გზაზე დახვდნენ ავტომანქანა „ვაზ-2106-ით“ მიმავალ ი. და მ. გ-ძეებს. იარაღის მუქარით აიძულეს ისინი, გაეჩერებინათ მანქანა, რის შემდეგაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით გადმოიყვანეს მანქანიდან, ი. გ-ძეს დაადეს ხელბორკილი და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, რის შემდეგაც თავისი ავტომანქანით მიიყვანეს მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდებარე ბაღში, სადაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ დაზარალებულების ფულად თანხასა და სხვადასხვა ნივთს. აღნიშნულის შემდეგ მ. პ-შვილმა და რ. მ-შვილმა მძევლად დაიტოვეს მ. გ-ძე, რომლის განთავისუფლების პირობით უნდოდათ, აეძულებინათ ი. გ-ძე, მათთვის გადაეცა სახლში შენახული ფულადი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ მეუღლის მოკვლით. ამის შემდეგ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, იარაღის გამოყენებით, ზ. პ-შვილმა და გამოძიებით დაუდგენელმა პირმა ი. გ-ძე ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს მის საცხოვრებელ სახლში, საიდანაც ი. გ-ძემ გამოიტანა და ზ. პ-შვილს გადასცა ფული 4 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და ოქროს ნივთები. დაახლოებით 1 საათში ისინი დაბრუნდნენ მძევლად დატოვებულ მ. გ-ძესთან, მოხსნეს ხელბორკილები და ორივე გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ერთ-ერთი თავდამსხმელი დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ მეხუთე პირს, რომელიც რამდენიმე წუთში მივიდა მათთან და ერთად წავიდნენ. ი. და მ. გ-ძეებმა სულ განიცადეს 10400 ლარის მატერიალური ზიანი.

2004 წლის 23 აგვისტოს მ. პ-შვილი დაუკავშირდა ზ. პ-შვილსა და დაუდგენელ პირს. მათ მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ გორში მცხ. თ. მ-ვის ოჯახს. იმავე დღეს, დაახლოებით 23 საათზე, ისინი მივიდნენ ზემოაღნიშნულ მისამართზე, სადაც, მოფიქრებული გეგმის თანახმად, მ. პ-შვილი შევიდა, როგორც პაციენტი, გაესინჯა ოჯახის დიასახლის ს. შ-შვილს, რომელიც კერძო სამედიცინო ექსპოპიურ გამოკვლევებს ატარებდა. სამედიცინო კონსულტაციის მიღების შემდეგ გავიდა გარეთ, მოუხმო თავის თანამზრახველებს და სამივე შევიდა ბინაში. ისინი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღით თავს დაესხნენ თ. მ-ვსა და მის მეუღლეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ ფულსა და სხვადასხვა დასახელების ნივთს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ბოროტმოქმედებმა დაზარალებულებს სულ მიაყენეს 12150 ლარის მატერიალური ზიანი.

მ. პ-შვილმა 2007 წლის 23 იანვარს თბილისში, ბაზრობაზე, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან 30 ლარად მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ორლულიანი გადაჭრილი თოფი ორ საბრძოლო ვაზნასთან ერთად, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა. 2007 წლის 23 იანვარს თბილისის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს ძარცვა-ყაჩაღობის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა თბილისში, წულუკიძის 1-ელ შესახვევში, დააკავეს მ. პ-შვილი, რომელსაც ადგილზე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისგან ამოიღეს უკანონოდ შეძენილი და შენახული ზემოაღნიშნული გადაჭრილი სანადირო თოფი და ვაზნები. ბალისტიკური ექსპერტიზის #6\4-20\8 დასკვნით, იარაღი არის ქარხნული წესით დამზადებული, „იჟ-43მ“ მოდელის, 12 მმ კალიბრის, გლუვლულიანი, ორლულიანი გადაჭრილი თოფი, რომელიც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის, ხოლო 2 ვაზნა არის 12 მმ კალიბრის, ქარხნული წესით დამზადებული, განკუთვნილი ამავე კალიბრისა და გლუვლულიანი სანადირო თოფისათვის, მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. პ-შვილს დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, რ. მ-შვილს - 25 წლით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ განესაზღვრა 25 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ზ. პ-შვილს - 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით.

რ. მ-შვილსა და ზ. პ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყით 2007 წლის 19 ოქტომბრიდან, მ. პ-შვილს - 2007 წლის 23 იანვრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა - მ. პ-შვილმა და ზ. პ-შვილმა, ასევე - მსჯავრდებულ რ. მ-შვილის ადვოკატმა ა. ჭ-შვილმა.

აპელანტებმა ითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: რ. მ-შვილს, მ. პ-შვილსა და ზ. პ-შვილს მოეხსნათ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი; მ. პ-შვილისა და ზ. პ-შვილის ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებიდან და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ი“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ი“ ქვეპუნქტებზე; რ. მ-შვილის ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებიდან და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ი“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „გ“ და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ი“ ქვეპუნქტებზე; საბოლოოდ რ. მ-შვილს მიესაჯა 19 წლითა და 2 თვით, მ. პ-შვილს - 19 წლით, ხოლო ზ. პ-შვილს - 24 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულები - მ. პ-შვილი და ზ. პ-შვილი საკასაციო საჩივრებით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

ადვოკატი ა. ჭ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან რ. მ-შვილს დანაშაული არ ჩაუდენია; სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, აღნიშნული დასკვნა კი არ გამოძინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; პალატას ი. და მ. გ-ძეების

სასამართლოში მიცემული ჩვენებები უნდა განეხილა მათ მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებთან შეჯერებით, საერთო ანალიზის გაკეთებით და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მათი უტყუარ მტკიცებულებად განხილვა; ი. გ-მისა და მ. გ-მის მიერ თავდამსხმელის აღწერილობა აშკარად განსხვავდება რ. მ-შვილის გარეგნობისაგან; გამოძიებამ მიიჩნია, რომ რ. მ-შვილი ი. გ-მეს სახლში არ გაჰყოლია, თუმცა საპირისპიროს ამტკიცებს ი. გ-მე; ასეთი საექვო მტკიცებულებები სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენისათვის არ უნდა დაედო საფუძვლად; დაზარალებულების ჩვენებებმა საბოლოო სახე მიიღო გზადაგზა დაზუსტება-შევისების შემდეგ, რაშიც მათ ეხმარებოდა გამოძიების ორგანო. პალატამ არ დააკმაყოფილა რ. მ-შვილის დამცველის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის შესახებ, ასევე არ შეამოწმა მსჯავრდებულის ალიბი (რ. მ-შვილი დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა კახეთში), რითიც არსებითად დაირღვა საპროცესო კანონი, მომხდარიყო საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვა, რამაც გავლენა მოახდინა კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ა. ჭ-შვილი ითხოვს რ. მ-შვილის გამართლებას ან მისი მსჯავრდების ნაწილში განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად რ. მ-შვილის ალიბის გადამოწმების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებელი განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულების - მ. და ი. გ-ძეების ჩვენებები თანმიმდევრული და დამაჯერებელია. ამ პირებმა ჯერ კიდევ საქმის წინასწარი გამოძიების დროს დაზუსტეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც არ წარმოადგენს მათი ჩვენებების ობიექტურობაში დაეჭვების საფუძველს და ამ ჩვენებებით ირკვევა შემდეგი:

მ. გ-მემ სასამართლოს განუმარტა, რომ ბოროტმოქმედებს თავდასხმისას ნიღბები არ ჰქონდათ და მხოლოდ მოგვიანებით გაიკეთეს. მიუხედავად იმისა, რომ მათი სახე არ დაუნახავს, მ. გ-მემ კატეგორიულად განაცხადა, რომ სწორედ განსასჯელები დაესხნენ თავს. დაზარალებულმა ასევე მიუთითა, რომ თავდამსხმელები იმ ზაფხულს მეზობლად მცხოვრებ ჯ. გ-ურთან ისვენებდნენ და სწორედ ამ უკანასკნელის "ბიჭებით სავსე" ავტომანქანა შემოხვდათ გზად მსვლელობისას თავდასხმამდე.

ი. გ-მემ თავიდანვე ამოიცნო სამივე განსასჯელი და სასამართლოშიც კატეგორიულად განაცხადა, რომ არ ცდებოდა. მანვე აღნიშნა, რომ თავდასხმამდე შემოხვდათ ჯ. გ-რის ავტომანქანა, რომელიც შემდეგ ბოროტმოქმედების ავტომანქანას გაჰყვა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ი. გ-მემ საქმის წინასწარი გამოძიებისას ფოტოსურათებით და პირადადაც ამოიცნო ზ. პ-შვილი, მ. პ-შვილი და რ. მ-შვილი.

რ. მ-შვილის ადვოკატი ა. ჭ-შვილი აღნიშნავს, რომ საქმე არ განხილულა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რადგან არ დაიკითხნენ პირები, რომლებიც მსჯავრდებულის უდანაშაულობას დაადასტურებდნენ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანის შემდეგ ადვოკატის მიერ დამატებით მოწმეებად დასახელებული პირები თავიანთ განცხადებებში აღნიშნავენ, რომ დაადასტურებენ 2004 წლის 24 ივლისიდან 28-29 ივლისამდე რ. მ-შვილთან ერთად ყოფნას "ქორწინებასთან დაკავშირებით".

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და იგი ფაქტობრივად უნდა ემსახურებოდეს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძვლიანია სააპელაციო სასამართლოს უარი იმ პირთა დაკითხვის შესახებ, რომლებიც, მათივე განცხადებით, დაადასტურებდნენ სამი წლით ადრე, დანაშაულის ჩადენის მომენტში რ. მ-შვილთან ერთად ყოფნას.

დაზარალებულმა ს. შ-შვილმა სასამართლოშიც დამაჯერებლად ამხილა მ. პ-შვილი, რომელიც, მისივე თქმით, ყაჩაღური თავდასხმის დროს ცინიზმით გამოირჩეოდა. შ. შ-შვილმა ასევე მიუთითა, რომ სხვა თავდამსხმელების ამოცნობა არ შეეძლო და გარდა მ. პ-შვილისა, არავინ ამოუცნია.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება თ. მ-ვის ოჯახზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში ზ. პ-შვილის მონაწილეობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. ერთადერთი მტკიცებულება, რასაც აღნიშნულ ნაწილში ეყრდნობა გასაჩივრებული განაჩენი, ს. შ-შვილის მიერ საქმის წინასწარი გამოძიების დროს ზ. პ-შვილის ამოცნობის ოქმია. როგორც აღინიშნა, სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა უარყო მ. პ-შვილის გარდა ვინმეს ამოცნობის ფაქ-

ტი. ამასთან, საქმის წინასწარი გამოძიების ეტაპზევე ს. შ-შვილმა უარყო ზ. პ-შვილის მონაწილეობა ყაჩაღურ თავდასხმაში ამ უკანასკნელთან დაპირისპირებისას, ხოლო დამატებით დაკითხვის დროს აღნიშნა, რომ ამოცნობის დროს არ იყო დარწმუნებული ზ. პ-შვილის დამნაშავეობაში. ამის შემდეგ, საქმის წინასწარი გამოძიების ეტაპზე, ს. შ-შვილმა კვლავ მიუთითა, რომ ერთ-ერთი ბოროტმოქმედი ზ. პ-შვილი იყო.

საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 508-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც იგი ეფუძნება. საქართველოს სსსკ-ის 132-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კი, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვიმტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.

გარდა ამისა, საბრალდებო დასკვნიდანაც არ გამომდინარეობს, რომ მ. პ-შვილს, ზ. პ-შვილს, რ. მ-შვილსა და დაუდგენელ პირს ი. და მ. გ-ძეებზე ყაჩაღური თავდასხმისას ამომრავებდათ დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზანი. მართალია, აღნიშნულ დაზარალებულებს ბოროტმოქმედებმა გასტაცეს 10 ათას ლარზე მეტი ღირებულების ნივთები, მაგრამ ეს მოახერხეს მხოლოდ ყაჩაღობისა და თვისობრივად სხვა დანაშაულის - მიმეცლად ხელში ჩაგდების შედეგად, რისთვისაც ისინი ასევე არიან მსჯავრდებულნი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება თ. მ-ვის ოჯახზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში ზ. პ-შვილის მონაწილეობის შესახებ, ასევე - ი. და მ. გ-ძეებზე ყაჩაღური თავდასხმისას მ. და ზ. პ-შვილების მიზანზე დიდი ოდენობით ნივთის დაუფლებასთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა გაუქმდეს რ. მ-შვილის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. რ. მ-შვილის ქმედება ყაჩაღურ თავდასხმასთან დაკავშირებით უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

ამასთან, ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულებს უნდა შეუმსუბუქდეთ სასჯელი.

გარდა ამისა, მ. პ-შვილისა და ზ. პ-შვილის ქმედებები სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებიდან და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ი" ქვეპუნქტებიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", "გ" და "დ" ქვეპუნქტებზე, 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ი" ქვეპუნქტებზე, რადგან ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის გამკაცრდა სასჯელი, კერძოდ, მისი ქვედა ზღვარი. ამავე მოტივით, რ. მ-შვილის ქმედება 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ი" ქვეპუნქტებიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ი" ქვეპუნქტებზე.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. მ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის, ასევე მსჯავრდებულების - ზ. პ-შვილისა და მ. პ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება თ. მ-ვის ოჯახზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში ზ. პ-შვილის მონაწილეობის შესახებ, ასევე - ი. და მ. გ-ძეებზე ყაჩაღური თავდასხმისას მ. პ-შვილისა და ზ. პ-შვილის მიზანზე დიდი ოდენობით ნივთის დაუფლებასთან დაკავშირებით და ბრალდების ამ ნაწილში მ. პ-შვილისა და ზ. პ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს რ. მ-შვილის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში რ. მ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

რ. მ-შვილის ქმედება სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ი" ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ი" ქვეპუნქტებზე;

მ. პ-შვილის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "ბ", "გ" ქვეპუნქტებიდან და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ი" ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", "გ", დ" ქვეპუნქტებზე და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ი" ქვეპუნქტებზე;

ზ. პ-შვილის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "ბ", "გ" ქვეპუნქტებიდან და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ი" ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", "გ", დ" ქვეპუნქტებზე და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ი" ქვეპუნქტებზე;

მ. პ-შვილს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", "გ", დ" ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 6 თვით და ამ მუხლით განესაზღვროს 10 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ზ. პ-შვილს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", "გ", დ" ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და ამ მუხლით განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

რ. მ-შვილს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

რ. მ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 17 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ზ. პ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 23 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მ. პ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 18 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1463-აპ-08

22 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. კ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განაჩენზე გ. კ-ისა და მ. მ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 ივნისის განაჩენით გ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 9 წლით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 9 წლით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 6 თვით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. გ. კ-ს საბოლოოდ მიესაჯა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ამავე განაჩენით მ. მ-ძე გამართლდა ერთ ეპიზოდში სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით - 6 წლით და 6 თვით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით - 6 წლით და 6 თვით, ხოლო 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მ. მ-ძეს საბოლოოდ მიესაჯა 13 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. კ-სა და მ. მ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. კ-ლი 2005 წლის 18 ივლისს გაასამართლა დედოფლისწყაროს რაიონულმა სასამართლომ და სსკ-ის 179-ე და 184-ე მუხლებით მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 2007 წლის 28 ნოემბერს.

2008 წლის 15 მარტს გ. კ-მა და მ. მ-მე მანიჭრახეს სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება ყაჩაღური თავდასხმის გზით. იმავე დღეს, დაახლოებით 3 საათზე მთვრალმა გ. კ-მა და მ. მ-მე ქ. თბილისის, მიმდებარე ტერიტორიაზე გააჩერეს "ოპელ-ომეგას" მარკის ტაქსი, რომელსაც მართავდა დ. დ-რი. ტაქსის მძღოლმა, მითითებისამებრ, აღნიშნული პირები მიიყვანა მ-ის ქუჩაზე. ერთ-ერთ ჩიხში ბოროტმოქმედებმა გააჩერებინეს ავტომანქანა და დანების გამოყენებით სიცოცხლის მოსპობის მუქარით გასტაცეს სხვადასხვა ნივთები, მათ შორის 40 ლარი, ავტომანქანის მაგნიტოფონი და საფულე, რომელშიც იდო მოქალაქის პირადობის და მართვის მოწმობები, ასევე - ავტომანქანის ტექსასპორტი. აღნიშნული დოკუმენტები გ. კ-მა ამოიღო საფულედან და მ. მ-ძის თხოვნის მიუხედავად, დოკუმენტები დაებრუნებინა დაზარალებულისათვის, გაიტაცა სხვა ნივთებთან ერთად. თავდამსხმელებმა სცადეს ავტომანქანის გატაცებაც, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან თავდა საწვავი და მათ მიატოვეს შემთხვევის ადგილი.

იმავე დამით აღნიშნულმა პირებმა კვლავ განიჭრახეს ყაჩაღური თავდასხმის განხორციელება. დაახლოებით 4.³⁰ საათზე გ. კ-მა და მ. მ-მე გააჩერეს "ფორდ-სკორპიოს" მარკის ტაქსი, რომელსაც ზ. მ-მე მართავდა და სთხოვეს ლ-ძის ქუჩაზე მიყვანა. იქ მისვლისას მ. მ-მე მძღოლს დანა დაადო კისერზე და მოსთხოვა ფული. დაზარალებულმა მას გადასცა 33 ლარი, ხოლო გ. კ-შვილი დაეუფლა სხვადასხვა ნივთებს, მათ შორის პირადობის, მართვისა და ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობებს. ამის შემდეგ თავდამსხმელები გადავიდნენ ავტომანქანიდან, თუმცა ისინი შემთხვევის ადგილზევე დააკავეს დაზარალებულის მიერ საშველად მოხმობილმა პოლიციელებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულთა ადვოკატებმა და ითხოვეს სასჯელის შემცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. კ-ლი ითხოვს მისთვის დანიშნული სასჯელის, როგორც მეტისმეტად მკაცრის, მინიმუმამდე შემცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება და საბრალდებო დასკვნიდანაც არ გამომდინარეობს ზ. მ-ზე განხორციელებული თავდასხმის ეპიზოდში მსჯავრდებულთა მიერ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით (ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ) გათვალისწინებული ქმედების ჩადენა. ზ. მ-მე განმარტავს, რომ თავდამსხმელებს არ მოუთხოვიათ ავტომანქანის ან მისი რომელიმე ნაწილის გადაცემა და არც გაუტაციათ.

ბრალდების აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელია და იგი უნდა გაუქმდეს გ. კ-ისა და მ. მ-ძის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით (ზ. მ-მეზე განხორციელებული თავდასხმის ეპიზოდი) მსჯავრდების ნაწილში.

ბრალდების მოცულობის შემცირების გამო მსჯავრდებულებს უნდა შეუმსუბუქდეთ სასჯელი.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენით არ არის გადაწყვეტილი ნივთმტკიცებად ცნობილი შავტარანი დანის საკითხი, რაც უნდა გასწორდეს.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია, ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააკველიციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით (ზ. მ-ძეზე ყაჩაღური თავდასხმის ეპიზოდი) გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში გ. კ-ისა და მ. მ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გ. კ-ს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (ზ. მ-ძეზე ყაჩაღური თავდასხმის ეპიზოდი) მიესაჯოს 8 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

მ. მ-ძეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (ზ. მ-ძეზე ყაჩაღური თავდასხმის ეპიზოდი) მიესაჯოს 6 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ნივთმტკიცება - შავტარიანი დანა განადგურდეს;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და გ. კ-ს საბოლოოდ მიესაჯოს 18 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; მ. მ-ძეს საბოლოოდ მიესაჯოს 13 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ყაჩაღობა

განჩინება

#1399-აპ-08

14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ს-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააკველიციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენზე ვ. ე-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის განაჩენით ვ. ე-ძე გამართლდა საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სსკ-ის 105-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში. იგი დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საბრალდებო დასკვნით ვ. ე-ძის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

1993 წლის 10 თებერვალს, დაახლოებით 19 საათზე, ვ. ე-ძე მთვრალ მეგობრებთან - დ. ს-სთან, გ. გ-სთან, ჯ. ბ-სა და გ. ფ-სთან ერთად იმყოფებოდა ოზურგეთის რაიონის ტერიტორიაზე. გ. ფ-ი შეიარაღებული იყო "კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით. სოფლის საავტომობილო გზაზე მათ შენიშნეს ოზურგეთის მიმართულებით მოძრავი „ვაზ-2106" მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა კ. ი-ი. ზემოაღნიშნული პირები შეთანხმდნენ, გაეტაცებინათ აღნიშნული ავტომანქანა. ამ მიზნით ისინი გადაუდგნენ გზაზე მოძრავ ავტომანქანას და აიძულეს მძღოლი, გაჩერებულიყო. ვ. ე-მ და მისმა თანმხლებმა პირებმა გაადეს ავტომანქანის კარი და მგზავრებს - გ. ლ-სა და ზ. ტ-ს მოსთხოვეს, გადმოსულიყვნენ ავტომანქანიდან. მძღოლმა კ. ი-მ დაძრა ავტომანქანა და სწრაფად წავიდა ქ. ოზურგეთის მიმართულებით, რაზედაც განაწყენდა გ. ფ-ი და მის ხელთ არსებული ავტომატიდან, დაახლოებით 10 მეტრის მანძილიდან რამდენიმეჯერ გაისროლა ავტომანქანაში მსხდომი პირების მიმართულებით, რა დროსაც ერთ-ერთი ტყვია მოხვდა კ. ი-ს თავის არეში და იგი ადგილზევე გარდაიცვალა. ავტომანქანამ გააგრძელა სვლა, შეეჯახა რკინა-ბეტონის ღობეს და გადაბრუნდა, რის შემდეგ მასში მსხდომმა გ. ლ-მ მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, ხოლო ზ. ტ-მ - ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება. ამის შემდეგ ვ. ე-ე თანმხლებ პირებთან ერთად მიიშალა.

1993 წლის 6 თებერვალს ვ. ე-ძემ ოზურგეთის რაიონის სოფელ ...-ის ჩაის ფაბრიკიდან ფარულად გაიტაცა 1000 კგ ჩაის მზა პროდუქცია, რომელიც გადამალა ამავე სოფელში თავის საცხოვრებელ ბინაში, აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში ვ. ე-ძე ამხილა ბ. მ-მ, რომელიც მუშაობდა ჩაის ფაბრიკის ინჟინერ-ტექნოლოგად. ბ. მ-მ ჩაის ფაბრიკის მუშების დახმარებით ვ. ე-ძის ბინიდან წამოიღო გატაცებული ჩაის მზა პროდუქცია, რაც გაიგო მიმალვაში მყოფმა ვ. ე-ძემ და 1993 წლის 18 თებერვალს, დაახლოებით 16.30 საათზე, ვითარების გარკვევის მიზნით, ვ. ჭ-ს

ეზოს ჭიშკართან შეხვდა ბ. მ-ს. საუბრისას ამ უკანასკნელს უთხრა, რომ თუ არ მისცემდა ჩაის საფასურს, გაიტაცებდა მის ავტომანქანას. აღნიშნულზე ვ. ე-მე და ბ. მ-ი შეკამათდნენ, რადროსაც ბ. მ-ს გამოესარჩლნენ მისი ცოლისძმები - დ. და მ. ბ-ძეები. მათ ვ. ე-მეს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და აიძულეს, თავი დაენებებინა ბ. მ-სათვის. ვ. ე-მე მოკვლით დაემუქრა ბ. მ-ს და იქაურობას გაეცალა. იგი განაწყენდა და გადაწყვიტა, მოეკლა ბ. მ-ი.

იმავ დღეს, დაახლოებით 19 საათზე, ავტომატით შეიარაღებული ვ. ე-მე მივიდა ჩაის ფაბრიკის საგუმბაგო ჯიხურთან, სადაც იმყოფებოდა ბ. მ-ი, შევიდა შიგნით და ავტომატიდან რამდენჯერმე გაისროლა ბ. მ-ს მიმართულად. ამ უკანასკნელს ტყვიები მოხვდა სხეულის სხვადასხვა არეში და ამის შედეგად საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ვ. ე-მემ დაუდგენელ პირთან ერთად მიატოვა შემთხვევის ადგილი და მიიმალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულის უფლებამონაცვლე ნ. მ-მ და პროკურორმა მ. ს-მ. მათ მოითხოვეს ვ. ე-მის დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 105-ე მუხლითაც და 19 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

სააპელაციო პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - ოზურგეთის რაიონული პროკურორის მოადგილე მ. ს-მე თავის საჩივარში მიუთითებს, რომ ვ. ე-ს მიერ ბ. მ-ს განზრახ მკვლელობა დადასტურებულია საქმეში არსებული მასალებით და უკანონო სააპელაციო პალატის განაჩენი ბრალდების ამ ნაწილში ვ. ე-ს გამართლების შესახებ.

პროკურორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდში და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განზრახ მკვლელობის ბრალდების ეპიზოდთან დაკავშირებით საქმეში არ მოიპოვება ვ. ე-ს მამხილებელი უტყუარი მტკიცებულებები, რაც სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აუცილებელია დასაბუთებული განაჩენის დასადგენად.

პროკურორის საკასაციო საჩივარში მითითებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე სახეზეა მხოლოდ ვარაუდი, რომ ვ. ე-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, რაც სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად, ობიექტურად და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდება და არ იწვევდა ეჭვს.

ვ. ე-ს მიერ ჯგუფურად ყაჩაღობის ჩადენა დადასტურებულია მსჯავრდებულ დ. ს-ს თანმიმდევრული და დამაჯერებელი ჩვენებებითაც. რაც შეეხება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტს (ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ), დანაშაულის აღნიშნული მაკვალიფიცირებელი ნიშანი ამოქმედდა 2007 წლის 18 იანვრიდან და მას 2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი არ ითვალისწინებდა. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე კანონი რამდენჯერმე შეიცვალა და სსკ-ის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტი და ბრალდების ამ ნაწილში ვ. ე-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერია, ხოლო დანიშნული სასჯელი - სამართლიანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

პროკურორ მ. ს-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტი და ბრალდების ამ ნაწილში ვ. ე-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - ვ. ე-სათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#167-აპ-09

22 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ჩ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ტ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით გ. ჩ-ძე გამართლდა სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მიესაჯა 14 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 16 ივლისიდან.

სასამართლომ დადგინა, რომ გ. ჩ-ძემ, იყო რა ორჯერ ნასამართლვეი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, ჯგუფურად ჩაიდინა ყაჩაღობა, კერძოდ:

1999 წლის 3 სექტემბერს გ. ჩ-ძე გაასამართლა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ და იმ დროს მოქმედი სსკ-ის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის აღსრულება მსჯავრდებულს გადაევადა.

2000 წლის 23 თებერვალს ამავე სასამართლომ კვლავ გაასამართლა გ. ჩ-ძე და სსკ-ის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ქურდობა ბინაში შეღწევით) მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული და მოუხდელი სასჯელიდან 3 თვე და განესაზღვრა 3 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2004 წლის 26 აპრილს გ. ჩ-ძე გაასამართლა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ და სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 23 თებერვლის განაჩენით დანიშნული და მოუხდელი სასჯელი - 3 თვე და საბოლოოდ განესაზღვრა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2004 წლის 6 აპრილიდან.

2008 წლის 6 ივლისს გ. ჩ-ძე დაუკავშირდა დაუდგენელ სამ პირს. ისინი შეთანხმდნენ, განეხორციელებინათ ყაჩაღური თავდასხმა, რისთვისაც შეიარაღდნენ ცეცხლსასროლი იარაღით და დაწებით. იმავე დღეს, დაახლოებით 6 საათზე აღნიშნული პირები მივიდნენ ქ. თბილისში, სადაც ო. მ-შვილს ცეცხლსასროლი იარაღისა და დანების გამოყენების მუქარით გასტაცეს ფული და სხვადასხვა ნივთები, რითიც მიაყენეს 3100 ლარის ოდენობის ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა. მათ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული გ. ჩ-ძე და მისი ადვოკატი მ. ტ-ძე საჩივარში მიუთითებენ, რომ საქმეში არ მოიპოვება გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად საკმარისი მტკიცებულებები. მოწმეები - ნ. ჩ-ძე და მ. კ-შვილი კატეგორიულად აცხადებენ, რომ გ. ჩ-ძე 2008 წლის 2 ივლისიდან 15 ივლისამდე სამსახურიდან არ გასულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მოითხოვენ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოწმეთა ჩვენებები, რომლებზეც მიუთითებენ კასატორები, შეფასებულია ობიექტურად. მ. კ-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ დანამდვილებით ვერ იტყვის, 6 ივლისს, ღამით გ. ჩ-მე სამსახურიდან გავიდა თუ არა.

საგულისხმოა მოწმე ნ. ჩ-მის ჩვენება. იგი მიუთითებს, რომ გ. ჩ-მეს იცნობს დიდი ხანია, მისი დაკავების შესახებ მესამე დღეს შეიტყო, თუმცა "ვერ გავიდა გამომძიებელთან". ამასთან, მას უთხრეს, რომ გამომძიებელს შეეძლო, თავად მისულიყო დასაკითხად და ამიტომაც არ მივიდა, თან "არც ეცალა". თავად მსჯავრდებული პირველი ინსტანციის სასამართლოში აცხადებს, რომ სამსახურში ღამით "ხშირად რჩებოდა", შემდეგ კი მიუთითებს - სამსახურიდან პორველად 16 ივლისს გამოვედიო. ამავე ჩვენებში გ. ჩ-მე აღნიშნავს, რომ სამსახურიდან მხოლოდ იქვე მდებარე მაღაზიაში გადიოდა.

დაზარალებულმა ო. მ-შვილმა საქმის წინასწარი გამოძიებისას ჯერ ფოტოსურათებით, შემდეგ კი პირადად ამოიკნო გ. ჩ-მე და კატეგორიულად განაცხადა, რომ სწორედ იგი იყო ერთ-ერთი თავდამსხმელი. დაზარალებულმა სასამართლოშიც მიუთითა, რომ გ. ჩ-მის ამოცნობაში არ შემცდარა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ გ. ჩ-მემ ჯგუფურად ჩაიდინა ყაჩაღობა. ამასთან, მსჯავრდებულს წინა ნასამართლობები გაქარწყლებული აქვს და მისი ქმედების სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით დაკვალიფიცირება არასწორია, კერძოდ:

რამდენადაც გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 აპრილის განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით, ქურდობისათვის განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, გ. ჩ-მეს ადრე ჩადენილი ქურდობისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა უნდა ათვლოდა სწორედ 2004 წლის 26 აპრილის განაჩენით დანიშნული საბოლოო სასჯელის მოხდის დღიდან, უკიდურეს შემთხვევაში - 2005 წლის 6 იანვრიდან, რადგან გ. ჩ-მეს განსაზღვრული სასჯელის - 9 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაეწყო 2004 წლის 6 აპრილიდან. ამ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 3 სექტემბრისა და 2000 წლის 23 თებერვლის განაჩენებით დადგენილი ქმედებები გ. ჩ-მემ ჩაიდინა არასრულწლოვან ასაკში. სსკ-ის მე-100 მუხლის "დ" პუნქტის შესაბამისად, 18 წლამდე ასაკში ჩადენილი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობა გაქარწყლება სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ.

ამდენად, ნასამართლობის გაქარწყლების აღნიშნული 3-წლიანი ვადა ამოიწურა 2008 წლის 6 იანვარს და ვინაიდან გ. ჩ-მემ ბოლო დანაშაული ჩაიდინა 2008 წლის 6 ივლისს, ამ დროისათვის იგი ნასამართლობის არმქონე იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ჩ-მის მიმართ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ჩ-მისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ტ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში გ. ჩ-მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გ. ჩ-მის ქმედება საბოლოოდ დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. თაღლითობა

განჩინება

#756-აპ

8 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განაჩენით ს. ლ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 339¹ მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის; ასევე - ზეგავლენით ვაჭრობა პირის მიერ, რომელიც ამტკიცებს, რომ მას შეუძლია მართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე სხვა პირის სასარგებლოდ იმ პირისაგან, რომელიც მოქმედებს სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ ფულის და სხვა არამართლზომიერი უპირატესობის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა ასეთი გავლენა.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 18 იანვრის განაჩენით ს. ლ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გორში მცხოვრები თ. თ-შვილი 2001 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას. მისი ოფისი მდებარეობს გორში, 2005 წლის 5 ივლისს ადვოკატ თ. თ-შვილს სამართლებრივი მომსახურებისათვის მიმართა დ. გ-ვის დედამ - ო. კ-ვამ, რომელთანაც თ. თ-შვილმა გააფორმა ხელშეკრულება 2500 აშშ დოლარის ჰონორარის სანაცვლოდ წინასწარ გამოძიებაში დ. გ-ვის ინტერესების დასაცავად.

2007 წლის 12 ივნისს წარსულში თაღლითობისათვის ნასამართლევ ს. ლ-შვილისათვის ცნობილი გახდა, რომ 2005 წლის 5 ივლისს ადვოკატ თ. თ-შვილს ო. კ-ვასაგან ჰონორარის სახით მიღებული ჰქონდა 2500 აშშ დოლარი და 2007 წლის 19 ივნისს, დაახლოებით 13.³⁰ საათზე, შეხვდა თ. თ-შვილს გორში, მისსავე ოფისში, გაეცნო, როგორც შს სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელი, პოლიციის პოლკოვნიკი და უთხრა, რომ მის მეგობარს, შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის გამომძიებელ მ. ზ-ძეს წარმოებაში ჰქონდა ო. კ-ვას საჩივარი მის წინააღმდეგ და, თუ არ მოაგვარებდა ამ პრობლემას, მას დააკავებდნენ.

ს. ლ-შვილმა ადვოკატს ვითომდა საჩივრის გამოსატანად სთხოვა 2500 აშშ დოლარის გადახდა იმავე დღის 19 საათამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა დაკავებით. ამასთან, მეტი დამაჯერებლობისათვის უთხრა, რომ მას წინა დღეს ანალოგიური შემთხვევის გამო დაკავებული ჰყავდა რამდენიმე ადვოკატი.

ს. ლ-შვილმა მოტყუებით, შს სამინისტროს თანამშრომლის სტატუსის გამოყენებით, ადვოკატი თ. თ-შვილი აიძულა და დაითანხმა მისთვის 2500 აშშ დოლარის გადახდაზე, ვითომდა ო. კ-ვასათვის გადასაცემად. ს. ლ-შვილი იმავე დღეს, დაახლოებით 16 საათზე, გორში, წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე, შეხვდა ადვოკატ თ. თ-შვილს და წარუდგინა ო. კ-ვას სახელით რუსულ ენაზე დაწერილი ხელწერილი, რომ, თუ ადვოკატი მის ნდობით აღჭურვილ პირს - ს. ლ-შვილს გადაუხდოდა 2800 აშშ დოლარს, აღარ უჩივლებდა. იმავე ფურცელზე ადვოკატს დააწერინა ხელწერილი 2500 აშშ დოლარის გადაცემაზე, თვითონაც ხელმოწერით დაადასტურა თანხის მიღება, შემდეგ კი მოტყუებით მიიღო ადვოკატ თ. თ-შვილის კუთვნილი 2500 აშშ დოლარი და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ს. ლ-შვილი, განაგრძობდა რა ადვოკატ თ. თ-შვილის მოტყუებას, 2007 წლის 19 ივნისს, დაახლოებით 22.³⁰ საათზე, თბილისში, შეხვდა მას და არწმუნებდა, რომ მიღებული 2500 აშშ დოლარი გადაცემული ჰქონდა ო. კ-ვასათვის და მათ მიერ დაწერილი ხელწერილი წარუდგინა

გამომძიებელ მ. ზ-ძეს. ს. ლ-შვილმა დაარწმუნა თ. თ-შვილი, რომ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, გამომძიებელ მ. ზ-ძესთან მეგობრული ურთიერთობით შეეძლო მასზე გავლენის მოხდენა და გამომძიებელი თავის წარმოებაში არსებულ ო. კ-ვას განცხადებაზე რეაგირებას არ მოახდენდა და არამართლზომიერი უპირატესობის მიღების სანაცვლოდ დაუბრუნებდა განცხადებას, რასაც მის წინაშე გაანადგურებდა. ს. ლ-შვილი ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად დაუყოვნებლივ ამხილეს და პირადი ჩხრეკისას მისგან ამოიღეს თ. თ-შვილისაგან მოტყუებით მიღებული 2500 აშშ დოლარის ნაწილი - 2300 აშშ დოლარი.

აღნიშნული ქმედებისათვის ს. ლ-შვილს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 7 წლით, 339¹ მუხლის მე-2 ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად - ჯარიმა 4 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 19 ივნისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ი. წ-ძემ და ითხოვა ს. ლ-შვილის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ს. ლ-შვილს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 339¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4 ათასი ლარის ოდენობით.

კასატორი - მსჯავრდებული ს. ლ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ არ უნდა ჩარეულიყო თავისი ნათესავის საქმეში, მაგრამ მას დანაშაული არ ჩაუდენია ანგარების მიზნით, სურდა ნათესავის გაჭირვებული ოჯახისათვის დახმარება, რათა ადვოკატ თ. თ-შვილს დაებრუნებინა მოტყუებით და თაღლითურად ო. კ-ვასათვის გამორთმეული 2800 აშშ დოლარი; ადვოკატ თ. თ-შვილის მიერ წარმოდგენილი საადვოკატო ხელშეკრულება 2500 აშშ დოლარზე აღმოჩნდა ყალბი; მან ვერ წარმოადგინა საექსპერტო დასკვნა საავადმყოფოდან, საგადასახადო ქვითარი ბანკიდან. გარდა ამისა, მსჯავრდებული ითხოვს, სასამართლომ გაითვალისწინოს მისი ოჯახის მიმდებარეობა, კერძოდ ის, რომ თვითონ აქვს ნერვის ანთება და ჰყავს მე-2 ჯგუფის ინვალიდი სამი შვილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ს. ლ-შვილი ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის მითითება მისი უდანაშაულობის შესახებ უსაფუძვლოა, რადგან საქმეში არსებული მასალები უდავოდ ადასტურებს, რომ ს. ლ-შვილის მიერ დაზარალებულისათვის აღწერილი გარემოებები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და მოტყუება ემსახურებოდა მხოლოდ სხვისი თანხის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზანს. ამასთან დაკავშირებით ამომწურავად იმსჯელა სააპელაციო პალატამ და სწორად მიიჩნია დადგენილად ს. ლ-შვილის მიერ თაღლითობის ჩადენა.

ამასთან საქმის მასალებით ირკვევა, რომ წინა განაჩენით ს. ლ-შვილი მსჯავრდებული იყო მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 18 ივნისის ბრძანებულებით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე გათავისუფლდა.

დადგენილია, რომ ს. ლ-შვილმა დანაშაული ჩადინა 2007 წლის 19 ივნისს და სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ნასამართლობა გაქარწყლებული იყო. ამდენად, თაღლითობის არაერთგზის ჩადენის ბრალდების ეპიზოდში ს. ლ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და, შესაბამისად, მას უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

აღსანიშნავია, რომ საბრალდებო დასკვნით ს. ლ-შვილს ბრალი ედებოდა თაღლითობის არაერთგზის ჩადენაში, რასაც ითვალისწინებს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და რაც დადგენილად მიიჩნია ორივე ინსტანციის სასამართლომ, მაგრამ თავიანთი განაჩენებით ს. ლ-შვილი მსჯავრდებულია ამავე კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

რდა და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 50-ე მუხლის თანახმად, კ. ხ-შვილს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 17500 ლარის ოდენობით.

გ. კ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელი გაუნახვერდა და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელი გაუნახვერდა და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 7000 ლარის ოდენობით.

დაზარალებულების სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა და კ. ხ-შვილს დაეკისრა: დაზარალებულების - ლ. ლ-უას სასარგებლოდ - 6500 აშშ დოლარის, მ. დ-იანის სასარგებლოდ - 9000 აშშ დოლარის, დ. მ-იას სასარგებლოდ - 6400 აშშ დოლარის, უ. ჯ-ლის სასარგებლოდ - 8700 აშშ დოლარის, ნ. ა-ძის სასარგებლოდ - 12500 აშშ დოლარის, თ. ხ-ძის სასარგებლოდ - 14000 აშშ დოლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ქ. მცხეთაში მცხოვრებმა კ. ხ-შვილმა განიზრახა, დაემზადებინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი და ბლანკი, რის შემდეგაც მას გამოიყენებდა პირადი შეხედულებისამებრ.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2007 წლის სექტემბერში, კ. ხ-შვილი და ქ. მცხეთაში მცხოვრები გ. კ-მე, წინასწარი შეთანხმებით, დაუკავშირდნენ ჯერჯერობით გამოძიებისათვის დაუდგენელ პირს თბილისში და მისი დახმარებით დაამზადეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტი და ბლანკი (საჯარო რეესტრის უძრავი ქონების ამონაწერი, ჩუქების ხელშეკრულება და საკადასტრო რუკა), კერძოდ, ქ. მცხეთაში მცხოვრების, აწ გარდაცვლილ კ. კ-ძის საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრის ყალბი ამონაწერი, რომ თითქოსდა აღნიშნული ქონების მესაკუთრე იყო ნ. კ-მე, რის შემდეგაც გადაწყვიტეს მოემუშაოთ კონკრეტული პირი, რომელიც მათ სესხის სახით მისცემდა გარკვეულ ფულად თანხას, სესხის უზრუნველყოფის მიზნით კი იპოთეკით დატვირთავდნენ უძრავ ქონებას, რომლის ნამდვილი მესაკუთრეც, ყალბი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ვითომდა იყო ნ. კ-მე, სესხის სახით აღებულ თანხას კი გაინაწილებდნენ.

ამ მიზნით 2007 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში კ. ხ-შვილი დაუკავშირდა თავის ნაცნობს, თბილისში მცხოვრებ დ. რ-ძეს, რომელსაც უთხრა, რომ მის მეგობარს - გ. კ-ძეს სურდა სესხის სახით ფულადი თანხის აღება და იპოთეკით დატვირთავდა ქ. მცხეთაში მდებარე საცხოვრებელ სახლს. დ. რ-ძემ აღუთქვა დახმარება და უთხრა, რომ მის ახლობელს - თ. ხ-ძეს სურდა ფულადი თანხის გასესხება. რამდენიმე დღის შემდეგ დ. რ-მე და თ. ხ-მე, ასევე მისი ახლობელი ი. ჩ-უა სახლის სანახავად ჩავიდნენ ქალაქ მცხეთაში, სადაც მათ ანახეს გ. კ-ძის საცხოვრებელი სახლი, რომელიც მოეწონათ და მოითხოვეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ, რაზედაც მას უთხრეს, რომ საბუთები ჩაბარებული ჰქონდათ საჯარო რეესტრში და ხელშეკრულების გაფორმების დღეს მიიტანდნენ ნოტარიუსთან.

2007 წლის 26 სექტემბერს, წინასწარი შეთანხმებისამებრ, კ. ხ-შვილმა და გ. კ-მემ, ჯერჯერობით გამოძიებისათვის დაუდგენელი პირის დახმარებით, წინასწარ დაამზადეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტები - საჯარო რეესტრის ამონაწერი უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ, საკადასტრო რუკა და ჩუქების ხელშეკრულება, რომ, ვითომდა, ქ. მცხეთაში მდებარე საცხოვრებელ სახლის მესაკუთრე იყო გ. კ-ძის დედა - ნ. კ-მე (რომელიც არის ინვალიდი), რის შემდეგაც აღნიშნული გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე, თბილისში მდებარე ნ. მ-შვილის სანოტარო ბიუროში, თ. ხ-ძესა და ნ. კ-ძეს შორის გააფორმეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რა დროსაც კ. ხ-შვილი და გ. კ-მე მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაეუფლნენ თ. ხ-ძის კუთვნილ ფულად თანხას - 14860 აშშ დოლარს, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

კ. ხ-შვილმა და გ. კ-ძემ, რომლებსაც წინასწარი შეთანხმებით დამზადებული ჰქონდათ ყალბი დოკუმენტები და მათი გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლნენ დიდი ოდენობით ფულად თანხას, კვლავ განიზრახეს, დაკავშირებოდნენ ჯერჯერობით გამოძიებისათვის დაუდგენელ პირს და დაემზადებინათ ყალბი დოკუმენტები, რის შემდეგაც მას გამოიყენებდნენ პირადი შეხედულებისამებრ.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, კ. ხ-შვილი და გ. კ-ძე წავიდნენ თბილისში და წერეთლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ ფირმაში გაიგეს, რომ მ-იას სურდა სარგებლიანი სესხის ხელშეკრულების გაფორმება. კ. ხ-შვილი დაუკავშირდა დ. მ-იას და უთხრა, რომ სურდა სესხის ხელშეკრულების გაფორმება, რომლის უზრუნველყოფის სანაცვლოდ იპოთეკით დატვირთავდა ქ. მცხეთაში მდებარე უძრავ ქონებას. ისინი შეხვდნენ მეტროს სადგურ "წერეთელ-თან", რის შემდეგაც კ. ხ-შვილი, დ. მ-ია და ამ უკანასკნელის ახლობლები - ნ. მ-შვილი და ზ. ბ-სკი წავიდნენ ქ. მცხეთაში სახლის სანახავად. გზაში კ. ხ-შვილმა დ. მ-იას უთხრა, რომ ეს სახლი ეკუთვნოდა მის ბიძოლას. სახლის ნახვის შემდეგ დ. მ-იას აჩვენეს გ. კ-ძის, კ. ხ-შვილისა და გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ წინასწარ დამზადებული ყალბი დოკუმენტები და ბლანკები, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერი უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ, საკადასტრო რუკა და ჩუქების ხელშეკრულება, რომ, ვითომდა, ქ. მცხეთაში ცხოვრობდა ნ. კ-ძე, რის შემდეგაც, მეორე დღეს, აღნიშნული გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე, თბილისში მდებარე სანოტარო ბიუროში, ნოტარიუს ქ. გ-იასთან დ. მ-იასა და ნ. კ-ძეს შორის გააფორმეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რითაც კ. ხ-შვილი და გ. კ-ძე მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაეუფლნენ დ. მ-იას კუთვნილ ფულად თანხას - 6784 აშშ დოლარს, რითაც დაზარალებულს მიაყენეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

კ. ხ-შვილმა, რომელსაც დამზადებული ჰქონდა ყალბი დოკუმენტები და მათი გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლა დიდი ოდენობით ფულად თანხას, კვლავ განიზრახა, დაკავშირებოდა ჯერჯერობით გამოძიებისათვის დაუდგენელ პირს, რომელიც უმზადებდა ყალბ დოკუმენტებს და კვლავ შესთავაზა, დაემზადებინა ყალბი დოკუმენტები, რის შემდეგაც მათ გამოიყენებდა პირადი შეხედულებისამებრ.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, კ. ხ-შვილი წავიდა თბილისში და ერთ-ერთ ფირმაში შეხვდა ნ. ტ-იანს, რომელსაც უთხრა, რომ სურდა სარგებლიანი სესხის აღება და სანაცვლოდ იპოთეკით დატვირთავდა ქ. მცხეთაში მდებარე თავის საცხოვრებელ სახლს. თავის მხრივ ნ. ტ-იანი დაუკავშირდა თავის ნაცნობს, თბილისში მცხოვრებ ლ. ლ-უას, რომელსაც უთხრა, რომ მასთან იყო მისული პიროვნება, რომელსაც 15500 აშშ დოლარის ოდენობით სურდა პროცენტის სესხის აღება, ხოლო სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იგი იპოთეკის სახით დატვირთავდა ქ. მცხეთაში მდებარე ორსართულიან კერძო სახლს. იმის გამო, რომ ლ. ლ-უას გადაწყვეტილი ჰქონდა დაახლოებით 6000 აშშ დოლარამდე თანხის პროცენტის სარგებლით გასესხება და, ამასთან, იცოდა, რომ მის ნაცნობს - მ. დ-იანს ასევე სურდა თანხის გასესხება 9000 აშშ დოლარის ოდენობით, ნ. ტ-იანს უთხრა, რომ შეეძლო მის მიერ აღნიშნული 15500 აშშ დოლარის შეგროვება და მისი პროცენტით გასესხება, სანოტარო წესით შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ კ. ხ-შვილი შეხვდა ლ. ლ-უასა და ნ. ტ-იანს თბილისში. კ. ხ-შვილმა, იმისათვის, რომ ლ. ლ-უას ეჭვი არ გასჩენოდა და დაერწმუნებინა იგი, მოატყუა, რომ ჰყავდა ავადმყოფი დედა, რომელიც მკურნალობდა თბილისში, საავადმყოფოში და მკურნალობის ღირებულების თანხა მეორე დღის დილის 9.00 საათამდე აუცილებლად უნდა შეეტანა შესაბამის ანგარიშზე. სესხის უზრუნველყოფის მიზნით კი იპოთეკით დატვირთავდა მის საკუთრებაში არსებულ, ქ. მცხეთაში მდებარე მამაპაპეულ ორსართულიან სახლს.

აღნიშნულის შემდეგ კ. ხ-შვილმა ლ. ლ-უა და ნ. ტ-იანი წაიყვანა ქ. მცხეთაში სახლის სანახავად. მცხეთაში ჩასვლისას კ. ხ-შვილმა ლ. ლ-უა მიიყვანა სვეტიცხოვლის ეკლესიის მახლობლად მდებარე საცხოვრებელ სახლში, რომელიც იყო ვითომდა მამაპაპეული. სახლის დათვალიერების შემდეგ, კ. ხ-შვილი, ლ. ლ-უა და ნ. ტ-იანი დაბრუნდნენ თბილისში და მივიდნენ ლ. ლ-უას ნაცნობ ნოტარიუსთან - მ. ბ-მესთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს თბილისში. დაახლოებით ნახევარ საათში იმავე სანოტარო ბიუროში მივიდა მ. დ-იანიც. კ. ხ-შვილმა ნოტარიუსს დედნის სახით წარუდგინა ყალბი საჯარო რეესტრის ამონაწერი ზემოაღნიშნულ სახლზე, რომელიც დამოწმებული იყო, ერთი შეხედვით, ნამდვილი ბეჭდით და გაურკვეველი ხელმოწერით. აღნიშნულის შემდეგ კ. ხ-შვილს, ლ. ლ-უასა და მ. დ-იანს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც კ. ხ-შვილმა სამი თვის ვადით, ყოველთვიურად 3%-ის დარიცხვით, მ. დ-იანისაგან ისესხა 9000 აშშ დოლარი, ხოლო ლ. ლ-უასგან - 6500 აშშ დოლარი. სულ სესხის თანხამ, კ. ხ-შვილის მოთხოვნის შესაბამისად, შეადგინა 15500 აშშ დოლარი. ამავე ხელშეკრულებით მოცემული სესხის უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა ქ. მცხეთაში მდებარე ორსართულიანი სახლი, რომელიც სინამდვილეში კ. ხ-შვილის სახელზე არ

ირიცხებოდა. აღნიშნულ შემთხვევაში კ. ხ-შვილი თაღლითურად დაეუფლა ლ. ლ-უას კუთვნილ თანხას - 6500 აშშ დოლარს და მ. დ-იანის კუთვნილ ფულად თანხას - 9000 აშშ დოლარს, რითაც დაზარალებულებს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

კ. ხ-შვილმა, რომელსაც დამზადებული ჰქონდა ყალბი დოკუმენტები და მათი გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლა დიდი ოდენობით თანხას, კვლავ განიზრახა, დაკავშირებოდა გამოძიებისათვის ჯერჯერობით დაუდგენელ პირს, რომელიც უმზადებდა ყალბ დოკუმენტებს და კვლავ შესთავაზა, დაემზადებინა ყალბი დოკუმენტები, რის შემდეგაც მათ გამოიყენებდა პირადი შეხედულებისამებრ.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, კ. ხ-შვილი წავიდა თბილისში და ერთ-ერთი საშუაშელო ფირმის მეშვეობით შეხვდა თბილისში მცხოვრებ ჟ. ჯ-ლს, რომელსაც უთხრა, რომ სურდა სარგებლიანი სესხის აღება და სანაცვლოდ იპოთეკით დატვირთავდა ქ. მცხეთაში მდებარე კერძო სახლს.

აღნიშნულის შემდეგ კ. ხ-შვილი და ჟ. ჯ-ლი მივიდნენ ნოტარიუს ა. რ-შვილთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს თბილისში. კ. ხ-შვილმა ნოტარიუსს დედნის სახით წარუდგინა ყალბი საჯარო რეესტრის ამონაწერი ქ. მცხეთაში მდებარე უძრავ ქონებაზე, რომელიც დამოწმებული იყო, ერთი შეხედვით, ნამდვილი ბეჭდით და გაურკვეველი ხელმოწერით. აღნიშნულის შემდეგ კ. ხ-შვილსა და ჟ. ჯ-ლს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება 10000 აშშ დოლარის ოდენობით. ამავე ხელშეკრულებით მოცემული სესხის უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა ქ. მცხეთაში მდებარე ორსართულიანი სახლი, რომელიც სინამდვილეში კ. ხ-შვილის სახელზე არ ირიცხებოდა. კ. ხ-შვილი აღნიშნული ქმედებით თაღლითურად დაეუფლა ჟ. ჯ-ლის კუთვნილ თანხას - 10000 აშშ დოლარს, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

კ. ხ-შვილმა, რომელსაც დამზადებული ჰქონდა ყალბი დოკუმენტები და მათი გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლა დიდი ოდენობით ფულად თანხას, კვლავ განიზრახა, დაკავშირებოდა ჯერჯერობით გამოძიებისათვის დაუდგენელ პირს, რომელიც უმზადებდა ყალბ დოკუმენტებს და შესთავაზა, დაემზადებინა ყალბი დოკუმენტები, რის შემდეგაც მას გამოიყენებდა პირადი შეხედულებისამებრ.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, კ. ხ-შვილი წავიდა თბილისში და ერთ-ერთი საშუაშელო ფირმის მეშვეობით შეხვდა თბილისში მცხოვრებ ნ. ა-ძეს, რომელსაც უთხრა, რომ სურდა სარგებლიანი სესხის აღება და სანაცვლოდ იპოთეკით დატვირთავდა ქ. მცხეთაში მდებარე კერძო სახლს.

აღნიშნულის შემდეგ კ. ხ-შვილი და ნ. ა-ძე წავიდნენ სახლის სანახავად. ქ. მცხეთაში ჩასვლისას კ. ხ-შვილმა ნ. ა-ძე მიიყვანა სვეტიცხოვლის ეკლესიის მახლობლად მდებარე საცხოვრებელ სახლში, რომელიც იყო ვითომდა მამაპაპეული. სახლის დათვალიერების შემდეგ კ. ხ-შვილი და ნ. ა-ძე დაბრუნდნენ თბილისში და მივიდნენ იქ მდებარე სანოტარო ბიუროში, ნოტარიუს ჟ. ტ-შვილთან, რომელსაც კ. ხ-შვილმა დედნის სახით წარუდგინა ყალბი საჯარო რეესტრის ამონაწერი ქ. მცხეთაში მდებარე უძრავ ქონებაზე, რომელიც დამოწმებული იყო, ერთი შეხედვით, ნამდვილი ბეჭდით და გაურკვეველი ხელმოწერით. აღნიშნულის შემდეგ კ. ხ-შვილსა და ნ. ა-ძეს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება 12500 აშშ დოლარის ოდენობით. ამავე ხელშეკრულებით მოცემული სესხის უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა ქ. მცხეთაში მდებარე ორსართულიანი სახლი, რომელიც სინამდვილეში კ. ხ-შვილის სახელზე არ ირიცხებოდა. კ. ხ-შვილი აღნიშნული ქმედებით თაღლითურად დაეუფლა ნ. ა-ძის კუთვნილ თანხას - 12500 აშშ დოლარს, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. სულ კ. ხ-შვილი თაღლითური გზით დაეუფლა მოქალაქეთა კუთვნილ 59144 აშშ დოლარს.

2007 წლის 23 მარტს კ. ხ-შვილი პირადი მოხმარების მიზნით, ექიმის დანიშნულების გარეშე, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის გამოავლინეს თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა და აღნიშნული ქმედებისათვის იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ადმინისტრაციული წესით დააჯარიმა 500 ლარით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კ. ხ-შვილი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ, ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა 2007 წლის 21 დეკემბერს კ. ხ-შვილი შეამოწმეს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე. კლინიკურ-ლაბორატორიული ნარკოლოგიური გამოკვლევის #5021579 დასკვნის მიხედვით, კ. ხ-შვილს დაუდგინდა ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ კ. ხ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. მ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: კ. ხ-შვილის მიმართ თაღლითობისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ყველა ეპიზოდში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასა და კ. ხ-შვილის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით; განაჩენის გაუქმებას სამოქალაქო ნაწილში, რადგან ზიანი არ არის მიყენებული დანაშაულებრივი ქმედებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. სასამართლო ორგანოებმა გამოკვლევულ მტკიცებულებებს მისცეს სწორი სამართლებრივი შეფასება, საქმეზე დადგენილია კანონიერი განაჩენი, რომლის შეცვლის ან გაუქმების საფუძველი პალატას არ გააჩნია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში მოიპოვება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რითაც დასტურდება მსჯავრდებულ კ. ხ-შვილის მიერ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა. ეს მტკიცებულებებია არა მხოლოდ დაზარალებულების - ლ. ლ-უას, მ. დ-იანის, დ. მ-იას, ჟ. ჯ-ლის, თ. ხ-ძის, ნ. ა-ძის ჩვენებები, არამედ აგრეთვე მოწმეების - თ. კ-ძის, ი. ჩ-უას, ქ. გ-იას, ნ. მ-შვილის, ზ. ი-ლის, ნ. კ-ძის, თ. დ-ლის ჩვენებები, გრაფიკული და ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა და საქმეში არსებული სხვა მასალები.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მსჯავრდებულის ქმედებას და სასჯელის ზომაც სამართლიანად განუსაზღვრა.

რაც შეეხება ამავე საქმეზე მსჯავრდებულ გ. კ-ძეს, რომელსაც განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, სრული მოცულობით შეამოწმა საქმე მსჯავრდებულ გ. კ-ძის მიმართაც და მიიჩნია, რომ დადგენილი განაჩენი მის მიმართ კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტისა და მესამე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ კ. ხ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 50-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 30 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 17500 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ კ. ხ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ კ. ხ-შვილს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 50-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 30 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 17500 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თადლითობა

განჩინება

#1034-აპ

21 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ხ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 1 აპრილის განაჩენით შ. ხ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ", "დ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მიესაჯა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ამავე განაჩენით გ. მ-ძე დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ", "დ" ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. გარდა ამისა, გ. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 276-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდისაგან გათავისუფლდა "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის საფუძველზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. მ-ძე 2003 წლის 23 აპრილიდან მუშაობდა სს „პროკრედიტ ბანკის“ ცენტრალური ფილიალის მარნეულის განყოფილებაში საკრედიტო ექსპერტად აგროსესხების მიმართულებით, ხოლო 2005 წლის 28 აპრილიდან 2006 წლის 27 თებერვლამდე მუშაობდა ამავე მიმართულების უფროს საკრედიტო ექსპერტად.

შ. ხ-ძე 2004 წლის 9 აგვისტოდან 2006 წლის 23 მარტამდე მუშაობდა იგივე ბანკის, იგივე ფილიალის, იგივე მიმართულების საკრედიტო ექსპერტად და სამსახურებრივად ემორჩილებოდა უფროსს, საკრედიტო ექსპერტ გ. მ-ძეს. მცირე და საშუალო სესხების უფროსი საკრედიტო ექსპერტის თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, გ. მ-ძეს ევალებოდა, ორგანიზება გაეწია და სხვა საკრედიტო ექსპერტებთან ერთად ყველა შესაძლო ღონისძიება გაეტარებინა ვადაგადაცილებული და პრობლემური სესხების ამოსაღებად, წარუმატებლობის შემთხვევაში, კონკრეტული ფაქტების შესახებ ეცნობებინა ბანკის ფილიალის მმართველისა და საკრედიტო მენეჯერისათვის.

შ. ხ-ძე, როგორც საკრედიტო ექსპერტი, საბანკო ინსტრუქციების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ვალდებული იყო დაუყოვნებლივ ეცნობებინა უფროსი საკრედიტო ექსპერტისათვის, ამ

შემთხვევაში - გ. მ-ძისათვის, საკრედიტო მენეჯერის, ფილიალის მმართველის და სათავო ოფისის საკრედიტო დეპარტამენტისათვის.

შ. ხ-ძეს სამსახურში დანიშნვისთანავე გადაეცა გ. მ-ძის მიერ შექმნილი, მარნეულის რაიონის ახერბაიჯანელი მოქალაქეების საკრედიტო ფაილები და დაევალა მათი მოწესრიგება, გაცემული სესხების სრული დაბრუნების და მსესხებელთა ყოველთვიური ანგარიშების დარეგულირების ორგანიზაცია, ხოლო ვადაგადაცილებული სესხების გამოვლენილი ფაქტები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა ბანკის ზემოაღნიშნული სამსახურებისათვის.

მსესხებლის ანგარიშზე მისი მიმდინარე დავალიანებს დასაფარად ნაღდი ფულის შეტანის პროცედურის ოპტიმიზაციის მიზნით, სს „პროკრედიტ ბანკის“ ხელმძღვანელობის ჯერ სიტყვიერი დავალებით შექმნილი პრაქტიკისა, ხოლო შემდეგ ამავე პრაქტიკის საფუძველზე ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილის 2005 წლის 18 ნოემბრის №კ 772-18/05 ბრძანების შესაბამისად, დადგინდა ინსტრუქცია "მსესხებლის ანგარიშზე მისი მიმდინარე დავალიანების დასაფარად ნაღდი ფულის შეტანის შესახებ", რომლის თანახმად, ფულის მიღება ხორციელდებოდა მხოლოდ საკრედიტო განყოფილების ნებისმიერი თანამშრომლის, მათ შორის პრაქტიკანტის ან სტაჟიორის მიერაც კი, იმ შემთხვევაში თუ: ა) მსესხებელი წარმოადგენდა პრობლემურ გადამხდელს და საჭირო იყო მასთან გამგზავრება თანხის გამორთმევის მიზნით; ბ) თუ მსესხებელი ვერ ახერხებდა ბანკში გამოცხადებას ჯანმრთელობის გაუარესების ან რაიმე სხვა ობიექტური მიზეზის გამო; გ) თუ მსესხებელი გამოცხადდებოდა ბანკში დაგვიანებით (სალაროს დახურვის შემდეგ); დ) თუ მსესხებელი გამოცხადდებოდა ბანკში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე. მსესხებლისაგან ნაღდი ფულის მიღება უნდა მომხდარიყო მიღება-ჩაბარების აქტით, რაც უნდა შემდგარიყო სამ ეგზემპლარად. შევსებული და ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ერთი ეგზემპლარი უნდა დარჩენილიყო მსესხებელთან, მეორე უნდა ჩაკერებულიყო მსესხებლის საკრედიტო ფაილში, ხოლო მესამე ეგზემპლარი უნდა გადაცემოდა ოპერაციონისტს, რის საფუძველზეც იგი შეძლებდა მიღებული თანხის შეტანის რეგისტრაციას. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიღებული თანხის შეტანა მსესხებლის ანგარიშზე უნდა განხორციელებულიყო თანხის მიმღების მიერ არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა.

გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან შეთანხმებით დაგეგმა და სამსახურებრივი მდგომარეობის - ბანკის ხელმძღვანელთა ზემოაღნიშნული მითითებებისა და შემდგომში ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით მათზე მინიჭებული უფლების, ნდობის ბოროტად გამოყენებით 2005 წლის 15 თებერვლიდან 2006 წლის 3 აპრილამდე, სს „პროკრედიტ ბანკის“ ცენტრალური ფილიალის მარნეულის განყოფილების 125 მსესხებლისაგან, თითქოს ბანკიდან მიღებული სესხის დაფარვის მოტივით ამოღებული სულ 329187 ლარიდან და 20 301 აშშ დოლარიდან მსესხებელთა შესაბამის ანგარიშებზე არ შეიტანეს და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს 318 717 ლარი და 20 063 აშშ დოლარი ისე, რომ მსესხებლისაგან მიღებულ თანხებთან დაკავშირებით შეადგინეს და მსესხებლებს ჩააბარეს აქტის ერთი პირი, ხოლო ინსტრუქციით გათვალისწინებული დანარჩენი ორი არ შეუდგენიათ და არც სესხის ამოღების შესახებ უცნობებიათ შესაბამისი პირებისათვის, კერძოდ:

2005 წლის 15 თებერვალს გ. მ-ძემ შ. ხ-ძესთან წინასწარ შეთანხმებით, მსესხებელ გ. ვ-ვას ბანკის კრედიტის დასაფარად გამოართვა 2 485 ლარი, თუმცა აღნიშნული თანხიდან მან მსესხებლის შესაბამის ანგარიშზე შეიტანა მხოლოდ 180 ლარი, დანარჩენი კი შ. ხ-ძესთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა.

იმავე წლის 7 მაისს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან შეთანხმებით, მსესხებელ მ. ჩ-ვს ბანკის კრედიტის დასაფარად გამოართვა 2080 ლარი, თუმცა ეს თანხა არ შეიტანა შესაბამის ანგარიშზე და შ. ხ-ძესთან ერთად მისაკუთრა;

2005 წლის 9 მაისს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, მსესხებელ ჯ. ვ-ვს ბანკის კრედიტის დასაფარად გამოართვა 4080 ლარი და მსესხებლის ანგარიშზე შეიტანა მხოლოდ 890 ლარი, ხოლო დანარჩენი 3190 ლარი შ. ხ-ძესთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა;

მეორე დღეს - 10 მაისს, გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ე. ბ-ვს ბანკის კრედიტის დასაფარად გამოართვა 5100 ლარი, თუმცა თანხა არ შეიტანა მსესხებლის ანგარიშზე და შ. ხ-ძესთან ერთად მისაკუთრა.

იმავე დღეს აღნიშნულმა პირებმა ბანკის კრედიტის დასაფარად ს. მ-ევს გამოართვეს 4080 ლარი, საიდანაც 2005 წლის 16 აგვისტოს ს. მ-ევს შესაბამის ანგარიშზე 280 ლარი შეიტანა შ. ხ-ძემ, დანარჩენი 3800 ლარი კი გ. მ-ძემ და შ. ხ-ძემ მისაკუთრეს.

2005 წლის 20 მაისიდან 2006 წლის 20 იანვრამდე გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ა. ბ-ვს ბანკის კრედიტის დასაფარად გამოართვა სულ 4212 ლარი, რაც არ შეიტანა მსესხებლის ანგარიშზე და შ. ხ-ძესთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა.

იმავე წლის 25 მაისს და 20 ოქტომბერს გ. მ-ძემ, თანამზრახველ შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ვ. ბ-ვს ბანკის კრედიტის დასაფარად გამოართვა სულ 3900 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

2005 წლის 10 ივნისს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ა. ბ-ვს ბანკის კრედიტის დასაფარავად გამოართვა 5100 ლარი და შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

იმავე წლის 15 ივნისს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან შეთანხმებით, ი. ი-ვს კრედიტის დასაფარავად გამოართვა 4080 ლარი, მაგრამ მსესხებლის შესაბამის ანგარიშზე შეიტანა მხოლოდ 780 ლარი, დანარჩენი 3300 ლარი კი შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

2005 წლის 4 ივლისიდან 2006 წლის 7 თებერვლამდე გ. მ-ძემ შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ზ. ბ-ვს ბანკის კრედიტის დასაფარავად სულ გამოართვა სულ 2394 ლარი და შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

2005 წლის 15 ივლისს და 19 სექტემბერს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან შეთანხმებით, ს. მ-ვს კრედიტის დასაფარავად გამოართვა 4700 ლარი, საიდანაც 2005 წლის 9 სექტემბერს ს. მ-ვს შესაბამის ანგარიშზე 950 ლარი შეიტანა შ. ხ-ძემ, ხოლო დანარჩენი 3750 ლარი მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს;

ასეთივე გზით გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან შეთანხმებით, 2005 წლის 20 ივლისს, 5 აგვისტოს, 8 აგვისტოს, 17 აგვისტოს, 20 აგვისტოს ხ. ხ-ვს, მ. გ-შვილს, ბ. გ-ძეს, ს. მ-ვს, რ. შ-ვს, შ. ს-ვს გამოართვა შესაბამისად, 6120, 2500, 2670, 5800, 6120 და 3060 ლარი და შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

2005 წლის 22 აგვისტოს და 5 ოქტომბერს შ. ხ-ძემ, თანამზრახველ გ. მ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ვ. ჰ-ვს კრედიტის დასაფარად გამოართვა სულ 615 ლარი, თუმცა აღნიშნული თანხიდან მან მსესხებლის შესაბამის ანგარიშზე შეიტანა მხოლოდ 300 ლარი, ხოლო 315 ლარი კი გ. მ-ძესთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა. 2006 წლის 17 აპრილს ვ. ჰ-ვს ანგარიშზე 819 ლარი შეიტანა შ. ხ-ძის მამამ - გ. ხ-ძემ;

2005 წლის 29 აგვისტოს და 2006 წლის 12 იანვარს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან შეთანხმებით, ხ. ს-ძეს კრედიტის დასაფარად გამოართვა 4192 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

2005 წლის 7 სექტემბერს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან შეთანხმებით, ს. ა-ვას გამოართვა 5680 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

2005 წლის 14 სექტემბრიდან 2006 წლის 16 თებერვლამდე გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, მ. გ-ვს კრედიტის დასაფარად გამოართვა 3264 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა;

2005 წლის 25-26 სექტემბერს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ს. მ-ვს, მ. ხ-ვს და ა. ბ-ვს გამოართვა შესაბამისად, 2500, 3060 და 3153 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა.

2005 წლის 29 სექტემბერს და 2006 წლის 25 იანვარს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან შეთანხმებით, ი. ი-ვს კრედიტის დასაფარად გამოართვა სულ 6285 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა.

იმავე წლის 30 სექტემბერს, 1 ოქტომბერს და 7 ოქტომბერს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან შეთანხმებით, მ. შ-ვს, ა. ხ-ვს და თ. ა-ვს კრედიტის დასაფარად გამოართვა შესაბამისად, 4592, 1800 ლარი და 3600 აშშ დოლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა.

2005 წლის 20 ოქტომბერს და 2006 წლის 20 იანვარს გ. მ-ძემ, თანამზრახველ შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, გ. ჩ-ვას ბანკის კრედიტის დასაფარად გამოართვა სულ 2704 ლარი, თუმცა თანხა არ შეიტანა მსესხებლის შესაბამის ანგარიშზე და შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა.

იმავე წლის 29-30 ოქტომბერს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან შეთანხმებით, ნ. ბ-ძეს და ს. შ-ვს გამოართვა შესაბამისად, 5700 და 2300 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა.

2005 წლის 10 ნოემბერს და 2006 წლის 10 იანვარს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან შეთანხმებით, ჰ. ჰ-ვს კრედიტის დასაფარად გამოართვა 1988 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა.

2005 წლის 12 ნოემბერს და 2006 წლის 12 იანვარს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან შეთანხმებით, ო. მ-ვს კრედიტის დასაფარად გამოართვა 476 დოლარი და 4080 ლარი, თუმცა აღნიშნული თანხა არ შეიტანა მსესხებლის შესაბამის ანგარიშზე და შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა.

2005 წლის 18 ნოემბერს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, კრედიტის დასაფარად ს. ყ-ვას გამოართვა 3060 ლარი. აღნიშნული თანხიდან იმავე წლის 21 ნოემბერს მსესხებლის შესაბამის ანგარიშზე 207 ლარი შეიტანა შ. ხ-ძემ, ხოლო დარჩენილი თანხა მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს.

2005 წლის 18 ნოემბერს შ. ხ-ძემ, გ. მ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, თ. ბ-ვს გამოართვა 2040 ლარი, რაც გ. მ-ძესთან ერთად მიისაკუთრა. 2006 წლის 17 აპრილს თ. ბ-ვს შესაბამის ანგარიშზე 2130 ლარი შეიტანა შ. ხ-ძის მამამ;

2006 წლის 11 იანვარს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ბ. ნ-ვს, ნ. ა-ვს და ა. ო-ვს კრედიტის დასაფარად გამოართვა შესაბამისად, 6000, 6000 და 7000 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

მეორე დღეს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ხ. რ-ვს, მ. რ-ვს, ფ. კ-ვს, რ. ე-ვს, ფ. ა-ვს, მ. ა-ვს და ზ. ა-ვს კრედიტის დასაფარად გამოართვა შესაბამისად, 732 ლარი, 810 აშშ დოლარი, 624, 3260, 1745, 7000 და 1040 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

2006 წლის 14 იანვარს ასეთივე გზით გ. მ-ძემ და შ. ხ-ძემ მიისაკუთრეს ლ. მ-ვასაგან კრედიტის დასაფარად მიღებული 6000 ლარი;

მეორე დღეს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ფ. ყ-ვს და ფ. ჰ-ვს კრედიტის დასაფარად გამოართვა შესაბამისად, 3100 აშშ დოლარი და 1075 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

2006 წლის 16, 17 და 18 იანვარს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, დ. შ-ვს, გ. შ-ვს, მ. ი-ვს და უ. გ-ვს გამოართვა შესაბამისად, 2080, 1570, 8700 და 1035 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

იმავე წლის 20 იანვარს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ს.

ა-ვს, ტ. ბ-ვს და ა. ბ-ვს გამოართვა შესაბამისად, 3000, 1456 და 2040 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

მეორე დღეს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ა. მ-იანს და ი. გ-შვილს გამოართვა შესაბამისად, 4500 და 4000 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა. ამასთან, 2006 წლის 17 აპრილს, ა. მ-იანის ანგარიშზე 2806 ლარი შეიტანა შ. ხ-ძის მამამ.

2006 წლის 22 იანვარს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ი. ი-ვს, ფ. ბ-ვს, მ. ა-ვს და შ. მ-ვს გამოართვა შესაბამისად, 621 და 1376 ლარი, 1400 აშშ დოლარი და 2070 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

2006 წლის 25, 27 და 28 იანვარს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ბ. ა-ვს, ხ. ო-ვს, ფ. ბ-ვს და ა. გ-ვას გამოართვა შესაბამისად, 2095, 2900, 1008 და 2080 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

იმავე წლის 29, 30 და 31 იანვარს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ი. დ-ვს, ს. მ-ვს, რ. ჩ-ვას, ყ. კ-ვს, ს. ბ-ვს და ი. რ-ვს გამოართვა შესაბამისად, 4100, 2070, 160, 876, 1700 და 2700 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

2006 წლის 1 თებერვალს და 3 აპრილს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ვ. მ-ვას კრედიტის დასაფარად გამოართვა 1460 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

იმავე წლის 2, 4, 5, 6 და 7 თებერვალს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, რ. ა-ვს, გ. გ-ვს, ფ. ზ-ვს, ი. ი-ვს, ს. მ-ვს, ა. მ-ვს, ე. ნ-ვას და გ. ა-ვს გამოართვა შესაბამისად, 543, 546, 3200, 2592, 416, 1200, 4900 და 1524 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

2006 წლის 10, 11 და 20, ასევე - 12 თებერვალს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ა. ხ-ვს, ნ. ბ-ვს, ნ. შ-ვს, მ. კ-ვას და ვ. ნ-ვს გამოართვა შესაბამისად, 648, 1375, 3108, 718 და 1512 ლარი, რაც შ. ხ-ძესთან ერთად მიისაკუთრა;

იმავე წლის 14, 15 და 19 თებერვალს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ზ. მ-ვს, ჯ. ხ-ვს და ი. რ-ვს გამოართვა შესაბამისად, 2410, 3000 და 680 ლარი, საიდანაც ზ. მ-ვისა და ჯ. ხ-ვის ანგარიშებზე შეიტანეს მხოლოდ 659 და 210 ლარი, დარჩენილი თანხა კი მიისაკუთრეს;

2006 წლის 20 თებერვალს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, მ. გ-შვილს, მ. ნ-ძეს, ნ. ზ-შვილს, ა. მ-ვს და მ. დ-ვს გამოართვა შესაბამისად, 1750 აშშ დოლარი, 1620, 2550, 235 და 600 ლარი, რაც მიისაკუთრეს;

იმავე წლის 21 და 22 თებერვალს გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, მ. მ-ვს და მ. ა-ვს გამოართვა შესაბამისად, 621 და 772 ლარი, რაც მიისაკუთრეს.

დანაშაულებრივი ქმედებით გ. მ-ძემ, შ. ხ-ძესთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა სს „პროკრედიტ ბანკის“ ცენტრალური ფილიალის მარნეულის განყოფილების მსესხებულებისაგან ამოღებული და ბანკის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა - 318 717 ლარი და 20 063 აშშ დოლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ხ-ძის ადვოკატმა მ. ჭ-შვილმა. მან მოითხოვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ქმედების სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირება და სასჯელად ჯარიმის დანიშვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ შ. ხ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ჭ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შ. ხ-ძე 2004 წლის 9 აგვისტოდან 2006 წლის 23 მარტამდე მუშაობდა სს „პროკრედიტ ბანკის“ ცენტრალური ფილიალის მარნეულის განყოფილებაში საკრედიტო ექსპერტად და სამსახურებრივად ემორჩილებოდა უფროს საკრედიტო ექსპერტს - გ. მ-ძეს.

2006 წლის გაზაფხულზე, ვადაგადაცილებული სესხების შემოწმებისას, აღმოჩნდა, რომ მრავალ კრედიტორს ჰქონდა მიღება-ჩაბარების აქტები, ხოლო ბანკში თანხები არ იყო შესული. აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო გამოძიება. სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის თანახმად, შ. ხ-ძემ ოთხი პირისაგან მიიღო სულ 4770 ლარი, რომელიც ბანკის სალაროში არ შეუტანია. მიუხედავად ამისა, მას მსჯავრი დაედო იმაში, რომ მოქმედებდა გ. მ-ძესთან შეთანხმებით და გ. მ-ძის მიერ 125 პირისაგან მიღება-ჩაბარების აქტებით მიღებული თანხები - სულ 318717 ლარი და 20063 აშშ დოლარი თაღლითური გზით მიითვისა. სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ ვარაუდს და მტკიცებულებების გარეშე დასდო მსჯავრი შ. ხ-ძეს, რომელმაც თავის ჩვენებებში აღნიშნა, რომ გ. მ-ძე, როგორც მისი უშუალო უფროსი, ეუბნებოდა მას, რომ თვითონ მიხედავდა ვადაგადაცილებულ სესხებს; გ. მ-ძეს პერიოდულად შეჰქონდა თანხები მსესხებელთა ანგარიშებზე, რითიც პერიოდულად მცირდებოდა ვადაგადაცილებათა რაოდენობა.

გაცემული სესხებისა და მათი დაფარვის შესახებ ინფორმაცია კომპიუტერული ქსელით ხელმისაწვდომი იყო ბანკის ყველა შესაბამისი თანამდებობის პირისათვის, მაგრამ მათ ამის თაობაზე დაახლოებით 1 წლის განმავლობაში რეაგირება არ მოუხდენიათ. სავარაუდოდ, იმიტომ, რომ გ. მ-ძეს პერიოდულად შეჰქონდა თანხები, ხელმძღვანელობა დაგვიანებებს მიაწერდა ობიექტურ მიზეზებს და ეჭვი არ შეჰქონდა მის ქმედებაში. თუ ხელმძღვანელობა არ დაეკვივდა, რატომაც გამოირიცხული, რომ შ. ხ-ძესაც შეუტანია ეჭვი გ. მ-ძის ქმედებაში, მით უმეტეს, იგი მისი უშუალო უფროსი იყო. შ. ხ-ძის ჩვენების სინამდვილეს ადასტურებს ის გარემოება, რომ სასამართლოზე დაკითხულ არც ერთ მოწმეს არ უთქვამს, რომ ფულის გამორთმევის დროს გ. მ-ძესთან ერთად იყო შ. ხ-ძეც. მხოლოდ გ. გ-ვმა განაცხადა, რომ ბანკში ხ-ძის მითითებით მისცა თანხა მ-ძეს. სასამართლოს ამ ეპიზოდში რომც ჰქონოდა საფუძველი, ევარაუდა წინასწარი შეთანხმება მსჯავრდებულებს შორის, ყოვლად უკანონოა ამ ერთი ეპიზოდის საფუძველზე წინასწარი შეთანხმების განვრცობა ავტომატურად დანარჩენ 125 ეპიზოდზე; სასამართლოს თითოეული ეპიზოდი ინდივიდუალურად უნდა შეეფასებინა და ისე მიეღო გადაწყვეტილება. შ. ხ-ძემ თუ არ შეასრულა თავისი მოვალეობა და უშუალოდ არ იქონია კონტაქტი მსესხებლებთან, ეს შეიძლება, ყოფილიყო სამსახურებრივი ინსტრუქციის დარღვევა და არა - სისხლის სამართლის დანაშაული.

ადვოკატი ასევე მიუთითებს, რომ სასამართლო აპელირებს იმ არგუმენტით, რომ ვადაგადაცილებულ მსესხებელთა „პორთფელები“ გ. მ-ძისაგან შ. ხ-ძეს გადაეწერა და გ. მ-ძემ მხოლოდ იმ კრედიტორების თანხების მითვისება შეძლო, რომლის კონტროლიც შ. ხ-ძეს ევალებოდა, რაც მტკნარი სიცრუეა და არაფრითაა დადასტურებული. საქმეშია რუსულ ენაზე შედგენილი, 2005 წლის 6 ივნისით დათარიღებული დოკუმენტი - საკრედიტო კომიტეტის სხდომის ოქმი, რომელსაც ერთვის 5-ფურცლიანი დანართი, რომელშიც მითითებულია, გ. მ-ძის ესა თუ ის „პორთფელი“ რომელ ექსპერტს გადაეწერა. თუმცა მას არ ერთვის მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა დოკუმენტი, რითიც თვითონ საკრედიტო ექსპერტები დაადასტურებდნენ თავიანთი ხელმოწერებით „პორთფელების“ გადანაწილებას. ამ დოკუმენტის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მსესხებელთა (ნ. ზ-შვილის, თ. ს-ძის, რ. მ-ძის, მ. ნ-ძის, ნ. ბ-ძის, ხ-ძის, ნ. ბ-ძის, ზ. ჩ-ძის, მ. გ-შვილის) „პორთფელები“ გადაეცა არა შ. ხ-ძეს, არამედ - ექსპერტ ს-შვილს; მოწმეთა სიაში არ არის მითითებული და არც ზემოაღნიშნულ დოკუმენტში არ ფიქსირდება ი. გ-შვილი, რ. შ-ვი, ე. ნ-ვა, ბ. ნ-ვი და სხვები, სულ - 32 პირი და ეს სია არ არის სრულყოფილი. აღნიშნულის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ბრალდებასა და სასამართლოს უნდა მოეპოვებინა, თითოეული ეპიზოდი ინდივიდუალურად გამოეკვლია და მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით ყველაფერი შ. ხ-ძისათვის არ უნდა დაებრალეზინა.

კასატორის აზრით, სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 508-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და განაჩენში საერთოდ არაფერი თქვა დაცვის მხარის მიერ მოყვანილ არგუმენტზე. შ. ხ-ძე თავს დამნაშავედ ცნობს მხოლოდ ოთხ ეპიზოდში, როდესაც მან მსესხებლებისაგან მიიღო 4770 ლარი. მას ეს თანხა პირადი საჭიროებისათვის უნდოდა და მას ბანკში მოგვიანებით შეიტანდა.

ადვოკატი მ. ჭ-შვილი ასევე აღნიშნავს, რომ მოტყუება, როგორც თაღლითობის გზით სხვისი ნივთის უკანონოდ დაუფლების ხერხი, წარმოადგენს იმის აუცილებელ წინაპირობას, რომ მფლობელიდან ნივთი გადავიდეს დამნაშავეს ხელში. შ. ხ-ძეს არანაირი ტყუილი არ სჭირდებოდა მსესხებელთან, რადგან იგი უფლებამოსილი იყო ბანკის მიერ, რომ კლიენტებისაგან მიღება-ჩაბარების აქტით მიეღო თანხა. ამასთან, თაღლითობის შემადგენლობით დამნაშავე ატყუებს დაზარა-

ლებულს და არა - სხვა პირებს. მოცემულ შემთხვევაში დაზარალებული ბანკია და ფულის მიღების დროს შ. ხ-მე ბანკს არაფერს ატყუებდა.

საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე მესაკუთრის ან მფლობელის ნდობას იყენებს ბოროტად, ატყუებს და ამით აზიანებს მას ქონებრივად. ეს დანაშაული ჰგავს თაღლითობას, მაგრამ მექანიზმით, ქონებრივი გამორჩენის მიღების მეთოდითა და ხასიათით მკვეთრად განსხვავდება მისგან. თუ თაღლითობისა და დაუფლების ნებისმიერი ფორმის განხორციელების დროს დამნაშავე პირდაპირ იღებს მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელისაგან ქონების უშუალო ნაწილს, აქ მდგომარეობა სხვაგვარად არის, კერძოდ, შრომითი ხელშეკრულების დადების შემდეგ უჩნდება დამნაშავეს სურვილი, ქონების მეპატრონეს დააკლოს კუთვნილი თანხა.

სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მოსაზრება, რომ შ. ხ-მის ქმედება შეიცავს სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს და მას მსჯავრი დასდო სსკ-ის 180-ე მუხლით, რაც არ ჩაუდენია და რასაც სასამართლოც ეთანხმება. სააპელაციო პალატამ მხოლოდ იმის გამო არ გადააკვალიფიცირა შ. ხ-მის ქმედება სსკ-ის 182-ე მუხლზე, რომ ეს გამოიწვევდა მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მ. ჭ-შვილი ითხოვს შ. ხ-მის ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის ზომად ჯარიმის შეფარდებას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ მისი ქმედება არ შეიცავს სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, შ. ხ-მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, რადგან მას არ ჩაუდენია სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

"პროკრედიტ ბანკის" სათავე ოფისის განყოფილების უფროს ი. რ-იანის ჩვენებით ირკვევა, რომ შ. ხ-მე და სხვა პირი მუშაობდნენ ერთ ჯგუფში. სესხების ძირითადი ნაწილი ეწერა შ. ხ-მეს, მასვე ეკისრებოდა შესაბამისი ვალდებულებები, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს სხვა ხელმძღვანელობდა. ი. რ-იანმა აღნიშნა, რომ გამორიცხულია, შ. ხ-მეს არ სცოდნოდა სხვა პირის მიერ მსესხებლებისაგან თანხის აღებისა და ბანკის სალაროში შეუტანლობის შესახებ. არაერთ შემთხვევაში, ბანკის კლიენტებისაგან შეიტყვეს, რომ თანხის გადაცემისას შ. ხ-მეს სხვაც ახლდა.

საქმის მასალებიდან ნათლად იკვეთება, რომ ბანკის რამდენიმე ექსპერტს შორის განაწილებული საკრედიტო საქმეებიდან მითვისებულია იმ მსესხებლების მიერ დაბრუნებული თანხები, რომლის კონტროლიც შ. ხ-მეს ევალებოდა. როგორც ი. რ-იანი მიუთითებს, 2005 წლის დეკემბერში ბანკში საუბრობდნენ, რომ შ. ხ-მესა და სხვა პირს ცუდად ჰქონდათ საქმე, დიდი იყო ვადაგადაცობილი სესხების რაოდენობა. ამ პრობლემური მდგომარეობის გამოსასწორებლად შეიქმნა სხვა ჯგუფი და შ. ხ-მის პრობლემური საკრედიტო საქმეები, რომლებზეც იგი პასუხისმგებელი იყო, გადაეცა სხვა ექსპერტებს. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მოვალეებს ხელთ ჰქონდათ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, მაგრამ თანხა არ იყო შეტანილი ბანკში.

თავად შ. ხ-მე არ უარყოფს, რომ იყო შემთხვევები, როდესაც მისი თანდასწრებით სხვა პირი იტოვებდა კრედიტორისაგან მიღებულ თანხას. შ. ხ-მე ასევე მიუთითებს, რომ თავად ხშირად ადგენდა თანხის მიღების ოქმს, თუმცა თანხა სხვა პირს მიჰქონდა.

დადგენილია ისიც, რომ შ. ხ-მეს მის წარმოებაში არსებულ, პრობლემურ საკრედიტო საქმეებზე უნდა დაეწესებინა კონტროლი და კრედიტის გადახდის დაგვიანების ან გადაუხდელობის შემთხვევაში ეცნობებინა ბანკის ხელმძღვანელობისათვის, რასაც ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, საქმის მასალების ობიექტური ანალიზით უდავოდ დადგენილია და ეჭვს არ იწვევს, რომ შ. ხ-მე მოქმედებდა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად და იგი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა დიდი ოდენობით სხვის ნივთს.

აღნიშნულ ქმედებას არაფერი აქვს საერთო მესაკუთრის ქონებრივ დაზიანებასთან მოტყუებით, რის შესახებაც მიუთითებს კასატორი. სააპელაციო პალატამ სწორად აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა თაღლითობის, არამედ მითვისების კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის ნიშნები, მაგრამ ვინაიდან სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება უფრო მძიმე კატეგორიის დანაშაულს წარმოადგენს, შ. ხ-მის ქმედების კვალიფიკაცია, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, უცვლელად დარჩა.

ამასთან, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, სახეზეა ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილი განგრძობადი დანაშაული, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენიდან შ. ხ-ძის მიმართ უნდა ამოირიცხოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი (თაღლითობა არაერთგზის) და ბრალდების ამ ნაწილში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და მსჯავრდებულის პიროვნების, ასევე - ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებით შ. ხ-ძეს დანიშნული აქვს ზომიერი სასჯელი და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი შ. ხ-ძის მიმართ, როგორც კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი უნდა დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატა არ მსჯელობს გ. მ-ძის მიმართ სააპელაციო პალატის განაჩენის კანონიერებაზე, დასაბუთებულობასა და სამართლიანობაზე, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მის დაუსწრებლადაა გამოტანილი, გ. მ-ძე დააკავეს საქმის უზენაეს სასამართლოში შემოსვლის შემდეგ და მის სააპელაციო საჩივარზე შესაბამის სასამართლოს არ უმსჯელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ შ. ხ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის განაჩენიდან შ. ხ-ძის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში შ. ხ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გასაჩივრებული განაჩენი შ. ხ-ძის მიმართ სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#1470-აპ-08

2 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგამე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ბ-შვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 იანვრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლისა და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, აგრეთვე აღნიშნული კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. განაჩენით გ. ბ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა მე-19 მუხლითა და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად - ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით; 362-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რომელიც "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის

საფუძველზე გაუნახვერდა და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული სასჯელები შეიკრიბა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილთან - 1 წლით, 11 თვითა და 20 დღით თავისუფლების აღკვეთასთან და გ. ბ-შვილს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის, 11 თვისა და 20 დღის ვადით და ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით.

განაჩენით გ. ბ-შვილს მსჯავრი დაედო თაღლითობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და დიდი ოდენობით, ასევე, ყალბი პირადობის მოწმობის დამზადებისა და გამოყენებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ბ-შვილი დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დანაშაულებრივად დაუკავშირდა თ. ბ-ძესა და თ. მ-შვილს და მათთან ერთად განიზრახა მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა სხვის ქონებრივ უფლებას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად თ. მ-შვილი 2006 წლის 19 ოქტომბერს მივიდა თბილისში მდებარე ინდ.მეწარმე თ. გ-შვილის ბინების ყიდვა-გაყიდვისა და სესხების საშუამავლო ოფისში, სადაც შეხვდა აღნიშნული ოფისის კურიერს, გ. ა-ვას, რომლისგანაც შეიტყო, რომ ვინმე ნ. ზ-ელს სურდა ყოველთვიურად, გარკვეული სარგებლის მიღების სანაცვლოდ, თავისი კუთვნილი 13000 აშშ დოლარის გასესხება. გ. ბ-შვილს, თ. ბ-ძესა და თ. მ-შვილს განზრახული ჰქონდათ რა სხვისი ქონებრივი უფლების თაღლითური გზით დაუფლება, 2006 წლის 24 ოქტომბერს თ. მ-შვილი, გ. ა-ს მეშვეობით, დაუკავშირდა და შეხვდა ნ. ზ-ლს. თ. მ-შვილმა, გ. ბ-შვილთან წინასწარი შეთანხმებით, ნდობის მოპოვების მიზნით, იგი მიიყვანა გ. ბ-შვილთან არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფ ქ. კ-იას კუთვნილ, ერთთახიან საცხოვრებელ ბინაში, მდებარე თბილისში, იქ მათ დახვდათ გ. ბ-შვილი, რომელმაც ნ. ზ-კელს აჩვენა ზემოხსენებული საცხოვრებელი ბინა, რის შემდეგ ისინი შეთანხმდნენ, რომ ნ. ზ-ელი გადასცემდა მათ 13000 აშშ დოლარს, ხოლო თ. მ-შვილი და გ. ბ-შვილი, სესხის უზრუნველყოფის მიზნით, ხსენებულ ბინას ნოტარიული წესით იპოთეკით დატვირთავდნენ.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის 23 ოქტომბერს გ. ბ-შვილი დაუკავშირდა თ. მ-შვილს. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ თბილისში, "... მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გ. ბ-შვილმა თ. მ-შვილს გადასცა ქ. კ-იას ზემოაღნიშნული ბინის რეესტრისა და ყადაღის ცნობები, ასევე ხელშეკრულება ბინის საკუთრების შესახებ და ქ. კ-იას სახელზე ყალბად დამზადებული საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც შემდგომში შეთანხმებისამებრ უნდა გამოეყენებინათ თ. მ-შვილსა და თ. ბ-ძეს.

2006 წლის 25 ოქტომბერს თ. მ-შვილი თ. ბ-ძესთან ერთად მივიდა თბილისში, მდებარე სა-ნოტარო ბიუროსთან, სადაც მათ შეხვდათ გ. ა-ვა, რომელსაც თ. ბ-ძე გაეცნო როგორც გ. ბ-შვილის მეუღლე ქ. კ-ია. ამასთან, თ. ბ-ძემ გ. ა-ვას გადასცა სანოტარო აქტი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ქ. კ-იას სახელზე, გ. ბ-შვილის, თ. ბ-ძისა და თ. მ-შვილის მიერ ყალბად დამზადებული საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელშიც ჩაკრული იყო თ. ბ-ძის ფოტოსურათი. აღნიშნული გ. ა-ვამ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების სანოტარო წესით გასაფორმებლად წარუდგინა ნოტარიუს ე. შ-შვილს, რომელმაც საბუთების შემოწმებისას ეჭვი შეიტანა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნამდვილობაში. ამის გამო მან ადგილზე გამოიძახა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც აღკვეთეს თ. ბ-ძისა და მისი თანამზრახველის - თ. მ-შვილის დანაშაულებრივი ქმედება, ხოლო გ. ბ-შვილი მიიძალა. გ. ბ-შვილის, თ. მ-შვილისა და თ. ბ-ძის დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულ ნ. ზ-ელს მიადგებოდა 13000 აშშ დოლარის, ანუ 22750 ლარის ეკვივალენტი, დიდი ოდენობის მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ბ-შვილმა, რომელიც ითხოვდა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივებით: აპელანტის აზრით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, ბრალდება მთლიანად აგებულია ვარაუდებზე; ბრალდების მხარემ პროცესზე ვერ წარადგინა მისი ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, ხოლო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ მის უდანაშაულობას; ამასთან, განაჩენი ეყრდნობა მოწმეთა ცრუ ჩვენებებს.

სააპელაციო საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტ გ. ბ-შვილის მოთხოვნა, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი მის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ბ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივებით, რაზეც მას მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში, ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომ-

ბრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძვლით, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული, რომელიც მას განაჩენით შეერაცხა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ბ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორ გ. ბ-შვილის პოზიციას მისი უდანაშაულობის თაობაზე, ვინაიდან ასეთი პოზიცია არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებიდან, რომლებიც მოპოვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით. საქმეში არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, კერძოდ, დაზარალებულ ნ. ზ-ელის ჩვენებების, ასევე მოწმეების - ქ. კ-იას, თ. მ-შვილისა და გ. ა-ვას ჩვენებების, ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის სახით, რომლებიც ერთობლივად, სარწმუნოდ და დამაჯერებლად ადასტურებენ გ. ბ-შვილის ბრალეულობას მის მიერ ჩადენილ ქმედებებში და წარმოადგენენ საკმარის საფუძველს მისი მსჯავრდებისათვის საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, აგრეთვე - აღნიშნული კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამასთან, საკასაციო პალატის აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის ქვეპუნქტებში განსაზღვრული ქმედების შემადგენლობა მოიცავს იმავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ შემადგენლობებსაც, მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულ გ. ბ-შვილის ქმედება თაღლითობის ნაწილში უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ გ. ბ-შვილისათვის შეფარდებული სასჯელის ზომებს, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმის, მისი ჩამდენის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენს აუცილებელ ზომას მსჯავრდებულის გამოსწორებისათვის, არის სამართლიანი და დასაბუთებული. ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ძალით პირებს, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გაუნახვერდათ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. ბ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ გ. ბ-შვილის ქმედების კვალიფიკაციიდან ამოირიცხოს მითითება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე, როგორც ზედმეტად შერაცხულზე, ხოლო მსჯავრდებულ გ. ბ-შვილის მიმართ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით - "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, გაუნახვერდეს და ამ ნაწილში სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, შესაბამისად, განაჩენით საბოლოოდ განსაზღვრული ძირითადი სასჯელის ვადა შეუმცირდეს 6 თვით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის, 5 თვისა და 20 დღის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ო. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ზ. ბ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით ზ. ბ-შვილი - ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2001 წლის ოქტომბერში ზ. ბ-შვილმა შეიტყო, რომ გორში მდებარე სამსართულიანი შენობა შეისყიდა გ. თ-ძემ, რომელიც შენობის პირველ სართულს ყიდდა იქ განთავსებულ ორგანიზაციებზე, მათ მიერ დაკავებული ფართების მიხედვით. ზ. ბ-შვილმა გადაწყვიტა შპს „ზ-ს“ პირველ სართულზე მდებარე 66 მ²-ის შესყიდვა, სადაც მუშაობდა ცხრა ქალი. ოთხი მათგანი - ზ. ბ-შვილი, მისი და - თ. ბ-შვილი, მ. ა-შვილი და ნ. კ-შვილი იყვნენ შპს „ზ-ს“ სრულუფლებიანი წევრები, ხოლო დანარჩენი ხუთი - ე. დ-შვილი, მ. მ-ძე, ლ. ს-შვილი, ს. მ-შვილი და ი. ლ-ძე - არა. იცოდა რა შპს „ზ-ს“ დირექტორმა ზ. ბ-შვილმა, რომ ზემოაღნიშნული 5 ქალი არ იყო შპს „ზ-ს“ წევრი, განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდა მათ კუთვნილ პირად ქონებას, რომლითაც გ. თ-ძისაგან შეიძენდა 66 მ²-ს. იგი მივიდა ქალებთან და მოსთხოვა სახლის პირველ სართულზე განთავსებული იმ ფართის შესყიდვა, რომელიც შპს „ზ-ს“ ქალთა სალონს ჰქონდა დაკავებული. ზ. ბ-შვილი მათ შეჰპირდა, რომ, თუ თითოეული მათგანი ფართის შესასყიდად გადაიხდიდა 210 აშშ დოლარს, იგი ფართს გააფორმებდა შპს „ზ-ზე“, როგორც იურიდიულ პირზე, რის შემდეგაც შეძენილ უძრავ ქონებაზე ყველას თანაბარი უფლება ექნებოდა. აღნიშნული დაპირებით, ნდობის ბოროტად გამოყენებით, თითოეულს გადაახდევინა პირველადი შესატანი - 110 აშშ დოლარი.

2004 წლის სექტემბერში ე. დ-შვილმა, მ. მ-ძემ, ლ. ს-შვილმა და ს. მ-შვილმა შეიტყვეს, რომ ისინი არ იყვნენ შპს „ზ-ს“ წევრები და აღნიშნულ ფართზე, რომლის შესასყიდადაც თანხა გადაიხადეს, არანაირი ქონებრივი უფლება არ გააჩნდათ. მათ მიმართეს ზ. ბ-შვილს, რომელიც დაჰპირდა, რომ, თუ ისინი გადაიხდიდნენ დარჩენილ გადასახადს, იგი მათ სასამართლოს მეშვეობით დაარეგისტრირებდა შპს „ზ-ს“ წევრებად, რის შემდეგაც მათ ექნებოდათ გარკვეული ქონებრივი უფლებები ხსენებულ ფართზე. ზ. ბ-შვილმა მოიპოვა რა მათი ნდობა და ისარგებლა ბოროტად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაეუფლა მათ პირად ქონებას, არ შეასრულა დანაპირები, 2004 წლის 25 სექტემბერს დადო ნასყიდობის ხელშეკრულება გ. თ-ძესთან და ქონება გააფორმა შპს „ზ-ზე“, ხოლო მ. მ-ძე, ე. დ-შვილი, ლ. ს-შვილი და ს. მ-შვილი გაათავისუფლა სამსახურიდან და შენობაში აღარ შეუშვა.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. ბ-შვილს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 22 ივნისიდან. ამასთან, გირაოს უზრუნველსაყოფად დაყადაღებული ზ. ბ-შვილის საცხოვრებელი ბინა მიექცა სახელმწიფოს საკუთრებაში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა თ. ყ-შვილმა. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და ზ. ბ-შვილის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ზ. ბ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით; მასვე სასჯელის მოხდაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 9 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ყ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები ადასტურებენ ზ. ბ-შვილის უდანაშაულობას; განაჩენი ემყარება ე.წ. „დაზარალებულებისა“ და მოწმე გ. თ-ძის ჩვენებებს; შპს „ზ-ს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ნ. კ-შვილი ცნობილია დაზარალებულად, თუმცა რა კრიტერიუმით - უცნობია; ის ფაქტი, რომ ზ. ბ-შვილმა ნ. კ-შვილი სამსახურიდან დაითხოვა, არ იძლევა თაღლითობის კვალიფიკაციას; საქმეში არ მოიპოვება ზ. ბ-

შვილის მხრიდან თაღლითობის ჩადენის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება; გაურკვეველია, რა ოდენობის მატერიალურ ზარალზეა საუბარი; განაჩენის თანახმად, თითქოს შეთანხმება შედგა 210 აშშ დოლარზე; პირველად შესატან თანხად სახელდება 100 აშშ დოლარი, მაგრამ მეორედ შესატანი თანხა აიღო თუ არა მსჯავრდებულმა, ამაზე არც ერთ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი; მ. მ-ძის ჩვენებით, დაზარალებულები მოატყუა როგორც ზ. ბ-შვილმა, ისე - გ. თ-ძემ; საინტერესოა, რატომ არ მიეცა მის ჩვენებას შეფასება გ. თ-ძესთან მიმართებით.

კასატორის განმარტებით, დაზარალებულები აცხადებდნენ, რომ ზ. ბ-შვილს თანხა გადასცეს 2001 წლის ნოემბერში; 2004 წელს, საქმის სამოქალაქო წესით განხილვისას, მათ კატეგორიულად მიუთითეს, რომ მთლიანი თანხა - 1050 აშშ დოლარი გადასცეს გ. თ-ძეს ჯერ კიდევ 2003 წლის სექტემბერში; სამოქალაქო სარჩელში მოპასუხედ დასახელებული იყო გ. თ-ძე; ამჟამად ეს ქალბატონები აცხადებენ, რომ 1050 აშშ დოლარი ნაღდი ანგარიშსწორებით გადასცეს ზ. ბ-შვილს, რომელმაც შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს; სასამართლომ გ. თ-ძეს დააკისრა 1050 აშშ დოლარის გადახდა დაზარალებულების სასარგებლოდ; ასევე დაკმაყოფილდა ზ. ბ-შვილის სარჩელი მათი შპს-ს საკუთრებაში არსებული ფართიდან გასახლების შესახებ; თუ ზ. ბ-შვილმა მოატყუა ეს ქალბატონები, მაშინ რატომ არ ამხილეს იგი მათთვის ზიანის მიყენებაში და რატომ არ ჩართეს მოპასუხედ საქმეში?

ადვოკატი თ. ყ-შვილი ასევე აღნიშნავს, რომ განაჩენი ზ. ბ-შვილს ედავება 1050 აშშ დოლარის თაღლითური გზით მითვისებაში; გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით კი ამ თანხის გადახდა დაკისრებული აქვს გ. თ-ძეს; ამ შემთხვევაში გაუგებარია, რაში დაედო მსჯავრი ზ. ბ-შვილს; საქმის მასალებით დადგენილია, რომ პრივატიზაციის თანხა - 2050 ლარი - შპს „ზ-მ“ გადაიხადა 2001 წლის 19 ოქტომბერს, რაც მიუთითებს დაზარალებულთა ჩვენებების უსწორობაზე, ვინაიდან ნოემბრის ბოლოს შეგროვილი თანხა წინა თვეში ვერ გადაირიცხებოდა; ე.ი. ჩვენებები მოგონილია და ზ. ბ-შვილისათვის მათ თანხა არ გადაუციათ; გარდა აღნიშნულისა, ვერანაირი სიტყვიერი შეთანხმება, რაზეც უთითებდა გ. თ-ძე თავის ჩვენებაში, ვერ გააბათილებს წერილობით მასალებს; შპს „ზ-ს“ მიერ 66 მ² ფართის ღირებულების 2001 წლის 19 ოქტომბერს გადარიცხვა დადასტურებულია საგადასახადო დავალებითა და ნასყიდობის ხელშეკრულებით, რომელშიც გ. თ-ძე ადასტურებს ფართის ღირებულების თანხის მიღებას; მაშინ გაუგებარია, რაში აიღო მან 2003 წლის სექტემბერში 1050 აშშ დოლარი დაზარალებულებისაგან; გ. თ-ძეს ხელშეკრულების გაფორმებისას ხელთ ჰქონდა შპს-ს წესდება, პარტნიორთა სია, კრების ოქმი, საიდანაგ ჩანდა, რომ შპს ოთხი პირის მიერ იყო დაფუძნებული; სასამართლომ იგნორირება გაუკეთა გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებასა და ნასყიდობის ხელშეკრულებას, არ დაასაბუთა თავისი დასკვნა ზ. ბ-შვილის მიერ თაღლითობის ჩადენის თაობაზე; დაზარალებულმა ქალბატონებმა წლების მანძილზე არ მიმართეს სასამართლოს ზ. ბ-შვილის მხრიდან მათი უფლებების დარღვევის, შევიწროების, მუქარის, ცემისა და სამუშაოდან დათხოვნის შესახებ.

კასატორი საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნავს, რომ გ. თ-ძემ 2007 წელს სარჩელი შეიტანა გორის რაიონულ სასამართლოში ზემოაღნიშნული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ იმ საფუძველით, რომ „შეცდომა დაუშვა კონტრაქტის პიროვნებაში“, რადგან ფიქრობდა, რომ ქალბატონები, ვისგანაც ფული აიღო, გახდებოდნენ უძრავი ქონების მეპატრონეები, როგორც შპს-ს დამფუძნებლები; გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ გ. თ-ძემ ხელშეკრულება დადო არა ფიზიკურ პირ ზ. ბ-შვილთან, არამედ - შპს „ზ-ს“ დირექტორთან და მისთვის კარგად იყო ცნობილი, თუ ვინ იყვნენ შპს-ს დამფუძნებლები.

რაც შეეხება დაზარალებულების შპს-ში გაწევრებას, ამისათვის საკმარისი არ იყო მხოლოდ სურვილის გამოხატვა; მათთვის არავის შეუშლია ხელი, შეეკრიბათ საბუთები; მათ არ შეუტანიათ სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით; ისინი გახდნენ ცრუ მოწმეები გ. თ-ძისა და სხვათა ინტერესების დასაცავად; ამ საქმეზე გამოტანილი ყველა გადაწყვეტილება ცალსახად ამტკიცებს ზ. ბ-შვილის სიმართლეს, ხოლო განაჩენი დაეყრდნო მხოლოდ ვარაუდს და დაინტერესებული ადამიანების ჩვენებებს; კრიტიკას ვერ უძლებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ზ. ბ-შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაში ეჭვის შეტანის თაობაზე; საქმეში არსებულ ყველა სამედიცინო ცნობაში აშკარად იკითხება ის დაავადებები და გართულებები, რაც სჭირს ზ. ბ-შვილს; იკითხება ექიმის გვარი და მისი პირადი ბეჭდის რეკვიზიტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი თ. ყ-შვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებას და ზ. ბ-შვილის მიმართ საქმის შეწყვეტას.

დაზარალებულები - ე. დ-შვილი, მ. მ-ძე, ს. მ-შვილი, ი. ლ-ძე, ლ. ს-შვილი და ნ. კ-შვილი შესაგებლით ითხოვენ ზ. ბ-შვილის მიმართ გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის ადვოკატმა თ. ყ-შვილმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება იმ მოტივით, გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდს და გარკვეული პირების მიერ მართულ დაზარალებულთა ჩვენებებს; საქმეში არსებული მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს ზ. ბ-შვილის უდანაშაულობას.

თავისი დამცველის მოთხოვნას მხარი დაუჭირა ზ. ბ-შვილმა და განაცხადა, რომ დაზარალებულთაგან თანხა არ მიუღია და უდანაშაულოა.

დაზარალებულმა ე. დ-შვილმა განაცხადა, რომ თანხა გადასცეს ზ. ბ-შვილს, ითხოვს ფართს და საკასაციო საჩივართან დაკავშირებით ვერაფერს იტყვის.

ნ. კ-შვილმა ასევე განაცხადა, რომ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არაფერი აქვს სათქმელი.

სახელმწიფო ბრალმდებელმა მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის, როგორც კანონიერის, დასაბუთებულისა და სამართლიანის, უცვლელად დატოვება იმ მოტივით, რომ ზ. ბ-შვილის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უდავოდ დადასტურებულია.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ მოუსმინა მხარეებს, შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა, ასევე მხარეთა მოტივები და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების ანალიზით უდავოდ დადგინდა, რომ ზ. ბ-შვილმა დაზარალებულებს თანხა გადაახდევინა 2 ნაწილად, მათგან პირველი ნაწილი პირადად აიღო, ხოლო მეორე - მისივე მითითებით, გადაეცა გ. თ-ძეს. დაპირების მიუხედავად, ეს პირები მსჯავრდებულმა არ შეიყვანა პარტნიორებად შპს-ში, რაც დაზარალებულებს მისცემდა უფლებას, ყოფილიყვნენ ფართის მესაკუთრენი და გაეგრძელებინათ საქმიანობა, პირიქით, ზ. ბ-შვილმა ისინი გაათავისუფლა სამსახურიდან და შენობაში აღარ შეუშვა, კერძოდ:

მოწმე გ. თ-ძე აღნიშნავს, რომ ფართი მიჰყიდა შ.პ.ს. "ზ-ს", რომლის დირექტორი იყო ზ. ბ-შვილი და საფასური ეტაპობრივად მიიღო.

გ. თ-ძის ჩვენებას ადასტურებს გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება, რომელზეც მიუთითებს კასატორი, კერძოდ, ამ გადაწყვეტილებით დადგინდაა მიჩნეული, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ქალთა სალონის 66მ² ფართი შეიძინა ზ. ბ-შვილმა, ხოლო მოსარჩეეებს ამ ფართის შესყიდვის თაობაზე რაიმე დოკუმენტი არ წარუდგენიათ. ამდენად, გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება ზ. ბ-შვილის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს.

საგულისხმოა მოწმე ე. ჩ-შვილის ჩვენება. იგი მიუთითებს, რომ დაზარალებულებმა 2-3-ჯერ მიაკითხეს სასამართლოში, მათგან ერთხელ - ზ. ბ-შვილთან ერთად და მოითხოვდნენ შ.პ.ს "ზ-ს" პარტნიორებად რეგისტრაციას.

პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულთა ჩვენებები თანმიმდევრული და დამაჯერებელია, მათ ობიექტურობაში დაეჭვების საფუძველი არ არსებობს და უდავოდ დადგინდა, რომ თანხის ნაწილი უშუალოდ ზ. ბ-შვილმა მიიღო, რის შემდეგ დაზარალებულები არ დაარეგისტრირა შპს-ს პარტნიორებად, თუმცა სწორედ ამ პირობით აიღო თანხა, რომლითაც ფართი შეიძინა გ. თ-საგან.

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების შეცვლას, ამის მოტივად მოსამართლის ბრძანებაში არ არის მითითებული რომელიმე სამედიცინო ცნობა. საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2008 წლის 17 აპრილს მოსამართლემ გამოიტანა დადგენილება განსასჯელის სასამართლოში მოყვანის შესახებ. შემოწმებისას ზ. ბ-შვილი სახლში არ აღმოჩნდა და აღკვეთის ღონისძიება შეიცვალა 2008 წლის 16 მაისს, განსასჯელის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით არაერთხელ გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი დადგენილია სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მოთხოვნათა დაცვით, იგი კანონიერი და დასაბუთებულია.

ამასთან, ზ. ბ-შვილის ხანდაზმული ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულს უნდა შეუმუბუქდეს სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ზ. ბ-შვილის ადვოკატ თ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ზ. ბ-შვილს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და საბოლოოდ მიესაჯოს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#1196-აპ-08

5 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეიერი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ა. ბ-ვისა და ნ. კ-მის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 17 დეკემბრის განაჩენით ა. ბ-ვი, და ნ. კ-მე ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით), სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით იმაში, რომ ჯგუფურად და არაერთგზის ჩაიდინეს თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და დიდი ოდენობით, რაც კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

ა. ბ-ვი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ნ. კ-მესთან და მათ, შექმნეს რა პირთა ჯგუფი, გადაწყვიტეს მოქალაქეების ფულადი თანხების დაუფლება თაღლითურად.

2004 წლის 22 მარტს ნ. კ-მე იყოფებოდა ქ. თბილისში, ე.წ. "მშრალი ხიდი-ს" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სამაკლერო ბირჟაზე, სადაც თითქოსდა აპირებდა თავისი ოროთახიანი ბინის დაგირავებას. ნ. კ-მე ამის შესახებ შეუთანხმდა ნ. ლ-შვილს, რომელსაც უთხრა, რომ ბინის იპოთეკით დატვირთვას სჭირდებოდა დიდძალი თანხა და შესთავაზა სესხის ხელშეკრულების გაფორმება, რაზეც ნ. ლ-შვილი დასთანხმდა. იმავე დღეს ნ. კ-მემ და ა. ბ-ვმა, ამ უკანასკნელის ავტომანქანით მიიყვანეს ნ. ლ-შვილი სანოტარო ბიუროში, სადაც გააფორმეს სესხის ხელშეკრულება და მიიღეს 2500 აშშ დოლარი.

ამის მიუხედავად, ნ. ლ-შვილმა ვერ შეძლო ბინაში შესვლა, რადგან ა. ბ-ვი და ნ. კ-მე ამის საშუალებას სხვადასხვა მიზეზით არ აძლევდნენ. 2004 წლის 6 ოქტომბერს ეს ბინა ნ. კ-მემ გაასხვისა რ. ნ-ზე, ხოლო ნ. ლ-შვილისაგან მიღებული თანხა მიითვისა.

2005 წლის 12 ივლისს ა. ბ-ვი იმყოფებოდა ე.წ. "მშრალი ხიდის" სამაკლერო ბირჟაზე, სადაც გაიცნო ნ. კ-შვილი და დაჰპირდა, რომ მიაგირავებდა ნ. კ-მის ბინას. ამ შემთხვევაშიც ნ. კ-მემ დაარწმუნა ნ. კ-შვილი, რომ ბინის ოფიციალური გაფორმება მოითხოვდა დროსა და დიდძალ თანხას, რის გამოც მოწმეების თანდასწრებით დაუდო ხელწერილი თანხის მიღებისა და ბინის გადაცემის შესახებ. თავიანთი მოქმედებით ა. ბ-ვმა და ნ. კ-მემ მოიპოვეს ნ. კ-შვილის ნდობა და თაღლითურად დაეუფლნენ მის 8150 აშშ დოლარს. რაც შეეხება ბინას, იგი 2005 წლის 26 აგვისტოს იპოთეკით დაიტვირთა მ. დ-შვილის სასარგებლოდ, ხოლო ნ. კ-შვილის თანხა ა. ბ-ვმა და ნ. კ-მემ მიითვისეს და დაზარალებულს მიაყენეს 8150 აშშ დოლარის ოდენობის ზიანი.

2004 წლის დეკემბერში, ა. ბ-ვი შეხვდა მის მიერ ე.წ. "მშრალ ხიდზე" გაცნობილ მ. ტ-ვას, რომელსაც სურდა ბინის გირავნობა. ნ. კ-მესთან წინასწარი შეთანხმებით, ა. ბ-ვი მ. ტ-ვას

დაჰპირდა, რომ 5000 აშშ დოლარის სანაცვლოდ მის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთავდა რამოდენიმე ოთახს. მ. ტ-ვამ ა. ბ-ვს გადასცა 4500 აშშ დოლარი, რის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ა. ბ-ვისა და ნ. კ-მისაგან მის მიერ დაგირავებულ ბინაში ცხოვრობდნენ სხვა პირები. ამის გამო მ. ტ-ვამ გარიგება ბათილად ჩათვალა და მოითხოვა თანხის დაბრუნება. ა. ბ-ვმა და მისმა თანამზრახველმა მ. ტ-ვას დაუბრუნეს 2900 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი თანხა - 1600 აშშ დოლარი მიითვისეს და დაზარალებულს მიაყენეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. ამასთან, იგივე ბინა 2004 წლის 08 ნოემბერს იპოთეკით დაიტვირთა ნ. ზ-ლის სასარგებლოდ.

2005 წლის 11 აგვისტოს, ... ქ. #18-ში ა. ბ-ვი შეხვდა მის მიერ ე.წ. "მშრალ ხიდზე" გაცნობილ ნ. მ-ძეს, რომელსაც სურდა ბინის გირავნობა. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, თანამზრახველთან ნ. კ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ა. ბ-ვი ნ. მ-ძეს დაჰპირდა, რომ 2500 აშშ დოლარად, ორი წლით მიაგირავებდა ... ქ. #18-ში მდებარე ერთ ოთახს, რაზეც მოწმეების თანდასწრებით ნ. კ-ძემ დაზარალებულს დაუდო ხელწერილი თანხის მიღების შესახებ. ა. ბ-ვმა და ნ. კ-ძემ მოიპოვეს ნ. მ-ძის ნდობა და იმავე დღეს მიიღეს 2500 აშშ დოლარი. აღნიშნული ბინა კი 2004 წლის 8 ნოემბრიდან იპოთეკით იყო დატვირთული ნ. ზ-ლის სასარგებლოდ.

2006 წლის 10 ივლისს ნ. კ-ძე იმყოფებოდა ე.წ. "მშრალ ხიდზე", სადაც გაიცნო გ. შ-ძე. ამ უკანასკნელს ნ. კ-ძემ განუცხადა, რომ თბილისში, იმავე ბინაში აგირავებდა ოთახს და მიიყვანა ხსენებულ მისამართზე, სადაც დახვდათ ა. ბ-ვი. ეს უკანასკნელი გ. შ-ძეს დაჰპირდა, რომ 3000 აშშ დოლარად, ერთი წლით მიაგირავებდა ერთ ოთახს. ა. ბ-მა და ნ. კ-ძემ ნოტარიალურად დაამტკიცეს სესხის ხელშეკრულება 3000 აშშ დოლარზე და გ. შ-ძეს განუცხადეს, რომ შეეძლო ბინაში შესვლა, თუმცა აღნიშნული ბინა უკვე იპოთეკით იყო დატვირთული ნ. ზ-ლის სასარგებლოდ.

2006 წლის ივლისში ნ. კ-ძე იმყოფებოდა ე.წ. "მშრალ ხიდზე", სადაც გაიცნო ლ. ე-შვილი, რომელსაც სურდა ბინის გირავნობა. ნ. კ-ძემ მასაც განუცხადა, რომ იმავე ბინაში აგირავებდა ერთ ოთახს და მიიყვანა ხსენებულ მისამართზე, სადაც დახვდათ ა. ბ-ვი. 18 ივლისს, ა. ბ-ვი, ნ. კ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, ლ. ე-შვილს დაჰპირდა, რომ 1500 აშშ დოლარად, ერთი წლით მიაგირავებდა იმავე ბინაში მდებარე ერთ ოთახს. ა. ბ-ვმა და ნ. კ-ძემ დაარწმუნეს ლ. ე-შვილი, რომ ბინის ოფიციალურად გაფორმება მოითხოვდა დიდი დროსა და თანხას, რის გამოც მოწმეების თანდასწრებით ნ. კ-ძემ გადასცა ხელწერილი თანხის მიღების შესახებ. ამის შემდეგ მსჯავრდებულებმა ლ. ე-შვილს გამოართვეს 1500 აშშ დოლარი და მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი, ხოლო ბინა უკვე იპოთეკით იყო დატვირთული ნ. ზ-ლის სასარგებლოდ.

ა. ბ-ვი და ნ. კ-ძე იმყოფებოდნენ ორთაჭალოს ავტოსადგურში მდებარე ტურისტულ სააგენტოში, სადაც გაიცნეს ლ. ქ-შვილი, რომელსაც სურდა იტალიაში გამგზავრება. ამ უკანასკნელს დაჰპირდნენ, რომ უპრობლემოდ გაამგზავრებდნენ იტალიაში და სანაცვლოდ მოსთხოვეს 3500 აშშ დოლარი. ა. ბ-მა და ნ. კ-ძემ მოიპოვეს ლ. ქ-შვილის ნდობა, ხშირად ურეკავდნენ მას და ეუბნებოდნენ, რომ დღე-დღეზე იტალიაში მიემგზავრებოდა ჯგუფი და თუ სურვილი ჰქონდა, მისულიყო მათ ოფისში, რომელიც თითქოსდა მდებარეობდა ... ქუჩაზე და მიეტანა თანხა. 2006 წლის აპრილში ლ. ქ-შვილი მივიდა აღნიშნულ მისამართზე, სადაც ა. ბ-ევს და ნ. კ-ძეს გადასცა 3000 აშშ დოლარი, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ კი დარჩენილი 500 აშშ დოლარიც. ა. ბ-ვმა და ნ. კ-ძემ დანაპირები არ შეასრულეს და მიღებული თანხა თალღითურად მიითვისეს, რითიც დაზარალებულს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. ბ-ვს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ა. ბ-ვს ჩათვლილი ჰქონდა პირობით და განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 8 წელი უნდა მოიხადოს სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი სასჯელი ჩათვალა პირობით, იმავე ვადით. ა. ბ-ვს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 5 აგვისტოდან.

ნ. კ-ძეს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 2 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ა. ბ-ვმა და ნ. კ-ძემ და მოითხოვეს გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივლისის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ა. ბ-ვი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია; სასამართლომ არ გაითვალისწინა სხვადასხვა მტკიცებულებები და მხოლოდ წერილობითი ხელშეკრულების გამო დასდო ბრალი, თუმცა დანაშაული არ ჩაუდენია.

ა. ბ-ვი მოითხოვს მის მიმართ საქმის შეწყვეტას.

კასატორი - ნ. კ-მე თავის საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის განაჩენი, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი, უნდა გაუქმდეს, რადგან არასწორად შეფასდა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, რადგან ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ის გარემოება, რომ იპოთეკით დატვირთული ბინის კვლავ იპოთეკით დატვირთვის პირობით მსჯავრდებულები დაეუფლნენ არაერთი პირის თანხას, ნათლად მეტყველებს მათ განზრახვაზე.

უსაფუძვლოა მსჯავრდებულ ა. ბ-ვის მითითება, თითქოს არაფერი იცოდა ნ. კ-მის მიერ ბინის თაობაზე დადებული ხელწერილების შესახებ და მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო. საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას დაკითხული დაზარალებულების თანმიმდევრული და დამაჯერებელი ჩვენებებით უდავოდ დადგენილია, რომ ა. ბ-ვი და ნ. კ-მე ერთობლივად, ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ.

მსჯავრდებულთა პიროვნების და მათ მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო და ბრალულ ქმედებათა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, ა. ბ-ვსა და ნ. კ-მეს დანიშნული აქვთ სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება.

ამასთან, ორივე ინსტანციის სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულებს დაზარალებულ მ. ტ-ვას სასარგებლოდ დაეკისრათ 1600 აშშ დოლარის გადახდა იმის მიუხედავად, რომ ეს უკანასკნელი სასამართლოში, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე, ითხოვდა 1100 აშშ დოლარის ანაზღაურებას.

მ. ტ-ვას აღნიშნული პოზიციიდან გამომდინარე, მის სასარგებლოდ მსჯავრდებულებისათვის გადასახდელად დაკისრებული თანხის ოდენობა უნდა შემცირდეს, ხოლო სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი, როგორც კანონიერი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების - ა. ბ-ვისა და ნ. კ-მის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოების გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენი შეიცვალოს: ა. ბ-ვსა და ნ. კ-მეს სამოქალაქო მოსარჩელე მ. ტ-ვას სასარგებლოდ დაეკისროთ 1100, ნ. ა კ-შვილის სასარგებლოდ 8150, ლ. ქ-შვილის სასარგებლოდ 3500, ნ. ლ-შვილის სასარგებლოდ 2500, ლ. ე-შვილის სასარგებლოდ 1500, ნ. მ-მის სასარგებლოდ 2500, ხოლო გ. შ-მის სასარგებლოდ 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თადლითობა

განჩინება

#1157-აპ-08

6 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ს-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სა-
აპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ივლისის განაჩენზე
დ. ს-ძისა და ნ. გ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 თე-
ბერვლის განაჩენით დ. ს-ძე, და ნ. გ-შვილი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის
180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რე-
დაქციით) იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინეს თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია
და რაც გამოიხატა შემდეგში:

ნ. გ-შვილმა და დ. ს-ძემ განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი
ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლება. მათ დაამზადეს 2003 წლის 3 თებერვლით დათარიღე-
ბული, უძრავი ქონების ნასყიდობის ყალბი ხელშეკრულება - სანოტარო აქტი #1-211, რომლის
თანახმად, ნ. გ-შვილმა მეზობლად მცხოვრები მ. ჩ-ძისაგან თითქოსდა შეიძინა ...-ის დასახ-
ლების #5\56-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, რომელიც რეალურად ეკუთვნოდა ნ. გ-შვილის
მეორე მეზობელ რ. დ-შვილს. ყალბ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე „მყიდველის“ გრაფაში ხელი
მოაწერა ნ. გ-შვილმა, ხოლო „გამყიდველის“ - მ. ჩ-ძის სახელით დ. ს-ძემ.

დ. ს-ძემ 2003 წლის 17 სექტემბერს აღნიშნული ყალბი სანოტარო აქტი, ქონების გადაცემი-
სათვის თავის მიერ 16 სექტემბერს შევსებულ დეკლარაციასთან ერთად, წარადგინა საჯარო რეეს-
ტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, რომლის საფუძველზეც თბი-
ლისში, მდებარე საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ დარეგისტრირდა ნ. გ-შვილი.

დ. ს-ძე, განზრახული ჰქონდა რა სხვისი თანხის მოტყუებით დაუფლება მართლსაწინააღმდეგო
მისაკუთრების მიზნით, 2003 წლის 22 სექტემბერს გაზეთ „სიტყვა და საქმის“ მეშვეობით დაუ-
კავშირდა თანხის გამსესხებლებს - ხ. ჭ-იას, ლ. გ-ძესა და ი. გ-ძეს, რომლებიც დაარწმუნა,
რომ, მათგან სესხად აღებული 3050 აშშ დოლარის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით, იპო-
თეკით დატვირთავდა თბილისში, მდებარე ნ. გ-შვილის კუთვნილ ბინას. მიუხედავად იმისა,
რომ ამ დროისათვის დ. ს-ძეს ჰქონდა ნ. გ-შვილისაგან 2003 წლის 15 სექტემბერს მის სახელზე
გაცემული მინდობილობა, სანოტარო, რომელიც დ. ს-ძეს უფლებას აძლევდა, ემართა ნ. გ-შვი-
ლის კუთვნილი ქონება, გამსესხებლის დაყინებული მოთხოვნის გამო, სესხის ხელშეკრულების გა-
ფორმება უნდა მომხდარიყო ბინის მესაკუთრესთან, ანუ ნ. გ-შვილთან. 2003 წლის 23 სექტემ-
ბერს დ. ს-ძე ნ. გ-შვილთან ერთად, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების მიზ-
ნით, თბილისში, ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, შეხვდა ხ. ჭ-იას, ლ. გ-ძესა
და ი. გ-ძეს, საიდანაც ისინი გაემართნენ თბილისში, ნოტარიუსთან. ამ უკანასკნელს ნ. გ-
შვილმა წარუდგინა ყალბი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც მან გააფორმა სესხისა და იპო-
თეკის ხელშეკრულება რომლის თანახმად, ნ. გ-შვილმა (მსესხებელმა) ი. გ-სა და ხ. ჭ-იასაგან
(გამსესხებლები) სესხად აიღო თანხა - 3050 აშშ დოლარის ოდენობით, სესხის უზრუნველსაყო-
ფად იპოთეკით დატვირთა თბილისში, მდებარე საცხოვრებელი ბინა, რომელიც რეალურად ეკუთ-
ვნოდა რ. დ-შვილს და დ. ს-ძის მიერ გაყალბებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე
დარეგისტრირდა ნ. გ-შვილის საკუთრებად. იმის გამო, რომ ერთ-ერთ გამსესხებელს - ლ. გ-
ძეს თან არ ჰქონდა საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სესხისა და
იპოთეკის ხელშეკრულებაში მის მიერ გასესხებული თანხა - 1200 აშშ დოლარი - დაფიქსირდა,
როგორც ი. გ-ძის კუთვნილი.

იმის გამო, რომ მსესხებლის მიერ სისტემატურად ირღვეოდა სესხის ხელშეკრულების პირობე-
ბი, რაც გამოიხატა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის სარგებლის (2%-ის ოდენობით)
გადაუხდელობაში, გამსესხებლები უკავშირდებოდნენ ნ. გ-შვილს და სთხოვდნენ ხელშეკრულების
პირობების შესრულებას ან თანხის დაბრუნებას, რაზეც იგი პასუხობდა, რომ თანხა არ გააჩნდა.
2003 წლის ნოემბერში ი. გ-ძემ, გამსესხებლების სახელით, ნ. გ-შვილთან წარმოქმნილი ქონებ-
რივი დავის გადასაწყვეტად, სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს „საქართველოს მუდმივმოქმედ
არბიტრაჟს“, საიდანაც სარჩელის განხილვაზე მიიღო უარი იმ მიზეზით, რომ სასარჩელო განცხა-
დებაზე დართული დოკუმენტაცია იყო ყალბი. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად დ. ს-ძე და
ნ. გ-შვილი მოტყუებით დაეუფლნენ ხ. ჭ-იას, ლ. გ-ძისა და ი. გ-ძის კუთვნილ თანხას -
3050 აშშ დოლარს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

აღნიშნული ქმედებისათვის ნ. გ-შვილს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, დ. ს-ძეს -
4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდე-
ლი ნაწილი - 1 წელი, 7 თვე, 9 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5
წლის, 7 თვისა და 9 დღის ვადით.

ნ. გ-შვილს სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 20 აგვისტოდან, დ. ს-ძეს - 2008 წლის 29 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. ს-ძემ. მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება, დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება ფინანსური ამნისტიის აქტის საფუძველზე; ასევე - იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გაიზიარებს ბრალდების მხარის არგუმენტაციას, დ. ს-ძისათვის დანიშნული სასჯელის ჩათვლა 2005 წლის 14 დეკემბრის განაჩენით განსაზღვრულ ხუთწლიან სასჯელში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული დ. ს-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი გამოტანილია სისხლის სამართლის საპროცესო კანონისა და საერთაშორისო კონვენციის არსებითი დარღვევებით, არასწორადაა გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი, რაც მდგომარეობს შემდეგში:

პროკურატურამ არ გააერთიანა 2004 წლის მისსა და იმავე წლის ივლისში აღძრული სისხლის სამართლის საქმეები, რითიც დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 245-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის შედეგადაც 2008 წლის 29 თებერვლის უკანონო განაჩენი; გამომძიებლებმა გამოიჩინეს სამსახურებრივი გულგრილობა და დაუდევრობა, არასწორად და გაჭიანურებით გამოიძიეს საქმე, რითიც დაარღვიეს სსსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა და რამაც გამოიწვია სასჯელთა შეკრება; სასჯელის დამატების გამო აღარ მოხდა მსჯავრდებულის პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლება.

კასატორის აზრით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი იძლევა იმის საფუძველს, რომ 2003 წლის 23 სექტემბრის სესხის ხელშეკრულება ნამდვილია; რომ მომხდარიყო საქმის განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, სასამართლო ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ თანხას - 3050 აშშ დოლარს სარგებელთან ერთად მთლიანად დააკისრებდა ნ. გ-შვილს, რადგან ის იყო ხელშეკრულების მხარე (მოვალე). დარღვეულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-4 ოქმის 1-ლი მუხლი, რომელიც ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისათვის მოვალის მიმართ არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

მსჯავრდებულის მოსაზრებით, მას მხოლოდ იმიტომ წაუყენეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება, რომ ნ. გ-შვილმა ვერ გადაიხადა ვალი სესხის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში; გარდა ამისა, სასამართლოს სასჯელები კი არ უნდა შეეკრიბა, არამედ - გამოეყენებინა სასჯელთა შთანთქმის წესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული დ. ს-ძე ითხოვს განაჩენის შეცვლას, ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებას ფინანსური ამნისტიის აქტის საფუძველზე ან სასჯელის შემცირებას სამართლიან ვადამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის, დაზარალებულების - ლ. გ-ძის, ი. გ-ძის და ხ. ჭ-იას ჩვენებებით უტყუარადაა დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

თავად მსჯავრდებულმა დ. ს-ძემ სასამართლოს განუმარტა, რომ ჩაიდინა ყალბი ნასყიდობის ხელშეკრულების - სანოტარო აქტის დამზადება და გამოყენება, თუმცა აღნიშნა, რომ მის ქმედებაში სახეზეა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყალბი დოკუმენტის გამოყენებით სხვისი ბინის იპოთეკით დატვირთვა და ამ გზით თანხის დაუფლება ნათლად მეტყველებს დ. ს-ძის განზრახვაზე. მისი ქმედების სამოქალაქო გარიგებად შეფასების ან სსკ-ის 210-ე მუხლით დაკვალიფიცირების მოთხოვნა უსაფუძველოა.

გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 31 დეკემბრის #915-ე განკარგულების საფუძველზე, რომლითაც ნ. გ-შვილი გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ნ. გ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 31 დეკემბრის #915-ე განკარგულების საფუძველზე ნ. გ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილი, მათ შორის, დ. ს-ძის მსჯავრდების ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#1535-აპ-08

7 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ფ-რის დამცველის, ადვოკატ მ. ყ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის განაჩენით დ. ფ-რი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენის მიხედვით, დ. ფ-რმა ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. სხვისი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 18 ნოემბერს, დაახლოებით 21 საათზე, დ. ფ-რი იმყოფებოდა კ-ის რაიონში, სადაც შენიშნა მ. კ-ის კუთვნილი „სამსუნგის“ მარკის მობილური ტელეფონი და განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდა მას. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან გააღვიძა მ. კ-ლი და ვითომდა კლასელთან დასარეკად გამოართვა მობილური ტელეფონი. მ. კ-მა მას ტელეფონი გადასცა და თან სთხოვა სიგარეტის გამოსართმევად მეზობლებთან მისულიყო. დ. ფ-რი მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მ. კ-ის კუთვნილ მობილურ ტელეფონსა და ტელეფონის დამმუხტავს, რის შემდეგაც იგი წავიდა სახლში, ხოლო აღნიშნული ნივთები მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა. თავისი ქმედებით დ. ფ-რმა დაზარალებულ მ. კ-ს მიაყენა 160 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2007 წლის 19 ნოემბერს დ. ფ-რი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა და პირადი ჩხრეკისას მისგან ამოიღეს თაღლითური გზით დაუფლებული მობილური ტელეფონი და მისი დამმუხტავი.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. ფ-რის დამცველმა, ადვოკატმა მ. ყ-მა. იგი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და დ. ფ-რის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას

იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო. აპელანტის განმარტებით, დ. ფ-რს მობილური ტელეფონის მოტყუებით დაუფლების განზრახვა არ ჰქონია.

საქმის სააპელაციო წესით განხილვისას მსჯავრდებულმა შეცვალა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვა მის მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირება იმ მოტივით, რომ სახეზე არ არის მნიშვნელოვანი ზიანი, რასაც ადასტურებს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის განაჩენი მსჯავრდებულ დ. ფ-რის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ დ. ფ-რის დამცველმა, ადვოკატმა მ. ყ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს, რომ მსჯავრდებულ დ. ფ-რს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება, როგორც უსაფუძვლოდ წარდგენილი, მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით და განესაზღვროს სასჯელის მინიმუმი იმ მოტივით, რომ სახეზე არ არის მნიშვნელოვანი ზიანი, მსჯავრდებულის წარსულში არაა ნასამართლევი, ხასიათდება დადებითად, ჰყავს ღრმად მოხუცი ბებიის და მათი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ დ. ფ-რის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დ. ფ-რს მსჯავრი დაედო მოტყუებით, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. კანონის თანახმად, პირის მსჯავრდებისათვის ისეთი მაკვალიფიცირებალი ნიშანი, როგორცაა თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, მსჯავრდებულის ქმედებით გამოიწვეული ზიანი თავისი ღირებულებით უნდა აღემატებოდეს 150 ლარს. საქმეში არსებობს დაცვის მხარის მიერ ჩატარებული #2349 ალტერნატიული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით დ. ფ-რის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული მობილური ტელეფონის - შAMშUNG შGH-b16-ის ღირებულება იმ დროს, როდესაც ის დაზარალებულმა მ. კ-მა შეიძინა, იყო 163 (ას სამოცდასამი) ლარი, მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც დ. ფ-რმა ის თაღლითური გზით მიისაკუთრა, ანუ 2007 წლის ნოემბრის ბოლოსათვის, მისი ღირებულება შეადგენდა 137 ლარს, რაც, კანონის თანახმად, არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ზიანს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ უარყო აღნიშნული მტკიცებულება და ამის შედეგად უსაფუძვლოდ შეურაცხა მსჯავრდებულს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება, დაუშვა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, როცა განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ, მსჯავრდებულ დ. ფ-რის ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველ ნაწილზე და იგი უნდა შეფასდეს როგორც თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით.

მსჯავრდებულ დ. ფ-რის მიმართ სასჯელის ზომის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჩადენილი ქმედების სიმძიმე და შედეგები, მისი ჩამდენის პიროვნება და შემამსუბუქებელი გარემოებები, რომელთა გათვალისწინებით, მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აკვეთა 3 წლის ვადით, რაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს აუცილებელ და საკმარის ზომას სასჯელის მიზნის მიღწევისა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ დ. ფ-რის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ფ-რის დამცველის, ადვოკატ მ. ყ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ დ. ფ-რის ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ხოლო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ დ. ფ-რის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#1439აპ-08

25 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ჩ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნის შესაბამისად, გ. ჩ-ძეს ბრალი ედებოდა იმაში, რომ მითვისა მის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი დიდი ოდენობით სხვისი ნივთი, ასევე - არაერთგზის დაამზადა და ყალბი საგადასახადო დოკუმენტი, რომელიც გაასაღა და გამოიყენა, რაც გამოიხატა შემდეგში:

შპს "MAX-სერვისის" დამფუძნებელმა და დირექტორმა გ. ჩ-ძემ 2006 წლის 5 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს "პლასტიკასაგან" შესანახად ჩაიბარა 120 ტონა ბიტუმი. საქონელი იმყოფებოდა გ. ჩ-ძის მართლზომიერ მფლობელობაში მხოლოდ შენახვის უფლებით, რა დროსაც ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, ესარგებლა ვითარებით და დაუფლებოდა მას. ამისათვის იმავე წლის 7 დეკემბერს გ. ჩ-ძემ 120 ტონა ბიტუმი უკანონოდ გაასხვისა შპს "ს-ზე" და "კ-ზე", რითიც მითვისა 101 365 ლარის ღირებულების სხვისი ნივთი.

გ. ჩ-ძემ მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებული 120 ტონა ბიტუმის რეალიზაციის მიზნით განიზრახა ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება, გასაღება და გამოყენება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, საგადასახადო ინსპექციიდან გამოტანილ, 2006 წლის 25 დეკემბერს გამოწერილ სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში შეიტანა ყალბი მონაცემები, თითქოსდა საგზაო ბიტუმი ეკუთვნოდა შპს „M-სერვისს“ და 86 ტონა მითითებული საქონელი მიაწოდა შპს „ს-ს“, რითიც ამ უკანასკნელმა დამატებითი ღირებულების გადასახადში მიიღო 11 987 ლარის ოდენობის უკანონო ჩათვლა; მანვე არაერთგზის, საგადასახადო ინსპექციიდან გამოტანილ, 2006 წლის 25 დეკემბერს გამოწერილ სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში შეიტანა ყალბი მონაცემები, თითქოსდა საგზაო ბიტუმი ეკუთვნოდა შპს „M-სერვისს“ და 28,2 ტონა მითითებული საქონელი მიაწოდა შპს „კ-ი-2-ს“, რითიც ამ უკანასკნელმა დამატებითი ღირებულების გადასახადში მიიღო 4 341 ლარის ოდენობის უკანონო ჩათვლა.

სასამართლო სხდომაზე პროკურორმა წარადგინა ბრალდების ახალი ფორმულირება და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის განაჩენით გ. ჩ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და საბოლოოდ განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 16 თებერვლიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „M-სერვისის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა გ. ჩ-მემ 2006 წლის სექტემბერში, შპს „ს-თან“ დადებული შეთანხმების თანახმად, იკისრა ვალდებულება, მიეწოდებინა მისთვის რამდენიმე ვაგონი ბიტუმი და აღნიშნული საზოგადოებისაგან მიიღო შეთანხმებული საქონლის ღირებულების ნახევარი - 60 ათასი ლარი. ვინაიდან გ. ჩ-მეს შეექმნა პრობლემები შპს „ს-თან“, რომელსაც ვერ აწვდიდა შეთანხმებულ საქონელს, თანხის ნაწილი კი წინასწარ ჰქონდა გამორთმეული, გადაწყვიტა შპს „პ-ს“ მიერ ირანიდან სარეალიზაციოდ შემოტანილი ბიტუმის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება მოტყუებით. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2006 წლის 5 დეკემბერს გაფორმებული მოჩვენებითი ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „პ-საგან“ შესანახად ჩაიბარა 120 ტონა ბიტუმი და დაეუფლა აღნიშნულ საქონელს - მისაკუთრა 101 365 ლარის ღირებულების დიდი ოდენობით სხვისი ნივთი. 2006 წლის 7 დეკემბერს, შპს „პ-ას“ კუთვნილი 120 ტონა ბიტუმი, ნაცვლად შენახვისა გ. ჩ-მემ უკანონოდ გაასხვისა შპს „ს-ზე“ და „კ-თი 2-ზე“.

მანვე, შპს „პ-საგან“ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული 120 ტონა ბიტუმის რეალიზაციის მიზნით განიზრახა ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება, გასაღება, გამოყენება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, საგადასახადო ინსპექციიდან გამოტანილ, 2006 წლის 25 დეკემბერს გამოწერილ სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში შეიტანა ყალბი მონაცემები, თითქოსდა საგზაო ბიტუმი ეკუთვნოდა შპს „M-სერვისს“ და 86 ტონა ბიტუმი მიაწოდა შპს „ს-ს“, რითიც ამ უკანასკნელმა დამატებითი ღირებულების გადასახადში მიიღო 11 987 ლარის ოდენობის უკანონო ჩათვლა; გ. ჩ-მემ არაერთგზის, საგადასახადო ინსპექციიდან გამოტანილ, 2006 წლის 25 დეკემბერს გამოწერილ სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში შეიტანა ყალბი მონაცემები, თითქოსდა ბიტუმი ეკუთვნოდა შპს „M-სერვისს“ და 28,2 ტონა ბიტუმი მიაწოდა შპს „კ-თი-2“-ს, რითიც ამ უკანასკნელმა დამატებითი ღირებულების გადასახადში მიიღო 4 341 ლარის ოდენობის უკანონო ჩათვლა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ჩ-მემ და მოითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. ჩ-მე თავის საჩივრებში მიუთითებს, რომ შპს „M-სერვისს“ და „პ-ას“ შორის წამოჭრილი დავა არ სცილდება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას; საქმეში არსებული ყველა მტკიცებულებით, მათ შორის - მიბარების ხელშეკრულებით დადგენილია, რომ ბიტუმის დასაწყობება და შპს „M-სერვისზე“ გადაცემა მოხდა ქ. ზუგდიდში. სხვაგვარად ვერც მოხდებოდა, რადგან ტვირთი სარკინიგზო ტრანსპორტით შემოვიდა თბილისში, საიდანაც გადამისამართდა ზუგდიდში. ამას ადასტურებს მოწმე ლ. რ-ი, ხოლო შპს „ს-ის“ დირექტორი მიუთითებს, რომ ტვირთი მიიღო და ქ. ზუგდიდში თანხა გადაუხადა გ. ჩ-მეს. ამდენად, დანაშაულის ჩადენის ადგილია ქ. ზუგდიდი, რასაც ადასტურებს გენერალური პროკურორის მოადგილე თავის დადგენილებაში. უსაფუძვლოა სასამართლოს მითითება, რომ ვინაიდან შპს „M-სერვისს“ და „პ-ას“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა თბილისში, ამიტომ დანაშაულის ჩადენის ადგილიც თბილისია. ამდენად, დარღვეულია განსჯადობის წესები, რაც განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოწმე ლ. რ-ი თავის ჩვენებებში დეტალურად და თანმიმდევრულად აღწერს მომხდარს და მიუთითებს, რომ გ. ჩ-მეს არ ჰქონდა ტვირთის რეალიზაციის უფლება, მაგრამ შეიტყო, რომ მსჯავრდებულმა ბიტუმი ს. გ-ის მიჰყიდა. გ. ჩ-მე ეუბნებოდა, რომ ტვირთი არ გაუყიდა და აჩვენებდა დოკუმენტებს შპს „ს-ის“ საწყობში ტვირთის არსებობის შესახებ. ამ დოკუმენტების თაობაზე ს. გ-მ უთხრა, რომ გაყალბებული იყო, რადგან ასეთი დოკუმენტები არ გაუფორმებიათ. შემდეგ გ. ჩ-მემ აღიარა ყოველივე და დაჰპირდა, რომ ზიანს აანაზღაურებდა, თუმცა მიიმალა. მოგვიანებით მან ლ. რ-ს უთხრა: “გადაგაგდე და სადაც გინდა იქ მიჩივლეო”. მოწმემ ასევე მიუთითა, რომ მსჯავრდებულს თავიდანვე ამომრავებდა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.

ანალოგიური ჩვენება მისცა სასამართლოში დაზარალებულმა დ. დ-მ და აღნიშნა, რომ, როგორც შეიტყო, ბიტუმის საფასური შპს „ს-მა“ გ. ჩ-მეს გადაუხადა ჯერ კიდევ სექტემბერში.

მოწმე გ. კ-მე ადასტურებს, რომ გ. ჩ-მე არც აპირებდა სხვისი ნივთის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის დაბრუნებას. მოწმის განმარტებით, მსჯავრდებულისაგან იყო პასუხი: "კარგად იყავითო".

მოწმე ს. გ-მ სასამართლოს განუმარტა, რომ შეპირებული 120 ტონა ბიტუმის საფასური - 60 ათასი ლარი გ. ჩ-მეს ჯერ კიდევ სექტემბერში ჩაურიცხა. შემდეგ დამატებით კიდევ 22 ათასი ლარი გადასცა.

ს. გ-ს აღნიშნული ჩვენებაც ადასტურებს, რომ გ. ჩ-მეს თავიდანვე ამოძრავებდა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, რადგან ამ ნივთის საფასური დიდი ხნით ადრე ჰქონდა მიღებული და სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული არაერთი უტყუარი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, კასატორის მითითება სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის შესახებ უსაფუძვლოა.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს სასამართლოს მიერ განსჯადობის წესების დარღვევასთან დაკავშირებით, რადგან დაზარალებულ დ. დ-ს ჩვენებით, გ. ჩ-მემ საქონელი წაიღო ქ. თბილისის საკვანძო პუნქტიდან, სადაც გახდა მისი მფლობელი.

მოწმე ლ. რ-ც აღნიშნავს, რომ გ. ჩ-მეს საქონელი ფაქტობრივად გადაეცა თბილისში.

სსკ-ის 180-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ამ დანაშაულის ჩადენის ადგილია ნივთის დაუფლების ან ქონებრივი უფლების მიღების ადგილი, შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლო უფლებამოსილი იყო, განეხილა მოცემული სისხლის სამართლის საქმე და სააპელაციო პალატის მსჯელობა ამ ნაწილში საფუძვლიანია.

საქმის მასალებით ასევე უტყუარადაა დადასტურებული გ. ჩ-მის მიერ სსკ-ის 210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

ამასთან, თვით საბრალდებო დასკვნიდან და ბრალდების ახალი ფორმულირებიდან გამომდინარე, გ. ჩ-მემ ორ საგადასახადო ანგარიშფაქტურაში ყალბი მონაცემები შეიტანა ერთსა და იმავე დღეს - 2006 წლის 25 დეკემბერს იმ მიზნით, რომ მოეხდინა მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული ბიტუმის რეალიზაცია.

ცხადია, რომ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდში მომხდარია სსკ-ის მე-14 მუხლით გათვალისწინებული, ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილი ერთიანი - განგრძობადი დანაშაული, რის გამოც გ. ჩ-მის ქმედება სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე და მსჯავრდებულს მუხლის ამ ნაწილით დანიშნული სასჯელი უნდა განუხებდეს "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ჩ-მის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: გ. ჩ-მის ქმედება სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს 210-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, განახევრდეს და ამ მუხლით გ. ჩ-მეს მიესაჯოს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და გ. ჩ-მეს საბოლოოდ განესაზღვროს 8 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#125-აპ-09

8 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ქ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის განაჩენით ა. ქ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ იყო რა ორჯერ ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, ჩაიდინა თაღლითობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ა. ქ-ძე ორჯერ - 1993 წლის 16 თებერვალსა და 1999 წლის 2 სექტემბერს გასამართლებული იყო სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის. 1999 წლის 2 სექტემბრის განაჩენით ა. ქ-ძე ცნობილია დამნაშავედ 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სსკ-ის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 1999 წლის 26 აპრილიდან. ამის მიუხედავად მან კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ:

2005 წლის 24 სექტემბერს, დაახლოებით 4 საათზე ა. ქ-ძე იმყოფებოდა ქ. ბათუმში მდებარე კაფეში, რა დროსაც განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდა სხვის ნივთს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან ა. მ-ძეს სთხოვა „სიმენსის“ ფირმის, 65 აშშ დოლარად ღირებული მობილური ტელეფონით სარგებლობა, რაზეც იგი დასთანხმდა. ამის შემდეგ ა. ქ-ძე შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. დაახლოებით 20 წუთში დაზარალებულმა მონახა ა. ქ-ძე კაფეს მიმდებარე ტერიტორიაზე და მოსთხოვა ტელეფონის დაბრუნება, მაგრამ მსჯავრდებულმა უპასუხა, რომ არ ჰქონდა. ა. მ-ძემ მიმართა პოლიციის თანამშრომლებს, რომლებმაც პირადი ჩხრეკის შედეგად ა. ქ-ძისაგან ამოიღეს აღნიშნული ტელეფონი.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. ქ-ძეს მიესაჯა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3 500 ლარის ოდენობით, რასაც მთლიანად დაემატა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის განაჩენით, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 2 თვე, 8 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით, 8 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3 500 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 22 სექტემბრიდან და ამ ვადაში მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2005 წლის 24 სექტემბრიდან იმავე წლის 26 სექტემბრის ჩათვლით - 3 დღე.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მოითხოვა გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 25 დეკემბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: განაჩენიდან ამოირიცხა მითითება დამატებითი სასჯელის - 3 500 ლარის ოდენობით ჯარიმის დანიშვნის შესახებ; ა. ქ-ძის ქმედება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 2 თვე, 8 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით, 2 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა. სხვა ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

საკასაციო საჩივარში მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ დანაშაული არ ჩაუდენია და განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ დაზარალებულისა და პოლიციელის ჩვენებებს, რაც უკანონოა; თავისი მოწმეები სასამართლოში არ დაიკითხა; ჰყავს ფსიქიურად დაავადებული მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული მოითხოვს მის მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, რადგან ეყრდნობა საქმეში არსებულ და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებებს, მათ შორის - დაზარალებულ ა. მ-ძისა და მოწმე ე. კ-ძის ჩვენებებს. პირადი ჩხრეკის შედეგად ა. ქ-ძისაგან ამოიღეს "სიმენსის" ფირმის მობილური ტელეფონი, რომელიც დაუბრუნდა დაზარალებულს. თავად მსჯავრდებული არ უარყოფს, რომ თან ჰქონდა ტელეფონი, მაგრამ, მისი განმარტებით, იგი დაზარალებულს დარჩა კაფეში, რის გამოც წამოიღო და ელოდა ა. მ-ძეს, რათა ტელეფონი დაებრუნებინა.

რაც შეეხება მოწმეთა დაკითხვას, პირველი ინსტანციის სასამართლომ ამ საკითხზე საფუძვლიანად იმსჯელა, ხოლო სააპელაციო სასამართლოში დაცვის მხარეს რაიმე შუამდგომლობა არ დაუყენებია. ამდენად, საჩივრის მოტივი საქმის განხილვისას საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ უსაფუძვლოა.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 1993 წლის 16 თებერვლის განაჩენით დადგენილი დანაშაულისათვის ა. ქ-ძეს ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს, რის გამოც მისი ქმედება 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე და, შესაბამისად, შეუმსუბუქდეს სასჯელი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ქ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ა. ქ-ძის ქმედება 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე და მიესაჯოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 2 თვე, 8 დღე და ა. ქ-ძეს საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით, 2 თვით და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#334-აპ-09

14 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. გ-ვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის განაჩენით ნ. გ-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწ-

ყო 2008 წლის 13 თებერვლიდან. მსჯავრდებულს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1998 წლის მარტში ბოლნისის რაიონის მოსახლეობის ნაწილმა გადაწყვიტა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით აღება, რისთვისაც განცხადებით მიმართეს შესაბამის კომისიას და ითხოვეს მიწის ნაკვეთის რამდენიმე პიროვნებაზე იჯარით გაცემა. მოსახლეობამ შეარჩია ნ. გ-ვი, ი. ი-ვი და რ. მ-ვი, რომლებსაც სიტყვიერად შეუთანხმდნენ, იჯარით აეღოთ მიწის ნაკვეთი, ხოლო მოსახლეობა კისრულობდა მათთვის გადაეხადა დადგენილი გადასახადი.

იმავე წლის 23 მარტს ბოლნისის რაიონის გამგეობასა და ნ. გ-ვს, ი. ი-ვს და რ. მ-ვს შორის გაფორმდა 17 ჰა მიწის იჯარის ხელშეკრულება 10 წლის ვადით. ამ ხელშეკრულებით ყოველწლიურმა გადასახადმა შეადგინა 444 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

ნ. გ-ვს სურდა ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით და აღნიშნული მიწის ნაკვეთი ქვეიჯარის ხელშეკრულების გარეშე გასცა თანასოფლელებზე, რომლებსაც წლების განმავლობაში, ერთიანი მიზანითა და საერთო განზრახვით, მოტყუებით გამოართვა სხვადასხვა ოდენობის თანხა და მითვისა, რითიც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, კერძოდ:

რ. მ-ვს, ი. ს-ვს, ი. ი-ვს, მ. მ-ვს, თ. ი-ვს, მ. მ-ვს და ვ. ი-ვს 1,06 ჰა მიწის ფართობზე 1998 წელს მოტყუებით გადაახდევინა 213 ლარი, 1999 წელს - 66,86 ლარით მეტი, ხოლო 2006 წელს მოატყუა, რომ მიწის პრივატიზებისათვის საჭირო იყო 15 ლარის გადახდა და იგი თაღლითურად მითვისა;

მ. ი-ვს 1,06 ჰა მიწის ფართობზე 1998 წელს მოტყუებით გადაახდევინა 213 ლარი, 1999 წელს - 66,86 ლარით მეტი, ხოლო 2006 წელს მოატყუა, რომ მიწის პრივატიზებისათვის საჭირო იყო 15 და 60 ლარის გადახდა და იგი თაღლითურად მითვისა;

რ. გ-ვას 1,06 ჰა მიწის ფართობზე 1998 წელს მოტყუებით გადაახდევინა 200 ლარი, 1999 წელს - 116,86 ლარით მეტი და იგი თაღლითურად მითვისა;

ფ. ს-ვს 1,06 ჰა მიწის ფართობზე 1998 წელს მოტყუებით გადაახდევინა 213 ლარი, 1999 წელს - 56,86 ლარით მეტი, ხოლო 2006 წელს მოატყუა, რომ მიწის პრივატიზებისათვის საჭირო იყო 13 ლარის გადახდა და იგი თაღლითურად მითვისა;

ა. მ-ვს 1,06 ჰა მიწის ნაკვეთზე 1998 წელს მოტყუებით გადაახდევინა 220 ლარი, 1999 წელს - 66,86 ლარით მეტი, ხოლო 2006 წელს მოატყუა, რომ მიწის პრივატიზებისათვის საჭირო იყო 650 ლარის გადახდა და იგი თაღლითურად მითვისა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მოითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, მსჯავრდებულის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა 1998-99 წლებში ჩადენილი და ბრალად შერაცხული ქმედებების ნაწილში, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მსჯავრდებულის ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, ხოლო სხვა ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ნ. გ-ვი თავის საჩივარში აღნიშნავს, რომ სასჯელის მოხდის დროს გარდაეცვალა მეუღლე, ჰყავს ორი შვილი და შვილიშვილი, რომელთა ერთადერთი მარჩენალი თვითონაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებულ განაჩენში არასწორადაა მითითებული, რომ ნ. გ-ვი 2006 წლის აგვისტო-სექტემბერში თაღლითურად დაეუფლა რ. გ-ვას კუთვნილ 15 ლარს.

საბრალდებო დასკვნითა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით, მსჯავრდებული რ. გ-ვას თანხებს დაეუფლა 1998-99 წლებში, რისთვისაც ნ. გ-ვის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით ნ. გ-ვის ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, მსჯავრდებულის ქმედება დაეკვალიფიცირებინა უფრო მკაცრი მუხლით - მოქმედი სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულის მიერ რ. გ-ვას კუთვნილი 15 ლარის თაღლითურად დაუფლების შესახებ, ხოლო ნ. გ-ვის ქმედება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს

2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტზე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, გარდა აღნიშნულისა, ობიექტურია, ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა. ამასთან, სააპელაციო პალატის განაჩენი სამართლიანაცაა, რადგან ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, ნ. გ-ვს დანიშნული აქვს ზომიერი სასჯელი, რომლის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ნ. გ-ვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 თებერვლის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება 2006 წლის აგვისტო-სექტემბერში ნ. გ-ვის მიერ რ. გ-ვას კუთვნილი 15 ლარის თაღლითურად დაუფლების შესახებ;

ნ. გ-ვის ქმედება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტზე;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#425-აპ-09

29 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგამე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

წალკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის განაჩენით ვ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა და მითვისება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. თბილისში, მცხოვრებმა დ. მ-ამ მამამისის - ი. შ-ის კუთვნილი, წ-ის რაიონში, მდებარე ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი 2007 წლის 14 ივლისს ხელწერილით, მისახედად და მოსავლელად ჩააბარა ამავე სოფელში მცხოვრებ ვ. გ-ს, რომელმაც გადაწყვიტა, დაეშალა მისთვის მიბარებული სახლი და მიეთვისებინა სამშენებლო მასალები.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, 2008 წლის ოქტომბერში, რიცხვი დაუდგენელია, ვ. გ-მა დაშალა აღნიშნული სახლი, რომლის კარ-ფანჯარაც და სხვა ხის მასალა გამოიყენა შემად, ხოლო დანარჩენი მიჰყიდა სხვადასხვა პირს, რომლებიც დაარწმუნა, რომ სახლი ნაყიდი ჰქონდა და მას ეკუთვნოდა. ამ გზით მან შეცდომაში შეიყვანა წ-ის რაიონში მცხოვრები ლ. ხ-ნი, რომელსაც 390 ლარად მიჰყიდა დ. მ-ს სახლის სახურავიდან მოხსნილი 12 ე.წ. „სტრაფილი“ და ამდენივე კოჭი;

იმავე თვეში, რიცხვი დაუდგენელია, ვ. გ-მა შეცდომაში შეიყვანა წ-ს რაიონში, მცხოვრები ჯ. ა-ი, მოატყუა, რომ სახლი იყიდა დ. მ-გან 400 ლარად და მიჰყიდა დ. მ-ს საქონლის სადგომის 150 სამშენებლო ბლოკი, ღირებული 60 ლარად;

მანვე, 2008 წლის ოქტომბერში შეცდომაში შეიყვანა იმავე სოფელში მცხოვრები ნ. გ-ვა და მიჰყიდა დ. მ-ს სახლის იატაკიდან მოხსნილი 32 ფიცარი, ღირებული 90 ლარად;

იმავე თვეში ვ. გ-მა მოატყუა კ. ა-ვი და მიჰყიდა დ. მ-ს საქონლის სადგომის სახურავიდან მოხსნილი 7 შიფერი, ღირებული 35 ლარად.

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. გ-ს განესაზღვრა 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება 2 წლის ვადით; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 3 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; ასევე - დაეკისრა 2 ათასი ლარის გადახდა სამოქალაქო მოსარჩელე დ. მ-ვას სასარგებლოდ.

მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 3 დეკემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. გ-მა და მოითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ვ. გ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმის გათვალისწინებით, რომ სრულად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, რაც აღნიშნა კიდევ, მაგრამ არსად დაფიქსირდა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეშია არაერთი უტყუარი მტკიცებულება, რომელთა საფუძველზე ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურად დადგინდა და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია. ამასთან, არასწორადაა გამოყენებული მატერიალური კანონი, კერძოდ:

ვ. გ-ი სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით მსჯავრდებულია იმის გამო, რომ მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებული ნივთები მიჰყიდა სხვადასხვა პირს, რომლებიც მოატყუა, რომ ნივთები მას ეკუთვნოდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დამნაშავეს მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის გასაღება თაღლითობის შემადგენლობას არ იძლევა. ეს ქმედება არც სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს, თუ ნივთი არ არის ბრუნვიდან ამოღებული. მოცემულ შემთხვევაში ვ. გ-ის ყველა ქმედებას მთლიანად მოიცავს სსკ-ის 182-ე მუხლი, რომლითაც იგი მსჯავრდებულია, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი და თაღლითობის ბრალდების ნაწილში ვ. გ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. შესაბამისად, უნდა შემცირდეს სასჯელის ზომაც.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ არასწორად გადაწყვიტა ნივთმტკიცებად ცნობილი სამშენებლო მასალების საკითხი, რომლებიც სსსკ-ის 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულს და არა მათ შემემენ პირებს.

ვინაიდან სათანადოდ არ დადგენილა დაზარალებულის კუთვნილი და ამოღებული ნივთების ფასი, რომლებიც მას უნდა დაუბრუნდეს, შეუძლებელია თანხის იმ ოდენობის განსაზღვრა, რაც სამოქალაქო სარჩელის საფუძველზე გადასახდელად უნდა დაეკისროს მსჯავრდებულს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენი უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს წალკის რაიონულ სასამართლოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში ვ. გ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ვ. გ-ს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ვ. გ-ს დამატებით სასჯელად განსაზღვრული ჯარიმა - 3000 ლარი შეუმცირდეს 500 ლარით და საბოლოოდ დაეკისროს 2 500 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

ნივთმტკიცებები - 150 სამშენებლო ბლოკი, 7 შიფერი, 12 ე.წ. "სტრაფილი", ხის 12 კოჭი და იატაკის 32 ფიცარი - დაუბრუნდეს დაზარალებულ დ. მ-ვას;

სააპელაციო პალატის განაჩენი ვ. გ-ის მიმართ გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს წალკის რაიონულ სასამართლოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. მითვისება, გაფლანგვა, გამოძალვა

მითვისება, გაფლანგვა

განჩინება

#860-აპ-08

21 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ გ. დ-ვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით გ. დ-ვს ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

გ. დ-ვის ბრალდების საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, რომელმაც მისი ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე, ხოლო სასჯელის ზომად განუსაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის - თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 8 თვის ვადით; საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ძირითად სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად - ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით; საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ძირითად სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად - ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელის ზომად შეიკრიბა და საბოლოოდ მსჯავრდებულ გ. დ-ვს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლისა და 8 თვის ვადით, აგრეთვე - ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით.

იმავე განაჩენით გ. დ-ვთან ერთად მსჯავრდებულ იქნენ გ. კ-შვილი და ზ. ა-შვილი, რომლებიც ცნობილ იქნენ ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მათ სასჯელის ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა - თითოეულს 5 (ხუთი) წლის ვადით, ასევე ჯარიმა - თითოეულს 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

განაჩენით გ. დ-ვს მსჯავრი დაედო: ქურდობისათვის, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; თაღლითობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწ-

ვია და გამოძალვისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, ხოლო გ. კ-შილსა და ზ. ა-შილს მსჯავრი დაედოთ გამოძალვისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 8 ოქტომბერს გ. დ-ვმა, იმყოფებოდა რა თბილისში, დაბა წყნეთში, განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. დ-ვი მივიდა ფიროსმანის მდებარე მშენებარე საცხოვრებელ სახლთან, გადავიდა უკანონოდ შეაღწია ეზოში და შემდეგ - საცავში, რის შემდეგაც, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საცხოვრებელი სახლის საცავში ფარულად დაეუფლა გ. ტ-შილის კუთვნილ სამუშაო ადგილიდან მიიძალა. აღნიშნული ქმედებით გ. დ-ვმა დაზარალებულ გ. ტ-შილს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი 745 ლარის ოდენობით.

2007 წლის 2 თებერვალს, დაახლოებით 10.00 საათზე, დაბა წყნეთში, მცხოვრები ზ. კ-ძე და გ. დ-ვი დაბა წყნეთიდან ტაქსით წავიდნენ თბილისში. დიდუბის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გ. დ-ვმა განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ზ. კ-ძის ნდობის ბოროტად გამოყენებით, მოტყუებით დაუფლებოდა მის კუთვნილ მობილურ ტელეფონს. ახლობელთან დარეკვის საბაზით მან ზ. კ-ძეს სთხოვა ტელეფონი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა, რითაც ზ. კ-ძეს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი 385 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ფაქტის შემდეგ გ. დ-ვი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის მეგობრებს - გ. კ-შილსა და ზ. ა-შილს და მათთან ერთად განიზრახა ზ. კ-ძის კუთვნილი ტელეფონის სანაცვლოდ მისგან თანხის - 150 ლარის გამოძალვა. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად დასახელებული პირები მივიდნენ ზ. კ-ძესთან და ფიზიკური ძალადობის გამოყენებით მისგან მოითხოვდნენ 150 ლარის გადაცემას.

სასამართლომ დადგენილად და დადასტურებულად მიიჩნია, რომ გ. კ-შილმა და ზ. ა-შილმა ჩაიდინეს გამოძალვა, ე.ი. სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც ერთვოდა დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების ან ნივთის განადგურების მუქარა, ჩადენილი ჯგუფურად. კერძოდ, გ. კ-შილმა, გ. დ-ვმა და ზ. ა-შილმა დაზარალებულ ზ. კ-ძეს კუთვნილი მობილური ტელეფონის სანაცვლოდ ფიზიკური ძალის გამოყენებითა და მუქარით მოსთხოვეს 150 ლარის მათთვის გადაცემა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის პროკურატურის პროკურორმა ს. ჯ-შილმა, მსჯავრდებულ გ. კ-შილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ვ. მ-შილმა და ვ. ქ-ძემ, მსჯავრდებულმა გ. დ-ვმა.

აპელანტი - პროკურორი ს. ჯ-შილი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში, კერძოდ, კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში შემდეგი ცვლილების შეტანას მსჯავრდებულთა საუარესოდ: მსჯავრდებულ გ. დ-ვის დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ - საქართველოს სკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე სასჯელის ზომად 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე - 9 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე - 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დაღნიშნული სასჯელების შეკრებასა და საბოლოოდ გ. დ-ვის მიმართ 20 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას; გ. კ-შილის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას; ზ. ა-შილის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე მის მიმართ სასჯელის ზომად 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას. აპელანტი თავის მოთხოვნას საფუძველად უდებდა იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გ. დ-ვის, გ. კ-შილისა და ზ. ა-შილის მიმართ არის დაუსაბუთებელი და უკანონო, ვინაიდან საქმეში არსებული დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, სხვა მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს ყაჩაღობა და არა - გამოძალვა.

მსჯავრდებულ გ. კ-შილის ინტერესების დამცველი ადვოკატები - ვ. მ-შილი და ვ. ქ-ძე ითხოვდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გ. დ-ვის, გ. კ-შილისა და ზ. ა-შილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას. აპელანტებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მიაჩნდათ უკანონოდ და დაუსაბუთებლად, ვინაიდან, მათი აზრით, იგი არ გამომდინარეობს საქმეში არსებული უტყუარი, პირდაპირი მტკიცებულებებიდან და დადგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებების საფუძველზე; გამოიძება ჩატარებული კანონის უხეში დარღვევებით და სასამართლოს არ გაუთვალისწინებია საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები.

მსჯავრდებული გ. დ-ვი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას. აპელანტი თავის მოთხოვნას საფუძვლად უდებდა იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მის მიმართ არის მკაცრი, არასამართლიანი და არაკანონიერი, ემყარება ხელოვნურად შექმნილ მტკიცებულებებს; საქმის მასალებში არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდნენ მის მიერ დანაშაულის ჩადენას.

სააპელაციო საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2008 წლის 17 აპრილის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნები, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულების - გ. დ-ვის, გ. კ-შვილისა და ზ. ა-შვილის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. დ-ვმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. იგი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, შემდეგი მოტივებიდან გამომდინარე: აღნიშნული განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო, რადგან არ გამომდინარეობს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებიდან და დადგენილია ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებების საფუძველზე; საქმეზე წინასწარი და სასამართლო გამომიება ჩატარებულია საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევებით; არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობები, რამაც ხელი შეუშალა ჭეშმარიტების დადგენას და რის გამოც იგი მსჯავრდებულ იქნა უსაფუძვლო ბრალდებებით.

საკასაციო პალატის სხდომაზე განხილვისას კასატორმა - მსჯავრდებულმა გ. დ-ვმა მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივარს და აღნიშნა, რომ მას არ ჩაუდენია მის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედებები. ქურდობა მოხდა მისი სახლიდან 200 მეტრის დაშორებით, მაგრამ აღნიშნული დანაშაული მას არ ჩაუდენია, ხოლო დაზარალებულ ტ-შვილის კუთვნილი ჩაქუჩი მასთან სახლში როგორ აღმოჩნდა, არ იცის. რაც შეეხება თაღლითობას, მან მიუთითა, რომ, როდესაც ის დაზარალებული ზ. კ-ძე თბილისში იმყოფებოდნენ, ეს უკანასკნელი იყო ძალიან მთვრალი, რის გამოც მას შესთავაზა, რომ თავისი ტელეფონი შესანახად მისთვის გადაეცა, რათა არ დაეკარგა, რასაც შემდეგ დაუბრუნებდა, რაზედაც ზ. კ-ძე დაეთანხმა. მათ თავისი ნებით გადასცა მას ტელეფონი. ამის შემდეგ მას თანხა დასჭირდა, რის გამოც ზ. კ-ძის ტელეფონი დააგირავა 150 ლარად, რასაც შემდეგში გამოისყიდდა და პატრონს დაუბრუნებდა, მაგრამ ამასობაში დააკავეს. გ. დ-ვმა ასევე უარყო გამოძალვის ჩადენა და აღნიშნა, რომ მას ზ. კ-ძის მიმართ არავითარი გამოძალვა არ ჩაუდენია. იგი არ უარყოფს, რომ ტელეფონის თაობაზე მასთან კამათი მოუხდა, მაგრამ მისთვის რაიმე თანხა არ მოუთხოვია, რასაც ადასტურებენ მოწმეები. საბოლოოდ მსჯავრდებულმა გ. დ-ვმა ითხოვა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ მას დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაუდენია.

პროცესში მონაწილე პროკურორმა ქ. ჩ-შვილმა აღნიშნა, რომ კასატორის მოთხოვნა დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან. ამასთან, იგი თავის საკასაციო საჩივარში და საკასაციო პალატის სხდომაზე ავითარებს ერთმანეთისგან განსხვავებულ და წინააღმდეგობრივ პოზიციებს, რაც მიუთითებს მისი მოთხოვნის უსაფუძვლობაზე, ხოლო მისი ბრალდება გასაჩივრებული განაჩენით დადგენილ დანაშაულებრივ ქმედებებში არის დასაბუთებული და კანონიერი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოოდ პროკურორმა ქ. ჩ-შვილმა ითხოვა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენი მსჯავრდებულ გ. დ-ვის მიმართ დარჩეს უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები სრული მოცულობით მსჯავრდებულების - გ. დ-ვის, გ. კ-შვილის, ზ. ა-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, დადგენილად და დადასტურებულად მიაჩნია, რომ გ. დ-ვმა ნამდვილად ჩაიდინა ქურდობა საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული დადასტურებულია საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებული საკმარისი და სარწმუნო მტკიცებულებების ერთობლიობით, რასაც სააპელაციო სასამართლომ მისცა სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია, რის გამოც ამ ნაწილში განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება მსჯავრდებულ გ. დ-ვის მიერ დაზარალებულ ზ. კ-ძის კუთვნილი მობილური ტელეფონის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ წინასწარი და სასამართლო გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებები არ გააანალიზა და არ შეაფასა ერთნაირი ყურადღებით, რის გამოც დაუშვა უზუსტობა როგორც ფაქტობრივ გარემოებათა დადგენისას, ისე მათი შეფასებისას. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა დაზარალებულ ზ. კ-ძის ჩვენება, რომლის სასამართლოში დაკითხვა ვერ მოხერხდა მისი გარდაცვალების გამო, ხოლო ამ ჩვენების მიხედვით, გ. დ-ვმა მას ტელეფონი გამოართვა იმ საბაბით, რომ სურდა დაერეკა თავისი ნაცნობისათვის, მაგრამ მისგან ტელეფონის მიღების შემდეგ იგი აღარ დაუბრუნა და წავიდა შემთხვევის ადგილიდან. იმავე ფაქტის თაობაზე გ. დ-ვი განმარტავს, რომ მან ზ. კ-ძეს ტელეფონი გამოართვა იმიტომ, რომ იგი ძლიერ მთვრალი იყო და ამიტომ შეიძლებოდა ტელეფონი დაეკარგა. ამიტომ მან უთხრა ზ. კ-ძეს, რომ ტელეფონი მისთვის გადაეცა შესანახად, რასაც შემდეგ დაუბრუნებდა. ზ. კ-ძე დასთანხმდა და გადასცა მას ტელეფონი, რომელიც წაიღო სახლში, ხოლო შემდეგ, ვინაიდან ფული დასჭირდა, ზ. კ-ძის კუთვნილი ტელეფონი გამოიყენა პირადი მიზნებისათვის, კერძოდ, იგი დააგირავა. ამასთან, მისივე ჩვენებიდან ირკვევა, რაც ასევე დასტურდება აწ გარდაცვლილ ზ. კ-ძის ჩვენებითაც, რომ გ. დ-ვს მისთვის ტელეფონი აღარ დაუბრუნებია.

მიცემულ შემთხვევაში, მხოლოდ დაზარალებულ ზ. კ-ძის ჩვენება იმის თაობაზე, რომ გ. დ-ვმა მას ტელეფონი გამოსტყუა და შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს ასეთი ვერსიის უტყუარად მიჩნევისათვის, მით უმეტეს, როდესაც არსებობს გ. დ-ვის საწინააღმდეგო ჩვენება იმავე ფაქტის თაობაზე და ეს ჩვენება არ არის უარყოფილი სხვა მტკიცებულებით. ამრიგად, თუკი ერთობლივად შევფასებთ დაზარალებულ ზ. კ-ძის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებას, რომელიც გამოკვლეულ იქნა სასამართლოში, და ასევე მსჯავრდებულ გ. დ-ვის ჩვენებას, დადგენილად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ დაზარალებულმა ზ. კ-ძემ თავისი მობილური ტელეფონი შესანახად მიანდო გ. დ-ვს, რომელმაც აღნიშნული სხვისი მოძრავი ნივთი შემდეგ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა, როდესაც განკარგა იგი, როგორც პირადი საკუთრება და გაასხვისა, ხოლო მისი ღირებულება ზ. კ-ვის აღარ აუნაზღაურებია. მაშასადამე, განხილულ ეპიზოდში მსჯავრდებულ გ. დ-ვის ქმედება წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს, კერძოდ, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებას, როდესაც ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რის გამოც აღნიშნულ ნაწილში მსჯავრდებულ გ. დ-ვის ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტზე.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. დ-ვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენით არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე შეერაცხა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ისეთი დანაშაული, როგორცაა გამოძალვა, ჩადენილი ჯგუფურად, რადგან ამ ნაწილში დაზარალებულ ზ. კ-ძის ჩვენება, რომლითაც გ. დ-ვი იმხილება ხსენებულ დანაშაულში, არსებითად არის უარყოფილი შემთხვევის თვითმხილველი მოწმეების - ნ. ს-შვილისა და გ. ჭ-ძის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში მიცემული ჩვენებებით. მითითებული პირები იყვნენ აწ გარდაცვლილ ზ. კ-ძის მეგობრები. აღნიშნული ჩვენებები ძირითად ნაწილში სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა, მაგრამ არ მისცა მათ ჯეროვანი და ობიექტური შეფასება. მართალია, ასევე არსებობს მოწმე ც. ზ-შვილის მიერ წინასწარი გამოძიების მიცემული ჩვენება, რომელიც გამოქვეყნდა სასამართლოში საქმის განხილვისას, და მოწმე თ. ჩ-ნის ჩვენება, რომლებიც საფუძველად დაედო გ. დ-ვის ბრალდებას, მაგრამ მათი ჩვენებების საფუძველს წარმოადგენს აწ გარდაცვლილ ზ. კ-ძის აშკარად წინააღმდეგობრივი ჩვენებები და განცხადებები, რის გამოც ისინი სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მხოლოდ ნაწილობრივ სხვა, ობიექტური მტკიცებულებებით მათი დაუდასტურებლობის გამო. ასე რომ, ვერ იქნება დადგენილად მიჩნეული, რომ უშუალოდ გ. დ-ვი ახორციელებდა გამოძალვას ზ. კ-ძის მიმართ. ასეთ პირობებში, როდესაც ბრალდება ფაქტობრივად დაფუძნებულია ურთიერთგამომრიცხავ მტკიცებულებებზე, ეჭვი, რომელიც არ არის სრულად და უტყუარად დადასტურებული, უნდა გადაწყდეს იმ პირის სასარგებლოდ, ვისაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში. ამიტომ საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. დ-ვის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდების ნაწილში, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, თანახმად საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა.

განხილულ გარემოებათა გამო ვერ დაკმაყოფილდება მსჯავრდებულ გ. დ-ვის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მისი უდანაშაულოდ ცნობის, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მთლიანად შეწყვეტისა და პატიმრობიდან განთავისუფლების თაობაზე, რადგან საამისოდ არ არსებობს კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი. საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განაჩენი სარევიზიო წესით გადაამოწმა ასევე მსჯავრდებულების - გ. კ-შვილისა და ზ. ა-შვილის მიმართ, რომლებსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანიათ. საქმის მასალების შესწავლით დადგინდა, რომ, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის "ო" ქვეპუნქტის შესაბამისად, მსჯავრდებული გ. კ-შვილი საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 ნოემბრის #780 განკარგულებით შეწყალებულ იქნა და იგი გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან, ასევე მსჯავრდებული ზ. ა-შვილი საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 აპრილის #276 განკარგულებით შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან. გასაჩივრებული განაჩენი მათი მსჯავრდების ნაწილში, რომლითაც გ. კ-შვილსა და ზ. ა-შვილს დაკისრებული აქვთ აგრეთვე დამატებითი სასჯელი - ჯარიმა თითოეულს 3000 ლარის ოდენობით, უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან არ არსებობს მისი შეცვლის საფუძველი.

საბოლოოდ, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ გ. დ-ვის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. დ-ვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ გ. დ-ვის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდების ნაწილში, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, შესაბამისად, განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება ამ ნაწილში გ. დ-ვისათვის დამატებითი სასჯელად 3000 ლარის დანიშვნის თაობაზე. ხოლო მისივე ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტზე და ამ ნაწილში მას ძირითადი სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მსჯავრდებულ გ. დ-ვს ძირითად სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 2 თვის ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - გ. დ-ვის, გ. კ-შვილისა და ზ. ა-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მითვისება, გაფლანგვა

განჩინება

#1250-აპ-08

12 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-იას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 მარტის განაჩენით:

გ. გ-ის ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება და გამართლდა.

გ. გ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის II ნაწილის "ბ", "გ" და "დ" ქვეპუნქტებით ჯარიმა 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება 1 წლით, 332-ე მუხლის I ნაწილით - ჯარიმა 2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე გ. გ-ის საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება 2 წლის ვადით.

გ. გ-ის დაეკისრა მოსარჩელის, დაზარალებული მხარის - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სასარგებლოდ 4660 ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. გ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. გ-ია 1994 წლის 31 ოქტომბრიდან 2001 წლის 22 იანვრამდე, შემდეგ კი 2001 წლის 23 ოქტომბრამდე მუშაობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს ხობის რაიონული სასამართლოს აღმასრულებლად და ითვლებოდა მოხელედ. მის სამოქმედო ტერიტორიას წარმოადგენდა ხობის რაიონი.

გ. გ-ის 1998 წლის 18 მარტს ხობის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის შ. ს-ძის რეზოლუციით შესასრულებლად დაეწერა ხობის რაიონული გამგეობიდან ხობის რაიონულ სასამართლოში შემოსული 1998 წლის 17 მარტის #928 მომართვა, ხობის რაიონის სოფელ ს-ოს სახელმწიფო მეურნეობის მიერ ქ. ქუთაისის მერიიდან სესხის სახით აღებული 29998 ლარის ძირითადი თანხისა და 5000 ლარის სარგებლის ქ. ქუთაისის მერიისათვის დაუბრუნებლობის გამო უდავო წესით გადახდის აღსრულების თაობაზე.

გ. გ-იამ აღნიშნული წერილობითი მომართვის საფუძველზე, "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" სსკ-ის 1985 წლის 15 ნოემბრის ინსტრუქციის 131-ე და 133-ე პუნქტების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, 1998 წლის 19 მარტს უკანონოდ აღწერა და დააყადაღა ს-ოს სახელმწიფო მეურნეობის ყველა ძირითადი საშუალება, სულ 31 ერთეული, ფულადი თანხით - 40100 ლარი, რითაც მან უხეშად დაარღვია ზემოხსენებული სააღსრულებო წარმოების ინსტრუქციის 131-ე პუნქტის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, თუ სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც იმყოფებოდნენ სამეურნეო ანგარიშზე და არა ჰქონდათ დავალიანების დასაფარავად საკმარისი თანხები, გადახდევინება შეიძლებოდა მოვალის კუთვნილი ქონებიდან, გარდა საწარმოების შენობა-ნაგებობების, მოწყობილობებისა და სხვა ქონებისა, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ძირითად საშუალებებს - სათესლე და საფურაჟე ფონდებს, აგრეთვე, სხვა საბრუნავ ფონდებს იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალური საქმიანობისათვის, ხოლო ამავე "სააღსრულებო წარმოების" ინსტრუქციის 131-ე პუნქტის თანახმად, სასამართლო აღმასრულებელმა სიძნელის წარმოქმნის შემთხვევაში მოსამართლის წინაშე უნდა აღძრას საკითხი აღსრულების წესის და მითითებების შესახებ, კონკრეტულად მოვალის რომელი ქონებიდან უნდა მოხდეს გადახდევინება, რაც გ. გ-ის მოცემულ შემთხვევაში არ გაუკეთებია.

1998 წლის 27 მარტიდან 1999 წლის 8 თებერვლის ჩათვლით, მან სამსახურებრივი უფლება-მოსილების ბოროტად გამოყენებით, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ თავისთვის რაიმე გამორჩენის მისაღებად უკანონოდ გაყიდა ს-ოს სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი, მის მიერ დაყადაღებული 31 ერთეული ძირითადი საშუალებიდან 11 ერთეული, კერძოდ: 1998 წლის 27 მარტს ხობის რაიონის სოფელ ს-ოში მცხოვრებ რ. გ-ის 5000 ლარად მიჰყიდა მეურნეობის ადმინისტრაციული სახლი, 4000 ლარად - სასიმიინდე ფარდულის ორი მესამედი და 1000 ლარად - საწყობის შენობა. ხობის რაიონში მცხოვრებ მოქალაქე გ. ტ-ძეს 334 ლარად მიჰყიდა ტრაქტორი, რომლის ძირითადი საბალანსო ღირებულება გაყიდვის პერიოდში შეადგენდა 800 ლარს, რითაც მან ს-ოს სახელმწიფო მეურნეობას მიაყენა 466 ლარის ზიანი; სოფელ ს-ოს მცხოვრებ თ. გ-ძეს 483 ლარად მიჰყიდა, რომლის ძირითადი საბალანსო ღირებულება გაყიდვის პერიოდში შეადგენდა 1300 ლარს, რითაც მან საგვიჩიოს სახელმწიფო მეურნეობას მიაყენა 817 ლარის ზიანი; სოფელ საგვიჩიოში მცხოვრებ რ. შ-ძეს 457 ლარად მიჰყიდა ტრაქტორი, რომლის ძირითადი საბალანსო ღირებულება გაყიდვის პერიოდში შეადგენდა 1200 ლარს, რითაც მან ს-ოს სახელმწიფო მეურნეობას მიაყენა 743 ლარის ზიანი.

მანვე 1998 წლის 31 დეკემბერს სოფელ ს-ოში მცხოვრებ ტ. მ-შვილს 400 ლარად მიჰყიდა ტრაქტორი, რომლის ძირითადი საბალანსო ღირებულება გაყიდვის პერიოდში შეადგენდა 700 ლარს, რითაც მან ს-ოს სახელმწიფო მეურნეობას მიაყენა 300 ლარის ზიანი.

მანვე 1998 წლის 18 იანვარს ქ. ქ-ში მცხოვრებ, აწ გარდაცვლილ გ. კ-იას 300 ლარად მიჰყიდა 1988 წელს გამოშვებული, ტრაქტორი, რომლის ძირითადი საბალანსო ღირებულება გაყიდვის პერიოდში შეადგენდა 1400 ლარს, რითაც მან ს-ოს სახელმწიფო მეურნეობას მიაყენა 1100 ლარის ზიანი, ხოლო მის მიერ იმავე დღეს შედგენილ აქტზე მიუთითა, რომ თითქოს აღნიშნული მარკის ტრაქტორი შეისყიდა სოფელ ს-ოში მცხოვრებმა ს. შ-ძემ; ქ. ფოთში მცხოვრებ მ. ბ-იას 400 ლარად მიჰყიდა "კავზის" მარკის ავტობუსი, რომლის ძირითადი საბალანსო ღირებულება გაყიდვის პერიოდში შეადგენდა 1200 ლარს, რითაც მან ს-ოს სახელმწიფო მეურნეობას მიაყენა 800 ლარის ზიანი.

მანვე 1999 წლის 8 თებერვალს სოფელ ს-ოში მცხოვრებ თ. გ-ძეს 100-100 ლარად მიჰყიდა ერთი სათესი "სპმ-8" და ერთი ტრაქტორის მისაბმელი (ჯამში 200 ლარი), რომელთა ძირითადი საბალანსო ღირებულება გაყიდვის პერიოდში შესაბამისად შეადგენდა 400 და 234 ლარს. აღნიშნული ქმედებით მან ს-ოს სახელმწიფო მეურნეობას მიაყენა 434 ლარის ზიანი, რის შესახებაც მან შეადგინა სათანადო აქტები. მან ს-ოს სახელმწიფო მეურნეობის ხსენებული 11 ერთეული ძირითადი საშუალებები გაყიდა 12574 ლარად, მაშინ, როდესაც დასახელებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გაყიდვის პერიოდში შეადგენდა 17234 ლარს. მან აღნიშნული უკანონო მოქმედებით, ხსენებული 11 ერთეული ს-ოს სახელმწიფო მეურნეობის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე დაბალ ფასში გაყიდვის შედეგად ს-ოს სახელმწიფო მეურნეობას მიაყენა 4660 ლარის ზიანი.

გ. გ-იამ 1999 წლის 18 იანვარს და 1999 წლის 8 თებერვალს ს-ოს სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი ძირითადი საშუალებების - 300 ლარად გაყიდული ტრაქტორის, 400 ლარად გაყიდული "კავზის" მარკის ავტობუსის, 100 ლარად გაყიდული ერთი "სპმ-8" ტრაქტორის სათესის და 100 ლარად გაყიდული ერთი ტრაქტორის მისაბმელის შედეგად მყიდველების - თ. გ-ძის, მ. ბ-იას და აწ გარდაცვლილ გ. კ-აიასაგან, "სააღსრულებო წარმოების" შესახებ სსრკ-ის 1985 წლის 15 ნოემბრის ინსტრუქციის 251-ე, 252-ე და 253-ე პუნქტების დარღვევით მიღებული ფულადი თანხა - სულ 900 ლარი, აღსრულების 5%-ის გამოკლებით, ე.ი. 855 ლარი აღნიშნული "სააღსრულებო წარმოების" ინსტრუქციის 250-ე მუხლის შესაბამისად, არ ჩარიცხა ხობის რაიონული სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შემდგომში დანიშნულებისამებრ წარსამართავად, მიითვისა აღნიშნული თანხა და გახარჯა პირადი საჭიროებისათვის, რაც მას დღემდე ანაზღაურებული არა აქვს.

ამდენად, მან თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით მიითვისა ს-ოს სახელმწიფო მეურნეობის 11 ერთეული ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული 855 ლარი, ასევე დასახელებული მეურნეობის კუთვნილი 11 ერთეული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე დაბალ ფასებში უკანონოდ გაყიდვის შედეგად მას მიაყენა 4660 ლარის ზიანი, რამაც ს-ოს სახელმწიფო მეურნეობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

გ. გ-იას სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს უფროსის რეზოლუციით 2006 წლის 12 ივლისს შესასრულებლად დაეწერა ხობის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2001 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება მოსარჩელე ბ. ჭ-იას სასარგებლოდ, მოპასუხე მ. ც-იასა და თანამოპასუხე ა. ც-იასაგან სოლიდარულად 270 ლარის გადასახდელად დაკისრების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე 2001 წლის 25 სექტემბერს, დაახლოებით 12 საათზე, მას ხობის რაიონული სასამართლოს შენობაში, თავის სამუშაო ოთახში, თანამოპასუხე ა. ც-იამ მისცა მოსარჩელე ბ. ჭ-იასთვის გადასაცემად ვალის ნაწილი - 200 ლარი. იგი ა. ც-იას შეპირდა, რომ აღნიშნულ თანხას ჩარიცხავდა "სააღსრულებო წარმოების შესახებ 1999 წლის 16 აპრილის კანონის და მასში 2000 წლის 13 ივლისს, 5 დეკემბერს, 2001 წლის 19 ივლისს შესული ცვლილებების 82-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, რის შემდეგაც ბ. ჭ-ია დასახელებულ თანხას მიიღებდა, რის თაობაზეც მან ა. ც-იას მისცა ოფიციალური ცნობა დამოწმებული პირადი ხელმოწერით და აღმასრულებლის მრგვალი ბეჭდით. მან თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით აღნიშნული თანხა - 200 ლარი არ ჩარიცხა სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე და არ გადასცა მოსარჩელე ბ. ჭ-იას, არამედ მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული თანხა არაერთგზის მიითვისა და გახარჯა პირადი საჭიროებისათვის, რითაც ფიზიკურ პირს - დაზარალებულ ჭ-იას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული გ. გ-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო იმ მოტივით, რომ ბრალდება არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს; საქმეში დევს მხოლოდ მოწმეთა და ე.წ. დაზარალებულთა წინააღმდეგობრივი ჩვენებები; სასამართლოს, როგორც მინიმუმი, უნდა ემოქმედა ყველა ეჭვის განსასჯელის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპიდან გამომდინარე და უნდა გამოეყენებინა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მე-10 მუხლის ნორმა; სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა მისი ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტისას, მოცემული საქმის ყველა ეპიზოდთან მიმართებით კერძოდ, - საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის ნორმა, რომლის თანახმადაც - "დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას"; ყოველივე ზემოაღნიშნულის სათანადო შეფასებისა და ანალიზის შემდეგ სასამართლოს მისი დამნაშავედ ცნობისა და, შესაბამისად, მსჯავრის დადების მომენტში აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა, რომ 7 წელიწადზე მეტია იმყოფება სამართლებრივ განუსაზღვრელობაში, რამაც უარყოფითი ასახვა ჰპოვა მისი, როგორც ახალგაზრდა ადამიანის, საზოგადო და პროფესიულ განვითარებაზე; მოსამართლის ბრძანების საფუძველზე არ შემოწმებულა საბანკო ანგარიშები და ზერელად დაედო მსჯავრი თანხის მითვისების ნაწილში, როგორც ს-ოს საბჭოთა მეურნეობასთან, ასევე ბ. ჭ-იასთან დაკავშირებულ ეპიზოდებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ გ. გ-იას განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ ჩაუდენია მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულები, რადგან საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: დაზარალებულების - ს. შ-ძის, მ. ბ-იას, თ. გ-ძის, ბ. შ-იას, ბ. ჭ-იასა და მოწმეების - ლ. ნ-იას, ბ. კ-იას, რ. შ-ძის, გ. ტ-ძის, ა. გ-ძის, ტ. მ-შვილის, ვ. ბ-იას, რ. გ-იას, შ. ს-ძის, ლ. ა-იას, ა. ც-იასა და მ. კ-იას ჩვენებებით; წარმოდგენის ოქმით; ხობის გამგეობის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულებითა და ხარჯთაღრიცხვით; ქ. ქუთაისის მერიის განკარგულებით; აქტებით, საინვენტარიზაციო აღწერილობითა და გადახდის ქვითრებით; სააღსრულებო წარმოების შესახებ ინსტრუქციიდან ამონაწერით; ხობის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით; სააღსრულებლო ფურცლით; დაყადაღებული ქონების რეალიზაციის აქტებით; გადახდის ქვითრებითა და საჯარო ვაჭრობის აქტით და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით მსჯავრდებულ გ. გ-იას მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა სრულად არის დადასტურებული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. გ-იას ქმედებაში არ დასტურდება სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისება არაერთგზის, კერძოდ: პირველი და სააკვლაციო ინსტანციების სასამართლოთა განაჩენებით გ. გ-იასათვის მსჯავრდების პირველი ეპიზოდი, რომელიც შეეხება ხობის რაიონის სოფელ ს-ოს სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი 11 ერთეული ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებულ 855 ლარს, ასევე დასახელებული მეურნეობის კუთვნილი 11 ერთეული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე დაბალ ფასებში უკანონოდ გაყიდვის შედეგად მიყენებულ 4660 ლარის ზიანის, რამაც ს-ოს სახელმწიფო მეურნეობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით, ხოლო მსჯავრდების მეორე ეპიზოდი, რომელიც შეეხება ხობის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2001 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის თანახმადაც, მოსარჩელე ბ. ჭ-იას სასარგებლოდ მოპასუხე მ. ც-იასა და თანამოპასუხე ა. ც-იას სოლიდარულად დაეკისრათ 270 ლარის გადახდა, დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის II ნაწილის "ბ", "გ" და "დ" ქვეპუნქტებით.

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის თანახმად (ძველი რედაქცია), სისხლის სამართლის კოდექსის 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მსჯავრდებულ გ. გ-იას მიერ არაერთგზის მართლსაწინააღმდეგოდ სხვისი მოძრავი ნივთის მითვისება, რის გამოც გასაჩივ-

რებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 182-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი და ბრალდების ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

სააპელაციო სასამართლომ, გ. გ-ის ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, დაუნიშნა სამართლიანი სასჯელი, რომლის შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და სამართლიანია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

გასაჩივრებული განაჩენიდან გ. გ-ის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 182-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი და ბრალდების ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამომალვა

განჩინება

#56-აპ-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - კ. ი-ძისა და ლ. ს-ძის დამცველი ადვოკატების - ბ. ქ-იასა და ა. ქ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 მაისის განაჩენით ლ. ს-ძე, კ. ი-ძე, მ. ს-ძე, და ა. ს-ძე, მსჯავრდებულ იქნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მათ სასჯელის ზომად განესაზღვრათ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა, თითოეულს 7 წლის ვადით, საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა, თითოეულს 3 წლისა და 6 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მათ მიმართ დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ მათ ძირითად სასჯელად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა - თითოეულს 10 წლისა და 6 თვის ვადით. მათვე იმავე განაჩენით დამატებით სასჯელად განესაზღვრათ ჯარიმა - თითოეულს 2500 ლარის ოდენობით.

განაჩენი ძებნილების - მ. ს-ძისა და ა. ს-ძის მიმართ გამოტანილ იქნა მათ დაუსწრებლად.

ლ. ს-ძეს, კ. ისაკაძეს, მ. ს-ძესა და ა. ს-ძეს განაჩენით მსჯავრი დაედოთ ყაჩაღობაში, ჩადენილი ჯგუფურად, აგრეთვე - ხულიგნობაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 11 სექტემბერს მ. ს-ძე თავის მეგობრებთან და თანამზრახველებთან - კ. ი-ძესთან, ლ. ს-ძესა და ა. ს-ძესთან ერთად, დაახლოებით 18 საათსა და 50 წუთზე, იმყოფებოდა

ბოლნისის რაიონის სოფ. ...-ში მდებარე მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე. ისინი ისხდნენ ბოლნისის რაიონის სოფ. ...-ში მცხოვრები ბ. ს-ძის კუთვნილ, „ვაზ-2107“ მარკის ავტომანქანაში. აღნიშნულ მაღაზიასთან ამ პერიოდში მივიდა ზუგდიდის რაიონის სოფ. ...-ში მცხოვრები, ბოლნისის რაიონის სოფ. ...-ში სამუშაოდ ჩამოსული ჯ. რ-ვა, რომელმაც სოფლის ცენტრში განთავსებულ მაღაზიაში შეიძინა სიგარეტი და აპირებდა უკან დაბრუნებას.

„ვაზ-2107“ მარკის ავტომანქანაში მყოფმა მ. ს-ძემ, კ. ი-ძემ, ლ. ს-ძემ და ა. ს-ძემ განიზრახეს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდნენ ჯუღელ როგავას კუთვნილ თანხას. თავიანთი ერთიანი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, იმავე დღეს, დაახლოებით 19. 00 საათზე, კ. ი-ძე გადმოვიდა ავტომანქანიდან, მივიდა ჯ. რ-ვასთან და უთხრა, რომ ავტომანქანა „ვაზ-2107-ში“ ისხდნენ ლ. ს-ძე და სხვა ბიჭები, რომლებსაც მასთან ჰქონდათ საქმე და სთხოვა ავტომანქანაში ჩაჯდომა. ჯ. რ-ვა დასთანხმდა კ. ი-ძის თხოვნას და გაჰყვა მითითებულ ადგილზე, რის შემდეგაც იგი დაჯდა აღნიშნული ავტომანქანის უკანა სავარძელზე, ხოლო კ. ი-ძე მას გვერდით მიუჯდა. ავტომანქანაში მყოფმა ლ. ს-ძემ, მის გვერდით მჯდომ ჯ. რ-ვას მუქარის ტონით მოსთხოვა ფული და იმავდროულად ყელში წაუჭირა ხელი. თავის მხრივ, ჯ. რ-ვამ მას უარი განუცხადა თანხის მიცემაზე, რის გამოც ლ. ს-ძემ მას სახეში მუშტი ჩაარტყა და ავტომანქანიდან ქუჩაში გადაიყვანა. ავტომანქანიდან გადავიდნენ აგრეთვე ლ. ს-ძის თანამზრახველებიც - კ. ი-ძე, მ. ს-ძე და ა. ს-ძე. შემოხსენებულ პირებს, ჰქონდათ რა ერთიანი განზრახვა - განეხორციელებინათ ყაჩაღობა ჯ. რ-ვას მიმართ - მ. ს-ძემ ჯიბიდან ამოიღო დანა, გახსნა და ჯ. რ-ვას მიადო სხეულზე. ამის შემდეგ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით ლ. ს-ძემ, მ. ს-ძემ, ა. ს-ძემ და კ. ი-ძემ ჯ. რ-ვას ჯგუფურად მოსთხოვეს მათთვის ფულის გადაცემა, რაზეც მან უპასუხა, რომ ფული არ ჰქონდა და უთხრა, არ მოეკლათ იგი. ამ დროს მ. ს-ძემ მიწიდან აიღო ქვა და ნეკნებში ჩაარტყა ჯ. რ-ვას, რის შემდეგაც იქვე მდგარმა კ. ი-ძემ, ა. ს-ძემ და ლ. ს-ძემ ძირს დავარდნილ ჯ. რ-ვას დაუწყეს ცემა.

აღნიშნულ ინციდენტს შეესწრო ქ. ბოლნისში მცხოვრები ა. ჩ-შვილი, რომელმაც სთხოვა ზემოხსენებულ პირებს, გაენებებინათ თავი ჯ. რ-ვასთვის. ამის გამო მ. ს-ძემ, ა. ს-ძემ, ლ. ს-ძემ და კ. ი-ძემ თავი გაანებეს ძირს დავარდნილ ჯ. როგავას, შემდეგ კი კამათი და გინება დაუწყეს ა. ჩ-შვილს მათ საქმეში ჩარევის გამო, მიაყენეს მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ამ დროს შემთხვევის ადგილზე მივიდა ა. ჩ-შვილის ძმა - ზ. ჩ-შვილი, რომელმაც იქ მყოფ ლ. ს-ძეს, ა. ს-ძეს, მ. ს-ძესა და კ. ი-ძეს სთხოვა დაწყნარებულიყვნენ და შემთხვევის ადგილი დაეტოვებინათ. ზემოხსენებულმა პირებმა, ჰქონდათ რა ხულიგნობის ჩადენის განზრახვა, უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, რა დროსაც ხმამაღლა ყვირილი, ძალადობა და ძალადობის მუქარა დაუწყეს ზ. და ა. ჩ-შვილებს მათ საქმეში ჩარევის გამო, რითაც გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა. ამის შემდეგ ა. და ზ. ჩ-შვილები ჩასხდნენ ზ. ჩ-შვილის კუთვნილ, თეთრი ფერის ავტომანქანა „ვაზ-2106-ში“ და დააპირეს შემთხვევის ადგილიდან წასვლა. ა. ს-ძემ, რომელიც მართავდა ავტომანქანა „ვაზ-2107-ს“, რომელშიც ასევე ისხდნენ ლ. ს-ძე, მ. ს-ძე და კ. ი-ძე, გზაზე ჩააყენა თავისი ავტომანქანა და ძალადობის გამოყენებით, ჯგუფურად, ზ. და ა. ჩ-შვილების ავტომანქანა „ვაზ-2106-ს“ ხელი შეუშალა გადაადგილებაში. ამის გამო საჭესთან მჯდარი ზ. ჩ-შვილი იძულებული გახდა, ავტომანქანის მიწოლით გზა გაეთავისუფლებინა, კერძოდ, იგი თავისი ავტომანქანის წინა ფრთით მიაწვა ა. ს-ძის მიერ მართულ ავტომანქანას, გაათავისუფლა გზა და გაემართა ქ. ბოლნისის მიმართულებით. ამ დროს ავტომანქანა „ვაზ-2107-დან“ გადმოვიდა კ. ი-ძე, რომელმაც დატოვა თავისი თანამზრახველები და მიიმალა. ავტომანქანაში დარჩენილმა ა. ს-ძემ, ლ. ს-ძემ და მ. ს-ძემ, ზ. და ა. ჩ-შვილების მიმართ თავიანთი ხულიგნური ქმედების გასაგრძელებლად, უხმეს ძიებით ჯერჯერობით დაუდგენელ პირებს, რის შემდეგაც ისინი ამ პირებთან ერთად საავტომობილო გზაზე, ე.წ. გეოლოგების დასახლებათან, დახვდნენ ზ. და ა. ჩ-შვილების ავტომანქანა „ვაზ-2106-ს“, რომელიც გააჩერეს ძალადობის მუქარით, ხოლო იქიდან გადმოსულ ზ. ჩ-შვილს ხულიგნურად, ძალადობის გამოყენებით მიაყენეს ჯანმრთელობის დაზიანება. მათვე ა. ჩ-შვილს, ასევე ხულიგნურად, ძალადობით, იარაღად დანის გამოყენებით, მიაყენეს რამდენიმე ჭრილობა, რის შემდეგაც ლ. ს-ძე, ა. ს-ძე, მ. ს-ძე და ძიებით ჯერჯერობით დაუდგენელი პირები შემთხვევის ადგილიდან მიიმაღნენ, ხოლო დაჭრილი ა. ჩ-შვილი გადაიყვანეს ბოლნისის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც მას აღმოუჩინეს სამედიცინო დაზიანება.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ კ. ი-ძის დამცველმა ადვოკატებმა - რ. გ-იამ და ს. ჯ-იანმა, აგრეთვე - მსჯავრდებულ ლ. ს-ძის დამცველმა, ადვოკატმა ლ. შ-ძემ.

აპელანტები - რ. გა-ია და ს. ჯ-იანი თავიანთი საჩივრით ითხოვდნენ კ. ი-ძის გამართლებას ყაჩაღობისა და ჩ-შვილების მიმართ ხულიგნობის ჩადენის ბრალდებაში, ხოლო დაზარალებულ ჯ.

რ-ვას მიმართ - მის მიერ ჩადენილი ქმედების გადაკვალიფიცირებას ხულიგნობაზე და ამ დანაშაულისათვის სასჯელის მინიმალური ზომის დანიშვნას ჯარიმის სახით. ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის თვალსაზრისით, ანალოგიურ მოთხოვნას აყენებდა აპელანტი ლ. შ-მეც. აპელანტებს მიაჩნდათ, რომ სასამართლოს განაჩენის დასკვნები მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიერ ყაჩაღობის ჩადენის თაობაზე ემყარება წინააღმდეგობრივ, არასარწმუნო და საპროცესო ნორმების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, რის გამოც განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი.

სააპელაციო საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც აღნიშნული საჩივრები დააკმაყოფილა ნაწილობრივ და 2008 წლის 20 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებულების - ლ. ს-ძისა და კ. ი-ძის მიმართ ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში შეიტანა შემდეგი ცვლილებები: ლ. ს-ძესა და კ. ი-ძეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით - შეუმცირდათ 1 წლით და ამ ნაწილში მათ სასჯელად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა - თითოეულს 2 წლისა და 6 თვის ვადით; შესაბამისად, მათ საბოლოო სასჯელად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 9 წლისა და 6 თვის ვადით. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულთა მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების - ლ. ს-ძისა და კ. ი-ძის დამცველმა ადვოკატებმა - ა. ქ-შვილმა და ბ. ქ-იამ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი - ადვოკატი ა. ქ-შვილი თავისი საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულ ლ. ს-ძის გამართლებას ყაჩაღობის ბრალდებაში და ამ ეპიზოდში მისი ქმედების გადაკვალიფიცირებას ხულიგნობად, ხოლო დაზარალებულ ჩ-შვილების ცემის ეპიზოდში - ლ. ს-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მას აღნიშნულ ინციდენტში მონაწილეობა არ მიუღია. კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ლ. ს-ძის მსჯავრდების ნაწილში დაუსაბუთებელია და არ შეესაბამება რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებენ ლ. ს-ძისათვის შერაცხული ბრალდების უსაფუძვლობაზე, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ლ. ს-ძის მიმართ უნდა შეიცვალოს.

კასატორი - ადვოკატი ბ. ქ-ია თავისი საჩივრით ითხოვს ყაჩაღობის ეპიზოდში მსჯავრდებულ კ. ი-ძის ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (ხულიგნობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და ამ დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომის დანიშვნას. კასატორის აზრით, სასამართლომ უგულვებელყო კანონიერი მტკიცებულებები, ხოლო განაჩენი დააფუძნა არასარწმუნო მტკიცებულებებზე, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განაჩენში მსჯავრდებულ კ. ი-ძის მიმართ უნდა შევიდეს ცვლილებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - ლ. ს-ძის, კ. ი-ძის მიმართ და შეამოწმა მათი დამცველების საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორების საჩივრებში წარმოდგენილ მოთხოვნებს იმის თაობაზე, რომ იმ ეპიზოდში, რომელშიც მსჯავრდებულებს - ლ. ს-ძესა და კ. ი-ძეს ბრალი ედებათ ყაჩაღობის ჩადენაში, მათი ქმედება გადაკვალიფიცირდეს ხულიგნობაზე, რადგან ასეთ მოთხოვნას საქმეში არსებული მასალებით არ გააჩნია რეალური საფუძველი. აღნიშნულ ეპიზოდში მსჯავრდებულების ქმედება იყო მკაფიოდ მოტივირებული, მიმართული დაზარალებულ ჯ. რ-ვასთან თანხის გამოძალვისაკენ, რის გამოც კასატორების მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება.

ამვე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ რეალურად დადგინდა ფაქტობრივ გარემოებებს მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, რამაც გამოიწვია მსჯავრდებულების - ლ. ს-ძისა და კ. ი-ძის მიერ ჩადენილ ქმედებათა არასწორი კვალიფიკაცია.

განაჩენით ლ. ს-ძისა და კ. ი-ძის მიერ მ. ს-ძესა და ა. ს-ძესთან ერთად დაზარალებულ ჯ. რ-ვას მიმართ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდა როგორც ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც არ შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებებით: დაზარალებულ ჯ. რ-ვას ჩვენებით, მოწმეების - ვ. მ-ევის, ი. ს-იასა და ნ. ა-ვას ჩვენებებით დადგენილია ის გარემოება, რომ მსჯავრდებულებმა - ლ. ს-ძემ და კ. ი-ძემ სხვა პირებთან ერთად ნამდვილად განახორციელეს ძალა-

დობა და მუქარა დაზარალებულ ჯ. რ-ვას მიმართ, მაგრამ არა იმ მომენტში ჯ. რ-ვას ხელთ არსებული თანხის ან სხვა მოძრავი ნივთის დაუყოვნებლივ დასაუფლებლად, არამედ იმ მიზნით, რომ აემულებინათ ჯ. რ-ვა, მათთვის მიეტანა სათანადო თანხა, რომლის ოდენობა დასახელებული არ ყოფილა, რაც ვერ ჩაითვლება ყაჩაღობად, რომლის დროსაც დაზარალებულზე თავდასხმის მიზანია ამ უკანასკნელის კუთვნილი ფულისა თუ სხვა მოძრავი ნივთის თავდასხმის ადგილზე და თავდასხმის მომენტში დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის. გარდა ამისა, აღნიშნულ ეპიზოდში კ. ი-ძემ და ლ. ს-ძემ დაზარალებულ ჯ. რ-ვას ასევე სცემეს, რასაც თვით მსჯავრდებულებიც არ უარყოფენ. ეს ქმედება მათ არ ჩაუდენიათ ხულიგნური მოტივით, რასაც დაცვის მხარე ამტკიცებს. ცემა გამოყენებული იყო როგორც დაზარალებულ ჯ. რ-ვაზე ზემოქმედების საშუალება მისგან თანხის გამოძალვის მიზნით. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მსჯავრდებულებს არ ჰქონიათ მცდელობა, შემთხვევის ადგილზე მყოფ დაზარალებულ ჯ. რ-ვასთვის იქვე წაერთმიათ ფული ან სხვა მოძრავი ნივთი და, ვითარებიდან გამომდინარე, არც იყო მოსალოდნელი, რომ ჯ. რ-ვას თან ექნებოდა მათთვის სასურველი თანხა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ განხილულ ეპიზოდში ლ. ს-ძისა და კ. ი-ძის ქმედება წარმოადგენს გამოძალვას, ჩადენილს მკვალიფიცირებელ გარემოებაში, ესე იგი სხვისი ნივთის გადაცემის მოთხოვნას, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა, ჩადენილი ჯგუფურად, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, აგრეთვე - აღნიშნული კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ დანაშაულს, როგორცაა ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამავე კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), რაც, ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გარდა, დადგენილია ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით. მასში მითითებულია, რომ დაზარალებულ ჯ. რ-ვას მიყენებული აქვს სხეულის მსუბუქი დაზიანება, რასაც ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია, ხოლო საბრალდებო დოკუმენტებში კი ამ დაზიანებით მისი შრომისუნარიანობის დაკარგვაზე არავითარი მინიშნება არ არის.

რაც შეეხება ლ. ს-ძისა და კ. ი-ძის მიერ სხვა პირებთან ერთად დაზარალებულების - ზ. ჩ-შვილისა და ა. ჩ-შვილის მიმართ წინასწარი შეთანხმებით ხულიგნობის ჩადენის ფაქტს, ეს სავესებით დადასტურებულია საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი კ. ი-ძისა და ლ. ს-ძის საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულების - კ. ი-ძისა და ლ. ს-ძის ბრალდების საქმის განხილვისას დაუშვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს განაჩენის შეცვლის საფუძველს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულების - კ. ი-ძისა და ლ. ს-ძის მიერ დაზარალებულ ჯ. რ-ვას მიმართ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და იმავე კოდექსის 125-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

რაც შეეხება ამ ნაწილში მსჯავრდებულებისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და ხასიათის, ასევე თვით მსჯავრდებულთა პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, ლ. ს-ძესა და კ. ი-ძეს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროთ თავისუფლების აღკვეთა - თითოეულს 5 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - ჯარიმა, ძირითადი სასჯელის სახით, თითოეულს - 2500 ლარის ოდენობით, რომლებიც უნდა შეიკრიბოს იმავე განაჩენით მათ მიმართ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დანიშნულ სხვა სასჯელებთან ერთად.

საბოლოოდ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულების - ლ. ს-ძისა და კ. ი-ძის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების - ლ. ს-ძისა და კ. ი-ძის დამცველი ადვოკატების - ა. ქ-შვილისა და ბ. ქ-იას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

მსჯავრდებულ ლ. ს-ძეს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მისი ქმედება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და ამავე კოდექსის 125-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ხოლო ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის საფუძველზე - ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული სასჯელები შეიკრიბოს ლ. ს-ძის მიმართ იმავე განაჩენით საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დანიშნულ ძირითად და დამატებით სასჯელებთან, რის გამოც მსჯავრდებულ ლ. ი-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით, აგრეთვე ჯარიმა - 5000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ კ. ი-ძეს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მისი ქმედება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და ამავე კოდექსის 125-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ხოლო ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის საფუძველზე - ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული სასჯელები შეიკრიბოს კ. ი-ძის მიმართ იმავე განაჩენით საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დანიშნულ ძირითად და დამატებით სასჯელებთან, რის გამოც მსჯავრდებულ კ. ი-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით, აგრეთვე ჯარიმა - 5000 ლარის ოდენობით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - ლ. ს-ძისა და კ. ი-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.